ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრის

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

-171
964

# СБОРНИК

## ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

*Министерства просвещения Грузинской ССР*

**3-4**

მარტი—აპრილი

თბილისი—1964

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქ. სსრ განათლების,
სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის
13 თებერვლის დადგენილებით

# ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა ცოდნის, უნარისა და ჩვევების შემოწმებისა და შეფასების შესახებ

## (ინსტრუქციულ-მეთოდური წერილი)

მოსწავლეთა ცოდნის, უნარისა და ჩვევების სწორად წარმართული მიმდინარე შეფასება მოსწავლეთათვის სისტემატური შრომის მიჩვევის, მათი აკადემიური ჩამორჩენილობისა და მეორეწლიანობის თავიდან აცილების ერთ-ერთ ქმედით საშუალებას წარმოადგენს.

ბევრი მოწინავე პედაგოგიური კოლექტივის მუშაობაში უკვე დამკვიდრდა მოსწავლეთა სწავლების შედეგების მიმდინარე შემოწმების ახალი, უფრო სრულყოფილი ფორმები და წარმატებით ხორციელდება მოსწავლეთა ცოდნაში ფორმალიზმისა და ვერბალიზმის დაძლევა. ამასთან ერთად, ამ საქმეში ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლოვანებებია.

რიგ სკოლებში მოსწავლეთა მიმდინარე გამოკითხვა (უმთავრესად განვლილი და საშინაო დავალებად მიცემული მასალის ირგვლივ) რჩება მოსწავლეთა ცოდნის მიმდინარე შეფასების ერთადერთ ფორმად. ზოგი მასწავლებელი კმაყოფილდება იმით, რომ მოსწავლეები მექანიკურად იმახსოვრებენ სახელმძღვანელოს მასალას, არ ამოწმებენ ათვისების გააზრებულობასა და მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარს. ხშირად მოსწავლეებისაგან მოითხოვენ მეორეხარისხოვანი დეტალების დამახსოვრებას, ნაცვლად იმისა, რომ გაამახვილონ მათი ყურადღება პროგრამის თითოეული თემის და განყოფილების არსებითი საკითხების საფუძვლიანად შეთვისებაზე. იშვიათი როდია ისეთი შემთხვევა, როცა მოსწავლეთა ცოდნის, უნარისა და ჩვევების შემოწმება ხორციელდება ყველა სხვა დანარჩენი სახის სამუშაოსაგან მოწყვეტით, არ



საქართველოს სსრ. სკ. ... ... ... რესპუბლიკური ...

გამოიყენება დიდი შესაძლებლობები მათი მომზადების დონის გამოსავლინებლად გაკვეთილის მსვლელობის მთელ მანძილზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა ცოდნის, უნარისა და ჩვევების შემოწმების საქმეში ამ და სხვა ნაკლოვანებათა აღმოფხვრა გადაუდებელი ამოცანაა, რომლის სწორად გადაწყვეტაზე ბევრადაა დამოკიდებული სწავლების პროცესის ეფექტიანობის ამაღლება.

## I. მოსწავლეთა ცოდნის გამოვლენა მთელი სასწავლო მუშაობის პროცესში გაკვეთილზე

საჭიროა განუწყვეტლივ ვაუმჯობესებდეთ გაკვეთილზე მოსწავლეთა ცოდნის ზეპირი შეფასების ჩატარების ორგანიზაციას. ინდივიდუალური ზეპირი გამოკითხვა აუცილებელია იმისათვის, რათა გამოვავლინოთ მოსწავლეთა ცოდნის სრულყოფილობა, მათი ლოგიკური აზროვნების უნარი სწორად ახსნან მეცნიერული ფაქტები, კანონები, ცნებები, დაასაბუთონ მაგალითებით ჩამოყალიბებული წესები და განმარტებები. ცოდნის საფუძვლიან ზეპირ შემოწმებას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საშუალო სკოლის უფროს კლასებში, სადაც მოსწავლეებს მოეთხოვება სასწავლო მასალის გაშლილად გადმოცემა და განმარტება.

მაგრამ ცოდნის ზეპირი შემოწმება უნდა ტარდებოდეს მოცემული გაკვეთილის მთელ შინაარსთან ლოგიკურად დაკავშირებული კითხვებით, არ დავკმაყოფილდეთ მხოლოდ საშინაო დავალებად მიცემული მასალის გამოკითხვით და უნდა დავეყრდნოთ უფრო ადრე განვლილ საპროგრამო მასალას. ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მიერ ადრე განვლილი და ახლად შეძენილი ცოდნის სათანადო სისტემაში მოყვანას.

გამოკითხვის დროს არ უნდა გაგვიტაცოს არაარსებითი ხასიათის დეტალებმა, რადგან ამ შემთხვევაში მოსწავლეები შეეცდებიან მასალიდან დაიმახსოვრონ, თავისი მნიშვნელობით, მეორეხარისხოვანი მასალა და ვერ შეძლებენ ყურადღება გაამახვილონ თითოეული თემის მთავარ საკითხებზე, რასაც მოჰყვება შესწავლილი მასალის ზერელედ ათვისება.

არ უნდა მოვითხოვოთ მოსწავლეებისაგან სახელმძღვანელოს ტექსტის მექანიკური გადმოცემა: მოსწავლემ ზუსტად უნდა დაიმახსოვროს მხოლოდ ძირითადი წესების, კანონების, ცნებების ფორმულირება და ფაქტობრივი მასალა გადმოსცეს თავისუფლად, თავისი სიტყვებით, გამოავლინოს მასალის კარგი გაგება და მსჯელობის დამოუკიდებლობა.

აუცილებელია ხშირად დავსვათ მოსწავლეთა წინაშე (მათი ასაკისა და მომზადების გათვალისწინებით) ისეთი კითხვები, რომლებიც ხელს შეუწყობენ მათი ლოგიკური აზროვნების განვითარებას. ასეთების რიცხვს მიეკუთვნება: საკითხები შედარებაზე, მიზეზ-შედეგობრივი და სხვა არსებითი კავშირების დადგენაზე, საგნების ან მოვლენების ძირითადი დამახასიათებელი სახეებისა და ნიშნების გარკვევაზე; საკითხები, რომლებიც მოითხოვენ კონკრეტულის ზოგადისადმი დაქვემდებარებას ან ზოგადის გამოყენებას კონკრეტულისათვის, საგნების ან მოვლენების კლასიფიკაციას მოცემული ნიშნების მიხედვით ან მოვლენების და ამბების მნიშვნელობის დადგენას, აგრეთვე საკითხები, რომლებიც საჭიროებენ ახსნა-განმარტებას, დასაბუთებას, დამტკიცებასა და დასკვნების გაკეთებას.

მოსწავლეთა ზეპირი პასუხი, როცა ეს აუცილებელია, უნდა ტარდებოდეს აუცილებელი პრაქტიკული დავალებების შესრულების თანხლებით, კერძოდ, ცდების ჩატარებით, ამოცანების ამოხსნით და ა. შ.

მოსწავლეთა ცოდნის, უნარისა და ჩვევების გამოვლენისა და შეფასებისათვის, ინდივიდუალური ზეპირი შემოწმების გარდა, გაკვეთილზე გამოიყენება სხვა შესაძლებლობანიც.

სასწავლო პროცესის იმგვარი ორგანიზებით, როცა ყოველი მოსწავლე აქტიურად მუშაობს მთელი გაკვეთილის განმავლობაში (ასრულებს სავარჯიშოებს, მონაწილეობს ფრონტალურ საუბარში, აყალიბებს დასკვნებს, განმარტებებსა და წესებს დაკვირვებების ან ცდების საფუძველზე) მასწავლებელს საშუალება ეძლევა, გაკვეთილზე მთელი სასწავლო მუშაობის შედეგების მიხედვით შეიმუშაოს ობიექტური წარმოდგენა მოსწავლეთა მიერ შესწავლილი და შესასწავლი მასალის ათვისების ხარისხზე, მათი აზროვნების უნარის განვითარებაზე, კონკრეტული ფაქტების, მოვლენების ახსნისა და სხვადასხვა პრაქტიკული სამუშაოს შესრულების დროს ცოდნის გამოყენების უნარზე.

მოსწავლეთა ცოდნის შეფასებას გაკვეთილზე ყველა სახის სასწავლო მუშაობის შედეგების მხედველობაში მიღებით, დიდი ხანია წარმატებით იყენებს ბევრი მოწინავე მასწავლებელი.

გაკვეთილზე მოსწავლეთა ცოდნის ამგვარად შეფასების დროს საჭიროა მხედველობაში მიღებულ იქნეს შემდეგი:

1. მოსწავლის პასუხები მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე და მის მიერ სხვა მოსწავლეთა პასუხებზე დამატებანი და შესწორებანი ფრონტალური საუბრის დროს;

2. გაკვეთილზე ჩატარებული ზეპირი და წერითი სავარჯიშოების შესრულების, ამოცანების ამოხსნისა და სხვა სახის [illegible]თი და გრაფიკული სამუშაოების ხარისხი;

3. მოსწავლეთა მიერ შესრულებული ცდების, ლაბორატორიული და სხვა პრაქტიკული სამუშაოების შედეგები.

გაკვეთილის მსვლელობის დროს მასწავლებელი თვალყურს ადევნებს ყველა მოსწავლის მუშაობას, განსაკუთრებით ისეთებისას, რომლებიც უფრო მეტად საჭიროებენ დახმარებას. თუმცა მასწავლებელს არა აქვს შესაძლებლობა ერთნაირად სრულყოფილად შეიმუშაოს შეხედულება თითოეული მოსწავლის მუშაობის შედეგებზე (და, მაშასადამე, მასალის ათვისების ხარისხზედაც). ამიტომ, როცა მასწავლებელი გაკვეთილისათვის ემზადება, მან უნდა განსაზღვროს, რომელი მოსწავლის მუშაობას ადევნებს განსაკუთრებულ თვალყურს იმისათვის, რომ მიეცეს შესაძლებლობა შეაფასოს მისი ცოდნა, უნარი და ჩვევები. აუცილებელ შემთხვევაში ზოგიერთ მათგანს, გაკვეთილის პროცესში ან ბოლოს, შეიძლება მისცეს დამატებითი საკონტროლო კითხვები. იმის გარდა, რაც მთელ კლასს ეძლეოდა ფრონტალური საუბრის დროს ან, რომლებსაც შეიცავდა დავალებები დამოუკიდებელი მუშაობისათვის.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ცოდნის ასეთი სისტემით შემოწმებისას მასწავლებელს ყოველ გაკვეთილზე შეუძლია საფუძვლიანად დაუწეროს ნიშნები რამდენიმე მოსწავლეს. ეს საშუალებას გვაძლევს ყოველდღიურად გავაკონტროლოთ ყველა მოსწავლის მიერ საპროგრამო მასალის ათვისების ხარისხი, უფრო საფუძვლიანად და ობიექტურად შევაფასოთ მათი ცოდნა მეოთხედების და წლის ბოლოს.

საჭიროა ყოველმხრივ რაციონალურად მივუდგეთ საშინაო დავალებათა შემოწმებას და გამოვიყენოთ იგი მოსწავლეთა ცოდნის გამორკვევის, განმტკიცებისა და სრულყოფისათვის. ასეთი შემოწმება შეიძლება ტარდებოდეს არა მხოლოდ ინდივიდუალურად, არამედ ფრონტალურადაც (ძნელი ორთოგრამების შემცველი სიტყვების დაწერის, სასვენი ნიშნების დასმის, ამოცანებში ცალკეული მოქმედების შესრულების შედეგების შერჩევითი შემოწმება და ა. შ.), მოსწავლეების მიერ ახალი მასალის ათვისებისათვის მოსამზადებელი საუბრის პროცესში, რომელიც ხორციელდება საშინაო დავალებების ანალოგიური საკლასო სავარჯიშოების შესრულების გზით და აგრეთვე, გაკვეთილზე მასწავლებლის მიერ მოსწავლეთა საშინაო დავალებათა რვეულების გადათვალიერებით.

## 2. მოსწავლეთა ცოდნის შემოწმება განმაზოგადებელ გაკვეთილებზე და ლაბორატორიული პრაქტიკუმების პროცესში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბევრი სკოლის უფროს კლასებში, სისტემატურად ტარდება განმაზოგადებელი გაკვეთილები პროგრამის დიდი თემების ან ორი სამი მცირე მოცულობის თემის მასალაზე, რაც ამ თემების შესწავლისათვის პროგრამით გათვალისწინებული დროის ხარჯზე სრულდება.

იმის გამო, რომ განმაზოგადებელ გაკვეთილებს დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლების თვალსაზრისით, ისინი წარმატებით გამოიყენება აგრეთვე მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებისა და შეფასების მიზნით.

ასეთი გაკვეთილები მოიცავენ უფრო პრინციპულ საკითხებს, რომლებიც მოსწავლეებისაგან მოითხოვენ ისეთ განზოგადებასა და დასკვნებს, რომელთა გაკეთება შეუძლებელია ისე, თუ თავის დროზე კარგად არაა ათვისებული შესაბამისი თემის და განყოფილების საპროგრამო მასალა. ბევრი საკითხი კი მოსწავლეებისაგან მოითხოვს პროგრამის სხვა განყოფილებებისა და მონათესავე საგნების შესწავლისას ათვისებული ცოდნის გამოყენების უნარს. თავისთავად ცხადია, რომ საკითხების ხასიათი, მათი სირთულის ხარისხი, განზოგადების სიღრმისადმი მოთხოვნილება დამოკიდებულია მოსწავლეთა მომზადების დონესა და ასაკზე და ამდენად სხვადასხვა კლასში ის სხვადასხვანაირია.

ყოველი საკითხის განხილვაში, რომელსაც მასწავლებელი განმაზოგადებელ გაკვეთილებზე დასვამს, ჩვეულებრივ, მონაწილეობას ღებულობს რამდენიმე მოსწავლე, რომლებიც ავსებენ ერთმანეთის ცოდნას, ხოლო საჭირო შემთხვევაში, უსწორებენ ერთმანეთს.

განმაზოგადებელი გაკვეთილების ასეთი ხასიათი საშუალებას აძლევს მასწავლებელს, ჯერ ერთი, შეიმუშაოს ობიექტური შეხედულება საპროგრამო მასალის ათვისების სიღრმეზე, ხოლო მეორე მხრივ, ერთი გაკვეთილის განმავლობაში გამოავლინოს მოსწავლეთა საკმაოდ დიდი ნაწილის ცოდნა.

მოსწავლეთა ცოდნის, უნარისა და ჩვევების შემოწმების საერთო სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის ლაბორატორიულ პრაქტიკუმებს ფიზიკაში, ქიმიაში, ბიოლოგიაში, ნაწილობრივ მათემატიკაში. ეს არის პრაქტიკული მეცადინეობა, რომელსაც ჩვეულებრივ ორი გაკვეთილი ეთმობა და რომლის დროსაც მოსწავლე დამოუკიდებლად, მასწავლებლის მხოლოდ საერთო ხელმძღვანელობით, ასრულებს ერთ ლაბორატორიულს ან ამ სახის სამუშაოების

ციკლს ერთი ან რამდენიმე საპროგრამო თემის მსგავსი შინაარსის შესაბამის მასალაზე. ასეთი პრაქტიკუმები შეიძლება ჩატარდეს, როგორც ყველა მოსწავლისათვის გათვალისწინებული ერთიანი ან ინდივიდუალური დავალებების სახით. ინდივიდუალური დავალებები ხშირად აუცილებელია იმ შემთხვევაში, როცა სკოლას საკმაო რაოდენობით არ გააჩნია ლაბორატორიული მოწყობილობა. ინდივიდუალური დავალებები ერთნაირი სიძნელისა უნდა იყოს.

ლაბორატორიული პრაქტიკუმები, როგორც წესი, ტარდება IX-XI კლასებში, მაგრამ შესაძლებელია მათი ჩატარება VIII კლასშიც. პრაქტიკუმები იმის გამორკვევის საშუალებას იძლევა, აქვს თუ არა ყველა მოსწავლეს, ერთმანეთისაგან განურჩევლად, მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი.

### 3. წერითი და გრაფიკული საკონტროლო სამუშაოები

წერითი და გრაფიკული საკონტროლო სამუშაოების ჩატარება აუცილებელია მოსწავლეთა ცოდნის შეგნებულობისა და მიღებული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარის შესამოწმებლად. ასეთი სახის სამუშაო იძლევა დროის ეკონომიას და მასწავლებელს ყველა მოსწავლის მომზადების დონის დამახასიათებელ ობიექტურ მასალას აძლევს.

წერითი საკონტროლო სამუშაოების შესრულება მოითხოვს მოსწავლეთა დაძაბულ შუშაობას, რისთვისაც საჭიროა მათი მიზანშეწონილად გამოყენება. დაუშვებელია საკონტროლო სამუშაოების მეოთხედის ან წლის ბოლოს თავმოყრა, არ შეიძლება აგრეთვე რამდენიმე საგანში საკონტროლო სამუშაოების ერთ დღეს ჩატარება.

საკონტროლოდ შეიძლება გამოყენებულ იქნას ყველა სახის წერითი სამუშაო. ასეთებია მაგალითად: კარნახი, შინაარსის გადმოცემა, თხზულება, მაგალითებისა და ამოცანების ამოხსნა მათემატიკაში, ამოცანების ამოხსნა ფიზიკაში, ქიმიაში და ა. შ.

ისეთი ტიპის წერითი საკონტროლო სამუშაოები, რომლებიც კითხვებზე პასუხის გაცემას მოითხოვენ, საჭიროა ტარდებოდეს, როგორც წესი, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლეებს არ მოეთხოვება ვრცელი პასუხები (ჩაწერა ქრონოლოგიური თარიღებისა ისტორიაში, მეცნიერული ტერმინებისა ფიზიკაში, ქიმიასა და გეოგრაფიაში, გეოგრაფიული და სხვა ობიექტების სახელწოდებებისა და ა. შ.).

შინაარსის მიხედვით საკონტროლო წერითი სამუშაოები უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ ახლადშესწავლილ, არამედ ადრე

განვლილ მასალასაც. საშუალო სკოლის უფროს კლასებში საჭიროა ხშირად ტარდებოდეს ანალიზური და სინთეზური ხასიათის საკონტროლო სამუშაოები (ფაქტების დაპირისპირებაზე, მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენასა და დასკვნების გამოტანაზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო წერითი საკონტროლო სამუშაოების შესასრულებლად კლასში გამოიყოფა მისი სიძნელისა და მოცულობის მიხედვით, მაგრამ, როგორც წესი, არაუმეტეს ერთი საათისა დაწყებით კლასებში და ორი საათისა V—XI კლასებში. მეოთხე მეოთხედში საშუალო სკოლის გამოსაშვებ კლასებში რეკომენდებულია ჩატარდეს საკონტროლო სამუშაოები, რომლებიც სირთულით გამოცდაზე მიცემული წერითი სამუშაოს შესატყვისი იქნება და, როგორც წესი, მათი შესრულებისათვის გამოიყოფა დაახლოებით იმდენივე დრო, რამდენიც გამოცდაზე (გადაწერისათვის ნავარაუდევი დროის გამოკლებით).

წერითი საკონტროლო სამუშაოები მოსწავლეთა სპეციალური მომზადების გარეშე უნდა ტარდებოდეს. ეს საშუალებას მოგვცემს უფრო ობიექტურად შემოწმდეს ცოდნის შეთვისების სიმტკიცე და ის თავიდან აგვაცილებს საშინაო დავალებით მოსწავლეთა ზედმეტად გადატვირთვას საკონტროლო სამუშაოების ჩატარების წინ.

გრაფიკული სამუშაოები, საკონტროლო სამუშაოების ძირითად სახეებს წარმოადგენენ ხატვასა და ხაზვაში. ისინი ფართოდ შეიძლება იქნას გამოყენებული მოსწავლეთა ცოდნის შემოწმების მიზნით საწარმოო სწავლების საგნებში. რიგ შემთხვევაში საკონტროლო სამუშაოს სახით შეიძლება ჩატარდეს გრაფიკული სამუშაოები გეომეტრიაში, ალგებრასა და ფიზიკაში, აგრეთვე გეოგრაფიაში (მუშაობა კონტურულ რუკებზე).

გრაფიკული სამუშაოების მრავალფეროვანი სახეებიდან საკონტროლო სამუშაოდ შეიძლება გამოვიყენოთ მხოლოდ ისეთები, რომელთა გრაფიკული გამოსახვა შედარებით არართულია და დიდ დროს არ მოითხოვს.

## 4. ჩ ა თ ვ ლ ე ბ ი

საწარმოოსწავლებიანი საშუალო სკოლის დებულებით გათვალისწინებულია პროგრამის დამთავრებული განყოფილებებისა და თემების მიხედვით ჩათვლების წარმოება და აგრეთვე საკვალიფიკაციო სინჯების წარმოება საწარმოო სწავლებაში. რვაწლიანი სკოლის დებულებით შრომითს სწავლებაში დადგენილია ჩასათვლელი სამუშაოები VIII კლასში.

სასკოლო ჩათვლების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ იგი უნდა ტარდებოდეს ცოდნის თემატიკური შემაჯამებელი აღრიცხვის სახით. ჩათვლის ნიშნის გამოყვანისათვის საფუძველს წარმოადგენს უპირველეს ყოვლისა, პროგრამის ამა თუ იმ თემის ან განყოფილების შესწავლისას მოსწავლეთა მიერ შესრულებული სასწავლო ხასიათის მუშაობის შედეგები. ეს შედეგები ვლინდება მასწავლებლის დაკვირვებით მოსწავლეთა დამოუკიდებელ მუშაობაზე გაკვეთილების პროცესში და სახლში, ლაბორატორიულ-პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებისას, ექსკურსიებზე, შრომასა და საწარმოო სწავლების მეცადინეობაზე, ზეპირი გამოკითხვისა და საკონტროლო წერების ჩატარების საშუალებით. გარდა ამისა თემის ან განყოფილების შესწავლის დამთავრებისას შეიძლება ჩატარდეს განმაზოგადებელი გაკვეთილები (ერთი ან ორი, თემის მოცულობისა და სირთულის შესაბამისად). ამ გაკვეთილების პროცესში მასწავლებელი აზუსტებს თავის დასკვნებს თემის მიხედვით მოსწავლეთა მიერ მთელი სასწავლო მასალის ათვისების ხარისხზე.

მოსწავლეთა ყოველი ზეპირი პასუხი, თითოეული წერითი და პრაქტიკული სამუშაოს შედეგები პროგრამის თემის (განყოფილების) შესწავლის მთელი დროის მანძილზე და აგრეთვე მოსწავლეთა პასუხები განმაზოგადებელ გაკვეთილებზე, შეფასდება ცალ-ცალკე და შეფასების ნიშნები შეიტანება ჟურნალში. მთელი მიმდინარე შეფასების გათვალისწინებით მასწავლებელს გამოყავს დასკვნითი (ჩათვლის) შეფასება თემის მიხედვით. მაგრამ ეს შეფასება არ შეიძლება იყოს ცალკეული შეფასებების საშუალო არითმეტიკული: მასწავლებელი მხედველობაში ღებულობს მთელი თემის შესწავლის შედეგად თითოეული მოსწავლის მიერ მასალის ათვისების ხარისხს.

მხოლოდ ის მოსწავლეები, რომელთა ცოდნაში მასწავლებელი არაა დარწმუნებული, შეიძლება გამოძახებულ იქნან ცოდნის დამატებით შესამოწმებლად ჩათვლის შეფასების გამოყვანის წინ. ამისათვის მასწავლებლის შეხედულებისამებრ თემის შესწავლისათვის გათვალისწინებული დროის ფარგლებში შეიძლება გამოიყოს სპეციალური გაკვეთილი.

VIII კლასში შრომითს სწავლებაში ჩასათვლელი სამუშაოები ტარდება სასწავლო წლის მეორე ნახევარში. ჩასათვლელი სამუშაოების დავალებებს ადგენენ შრომითი სწავლების მასწავლებლები; დავალებათა შედგენისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, რომ თითოეული სამუშაო საშუალებას იძლეოდეს ვიმსჯელოთ,

პროგრამით გათვალისწინებულ ოპერაციათა კომპლექსის ათვისების ხარისხზე. დავალებებს ამტკიცებს სკოლის დირექტორი.

ჩასათვლელ სამუშაოთა თემები ცხადდება სასწავლო წლის II ნახევრის დასაწყისში. დრო მათ შესასრულებლად განისაზღვრება შრომითი სწავლების მასწავლებლის მიერ დირექტორთან შეთანხმებით, მაგრამ ამისათვის უნდა გამოიყოს არანაკლებ ორი თვისა.

ჩასათვლელი სამუშაოები სრულდება გაკვეთილებზე სასწავლო გეგმით შრომითი სწავლებისათვის გათვალისწინებული დროის ბიუჯეტის ფარგლებში.

სკოლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით შემაჯამებელი ჩასათვლელი სამუშაოები შეიძლება ტარდებოდეს ხაზვაში VIII და IX კლასებში. ამ სამუშაოების თემებიც მოსწავლეებს უნდა ეცნობოს სასწავლო წლის მეორე ნახევრის დასაწყისში.

### 5. მოსწავლეთა ცოდნის, უნარისა და ჩვევების შეფასება

ზეპირი პასუხების შეფასებისას მხედველობაში მიიღება: ა) პასუხის სისწორე შინაარსის მიხედვით, რომელიც ცოდნის გააზრებულად შეთვისების დამადასტურებელია; ბ) პასუხის სისრულე; გ) ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი; დ) დამოუკიდებლობა მსჯელობაში და დასკვნების გაკეთებაში; ე) პასუხის თანამიმდევრობა და მეტყველების კულტურა.

საწყისი მოთხოვნები საკონტროლო წერითი სამუშაოების შეფასებისათვის მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენაში, უცხო ენაში და მათემატიკაში, მოცემულია ცალკე, განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულ ამ საგნების სათანადო შეფასების ნორმებში, რომლებიც ადრე გამოიცა. მოთხოვნები ზეპირი პასუხების შეფასებისათვის მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენაში, მათემატიკაში და აგრეთვე სხვა ზოგადსაგანმანათლებლო საგნებში ცოდნის, უნარისა და ჩვევების შემოწმებისათვის მოცემულია თანდართულ სავარაუდო ნორმებში.

რეკომენდებულია მასწავლებელმა იხელმძღვანელოს შეფასების ამ ნორმებით, როგორც ზეპირი გამოკითხვისას, ისე ნიშნის გამოყვანისას სასწავლო მუშაობის შედეგების მიხედვით მთელი გაკვეთილის განმავლობაში. მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ეს „ნორმები“ სავარაუდოა და არ დაუშვას მუშაობაში მათი ფორმალურად გამოყენება.

ლაბორატორიული სამუშაოების შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს: მოსწავლეთა მიერ ათვისებული თეორიული

ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი, მუშაობაში აუცილებელი თანამიმდევრობის დაცვა, სამუშაოს შესრულებისათვის უფრო რაციონალური ხერხების არჩევისა და აუცილებელი ხელსაწყოებითა და მასალებით სარგებლობის უნარი, დავალების დამოუკიდებლად შესრულების ხარისხი, მუშაობის შედეგების უტყუარობა და საფუძვლიანობა.

შრომით სწავლებაში (სახელოსნოებში) მოსწავლეთა პრაქტიკული მუშაობის შეფასებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს: ა) ნახაზის ცოდნა და მისი გამოყენება სამუშაოს შესრულების დროს; ბ) გამოყენებული მასალების ტექნოლოგიური თავისებურებებისა და მუშაობაში გამოყენებული იარაღების კონსტრუქციების ცოდნა; გ) მუშა ოპერაციების შესრულების ხერხების რაციონალურობა და თანამიმდევრობა და უსაფრთხობის ტექნიკის წესების დაცვა; დ) ნაკეთობის ხარისხი; ე) სამუშაოს შესრულებაზე დახარჯული დრო.

V—VIII კლასების მოსწავლეთა სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკული მუშაობის შეფასების გამოყვანისას გათვალისწინებული უნდა იქნეს: ა) მოსწავლის უნარი ახსნას მნიშვნელობა და ბიოლოგიური საფუძვლები იმ სამუშაოსი, რომელსაც ის ასრულებს; ბ) მუშაობის შესრულების ხერხების რაციონალურობა და უსაფრთხობის ტექნიკის წესების დაცვა; გ) შესრულებული სამუშაოს ხარისხი; დ) სამუშაოს შესრულებაზე დახარჯული დრო.

საწარმოო სწავლების პროცესში მოსწავლეთა მიერ მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარისადმი წაყენებული მოთხოვნები განმარტებულია საკვალიფიკაციო დახასიათებებში ცალკეული სპეციალობის მიხედვით.

ცოდნის შეფასების ყველა შემთხვევაში, მასწავლებელი ვალდებულია განუმარტოს მოსწავლეს, თუ რატომ დაეწერა მას შეფასების ესა თუ ის ნიშანი. ეს დაეხმარება მოსწავლეს დაძლიოს მის ცოდნაში დაშვებული შეცდომები და ხარვეზები.

მეოთხედური და წლიური შეფასებები გამოიყვანება მოსწავლეთა ცოდნის, უნარისა და ჩვევების მიმდინარე შეფასებათა შედეგების გათვალისწინებით, ხოლო IX—XI კლასებში ჩათვლების შეფასებათა გათვალისწინებით. საბოლოო შეფასების გამოყვანისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს თითოეული მოსწავლის ცოდნის, უნარისა და ჩვევების ფაქტიური დონე, რომელსაც მიაღწია მან იმ სასწავლო პერიოდის ბოლოს, რომლის მიხედვითაც ხდება საბოლოო შეფასების გამოყვანა.

საბოლოო შეფასებების გამოყვანის დროს გათვალისწინებული უნდა იქნას აგრეთვე შემდეგი:

I—IV კლასებში მშობლიურ ენაში იწერება ორი საბოლოო შეფასება: ა) გრამატიკისა და მართლწერის შეთვისებაში; ბ) კითხვის ჩვევების დაუფლებაში.

V—VIII კლასებში მშობლიურ ენაში იწერება ერთიანი შეფასება მიმდინარე შეფასებათა (ზეპირი პასუხების და წერითი ნამუშევრების) გათვალისწინებით, გრამატიკასა და მართლწერაში, მეტყველების განვითარებაში, აგრეთვე გამომეტყველებითი კითხვისა და ზეპირი მეტყველების ჩვევებში.

საშუალო სკოლის უფროს (IX—XI) კლასებში, გარდა შეფასებებისა ლიტერატურაში, იწერება შეფასებები მშობლიურ ენაში. ამ შემთხვევაში მშობლიურ ენაში შეფასების დადგენის საფუძველს წარმოადგენს, მოსწავლეთა მიერ მეოთხედის, წლის განმავლობაში შესრულებული საკონტროლო წერითი ნამუშევრების წიგნიერების ხარისხი.

მოსწავლეთა საგამოცდო წერითი ნამუშევრებისა და ზეპირი პასუხების შეფასების წესი გამოცდების დროს განისაზღვრება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სპეციალური ინსტრუქციით.

**დანართი.** ზეპირი პასუხების შეფასების სავარაუდო ნორმები ქართულ და რუსულ ენებში და არითმეტიკაში დაწყებითი კლასებისათვის, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, რუსულ ენასა და ლიტერატურაში და მათემატიკაში V—XI კლასებისათვის; ცოდნის, უნარის და ჩვევების შეფასების სავარაუდო ნორმები ისტორიაში, გეოგრაფიაში, ბიოლოგიაში, ფიზიკაში, ქიმიასა და უცხო ენებში.

**საქართველოს სსრ განათლების**
**სამინისტროს სკოლების სამმართველოს**
**მეთოდიკის განყოფილება**

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი 1

# ზეპირი პასუხების შეფასების საერთაშორისო ნორმები ქართულ ენაში

## I—IV კლასები

**შეფასება „5“** იწერება იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლე პროგრამის ფარგლებში—

ა) კითხულობს სწრაფად და გარკვეულად; გამოკვეთილად წარმოთქვამს ბგერებს, სიტყვებს თუ წინადადებებს; იცავს ლოგიკურ მახვილებს, პაუზას; კარგად ესმის წაკითხულის შინაარსი;

ბ) წაკითხული მოთხრობიდან, სტატიიდან ან მოთხრობისა თუ სტატიის დასრულებული ნაწყვეტებიდან შეუძლია ძირითადი (მთავარი) აზრის გამოყოფა;

გ) შეუძლია წაკითხული სტატია ან მოთხრობა დაყოს ნაწილებად და დაასურათოს;

დ) შეუძლია გადმოსცეს წაკითხულის შინაარსი, სწორად და დახვეწილი ქართულით გამოხატოს აზრი;

ვ) ზეპირად წარმოთქმის დროს ჩაწვდეს ტექსტის შინაარსსაც.

**შეფასება „4“** იწერება იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლის პასუხები ძირითადად იმ მოთხოვნებს შეესატყვისება, რომლებიც ნიშანი „5“-სათვის არის გათვალისწინებული, ოღონდ—

ა) კითხვის დროს დაშვებულია უმნიშვნელო შეცდომები ლოგიკური მახვილებისა და პაუზის დაცვაში; დარღვეულია რიტმი და ტემპი; ან

ბ) წაკითხულის შინაარსის გადმოცემის დროს შეინიშნება ცალკეული უზუსტობა, რომლებიც მალე სწორდება სხვის დაუხმარებლად ან მასწავლებლის ოდნავი წახმარებით; ან

გ) ზეპირად წარმოთქმის დროს აქა-იქ იცვლება სიტყვათა რიგი, რასაც მოსწავლე ადვილად ასწრებს წარმოთქმის დროს ან მასწავლებლის შენიშვნის შემდეგ.

**შეფასება „3“** იწერება იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლე სწორად ფლობს კითხვის ჩვევებს, მაგრამ—

ა) კითხვის დროს გარკვეულად ვერ წარმოთქვამს ზოგ სიტ-ყვას; ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ვერ კითხულობს საკმაო გამომეტყველებით; ან

გ) მხოლოდ მასწავლებლის დახმარებით შეუძლია წაკითხულიდან მთავარი აზრის გამოყოფა, მისი ლოგიკურად დასრულებულ ნაწილებად დაყოფა და დასათაურება; ან

დ) წაკითხული ტექსტის შინაარსს ვერ გადმოსცემს თანმიმდევრულად, შეცდომებს უშვებს მეტყველების დროს; ან

ე) ზეპირად წარმოთქმის დროს საფუძვლიანად ვერ სწვდება ტექსტის შინაარსს, ავიწყდება ზოგი ადგილი, მაგრამ ადვილად იხსენებს მათ მასწავლებლის დახმარებით.

**შეფასება „2“** იწერება იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლე—

ა) კითხვის დროს ხშირად დამახინჯებულად წარმოთქვამს სიტყვებს, არ შეუძლია გამომეტყველებით წაკითხვა; ან

ბ) არ შეუძლია წაკითხულიდან მთავარი აზრის გამოყოფა ან ტექსტის ნაწილებად დაყოფა მასწავლებლის დახმარებითაც კი; ან

გ) წაკითხული ტექსტის შინაარსს გადმოსცემს არათანმიმდევრულად, ამახინჯებს შინაარსს თხრობის დროს, ბევრ შეცდომას უშვებს მეტყველებისას; ან

დ) ზეპირად არ იცის ან ძალიან ცუდად იცის საზეპიროდ მიცემული ტექსტი.

**შეფასება „1“** იწერება იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლე—

ა) სიტყვების მეტ ნაწილს წარმოთქვამს არასწორად; ან

ბ) არ შეუძლია წაკითხული ტექსტის შინაარსის გადმოცემა: ან

გ) სრულიად არ იცის საზეპიროდ მიცემული ტექსტი.

**შენიშვნა;** სახლში წასაკითხავად და დასასწავლად მიცემული ტექსტის წაკითხვაზე მეტი მომთხოვნელობაა საჭირო უცნობი ტექსტის წაკითხვასთან შედარებით.

## გრამატიკა და მართლწერა

**შეფასება „5“** იწერება იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლე სწორად იძლევა წესის ფორმულირებას და შეუძლია ზისი მაგალითებით დადასტურება, ავლენს შესწავლილი მასალის კარგ ცოდნას, დამოუკიდებლად და სწორად აწარმოებს მასწავლებლის მიერ მითითებულ ტექსტში შესწავლილი გრამატიკული ფორმების ამოცნობას, შეუძლია განმარტოს მოცემული სიტყვები და სასვენი ნიშნები, მასწავლებლის ყველა კითხვას უპასუხებს ამომწურავად და თანმიმდევრულად, შეცდომები არ მოსდის მეტყველებაში.

**შეფასება „4“** იწერება იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლის პასუხი ძირითადად შეესატყვისება ნიშანი „5“-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მაგრამ მოსწავლე—

ა) უშვებს ცალკეულ უზუსტობას წესების ფორმულირებაში, თუმცა მალე ასწორებს მას მასწავლებლის დახმარებით; ან

ბ) ტექსტზე მუშაობის დროს მოსდის უმნიშვნელო შეცდომები, რომლებსაც მასწავლებლის დახმარებით ასწორებს; ან

გ) სწორად იძლევა წესების ფორმულირებას, მაგრამ მაგალითების დამოწმების დროს მოსდის ერთი ან ორი უზუსტობა; ან

დ) მოსდის უმნიშვნელო ხასიათის რამდენიმე შეცდომა მეტყველებაში.

**შეფასება „3“** იწერება იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლე—

ა) ძირითადად სწორად, მაგრამ ამასთან —გაუბედავად, ნაკლები დარწმუნებით, მეტწილად მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების მიხედვით ახდენს წესების ფორმულირებას; ან

ბ) ტექსტზე მუშაობის დროს უშვებს შეცდომებს, რომლებსაც მხოლოდ მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების საშუალებით ასწორებს; ან

გ) უჭირს დამოუკიდებლად მოძებნოს მაგალითები ამა თუ იმ წესისათვის ან მათ მოძებნას აწარმოებს მხოლოდ მასწავლებლის დახმარებით; ან

დ) პასუხს იძლევა აბნეულად, შეცდომებს უშვებს მეტყველებაში.

**ნიშანი „2“** იწერება იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლეს შეთვისებული არა აქვს შესწავლილი მასალის მეტი წილი ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილი, პასუხის მიგების ან ტექსტზე მუშაობის დროს უშვებს უხეშ შეცდომებს და არ შეუძლია მათი გასწორება თვით მასწავლებლის მიხმარებითაც კი.

**შეფასება „1“** იწერება იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლე პროგრამული მასალის სრულ უცოდინარობას ამჟღავნებს.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

F-2811.

დანართი 2

# ზეპირი პასუხების შეფასების საშვარაუდო ნორმები არითმეტიკაში

## I—IV კლასებისათვის

**შეფასება „5“** იწერება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე:

ა) ყველა დასმულ კითხვაზე იძლევა სრულ და სწორ პასუხებს, ამჟღავნებს წესების მტკიცე ცოდნას, შეუძლია მას მათი მაგალითებით დადასტურება და პრაქტიკაში გამოყენება;

ბ) მაგალითების ამოხსნის დროს სწორად აწარმოებს გამოთვლებს რაციონალური ხერხების სწრაფად გამოყენებით, იძლევა ამოხსნის მსვლელობის ახსნა-განმარტებას, ამჟღავნებს ზომათა და არითმეტიკულ მოქმედებათა ცხრილების მტკიცე ცოდნას;

გ) გარდა ამისა ამოცანების ამოხსნისას დამოუკიდებლად ადგენს გეგმას და იძლევა ამოხსნის მსვლელობის ახსნა-განმარტებას, ზუსტად აყალიბებს პასუხს და კითხვებს მოქმედებისათვის. ადგენს ამოცანებს, რომელთა მონაცემები მომზადებულია მასწავლებლის მიერ ან თვით მის მიერაა შერჩეული;

დ) სწორად და ზუსტად ასრულებს როგორც მოცემული კლასის, ისე წინა კლასების პროგრამით გათვალისწინებულ პრაქტიკულ სამუშაოებს.

**შეფასება „4“** იწერება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის პასუხი ძირითადად აკმაყოფილებს ნიშან „5“-ისათვის წაყენებულ მოთხოვნილებებს, მაგრამ მოსწავლე:

ა) პასუხის დროს განსაზღვრებისა და წესების ჩამოყალიბებისას უშვებს ცალკეულ არასიზუსტეს; ან

ბ) მაგალითებისა და ამოცანების ამოხსნის დროს ყოველთვის არ იყენებს გამოთვლის რაციონალურ ხერხებს ან გამოთვლებში უშვებს არა უმეტეს ორი არაუხეში შეცდომისა; ან

გ) ამოცანის ამოხსნის გეგმის შედგენაში და ამოხსნის მსვლელობის ახსნა-განმარტებაში კითხვებისა და პასუხების ჩამოყალიბებისას უშვებს ერთ-ორ არაუხეშ შეცდომას, ხოლო ამოცანის შედგენისას არაზუსტად აყალიბებს პირობას; ან

დ) პრაქტიკული სამუშაოების შესრულების დროს უშვებს ერთ-ორ არაუხეშ შეცდომას.

ყველა ამ ნაკლს მოსწავლე ადვილად ასწორებს მასწავლებლის უმნიშვნელო დახმარებით.

**შეფასება „3“** იწერება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე:

ა) პასუხის დროს ამჟღავნებს წესების არასაკმარის ცოდნას ან არ შეუძლია მათი დადასტურება მაგალითებით, ძირითადად პასუხობს მასწავლებლის მიერ დასმული მისახვედრი კითხვების მიხედვით; ან

ბ) მაგალითებისა და ამოცანების ამოხსნის დროს არ შეუძლია ისარგებლოს გამოთვლების რაციონალური ხერხებით, თუმცა საბოლოო ჯამში სწორ პასუხებს ღებულობს; ან

გ) მაგალითებისა და ამოცანების ამოხსნის დროს გამოთვლებში უშვებს სამ-ოთხ შეცდომას (რომელთაგან უხეშია არაუმეტეს ორისა), მაგრამ ასწორებს მათ მასწავლებლის დახმარებით; ან

დ) ამოცანის ამოხსნის გეგმის შედგენას, კითხვებისა და პასუხების ჩამოყალიბებას ახერხებს ძირითადად მასწავლებლის დახმარებით; ან

ე) მასწავლებლის დაუხმარებლად უჭირს ამოცანების შედგენა საწყისი მონაცემების მიხედვით; ან

ვ) პრაქტიკულ სამუშაოებს მხოლოდ მასწავლებლის დახმარებით ასრულებს.

**შეფასება „2“** იწერება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ამჟღავნებს საპროგრამო მასალის დიდი ან ძირითადი ნაწილის უცოდინარობას, ვერ ხსნის ამოცანას და ვერ აწარმოებს გამოთვლებს მასწავლებლის დახმარებითაც კი.

**შეფასება „1“** იწერება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ამჟღავნებს საპროგრამო მასალის სრულ უცოდინარობას და არ გააჩნია მაგალითებისა და ამოცანების ამოხსნის ჩვევები.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ზეპირი პასუხის შეფასების სავარაუდო ნორმები ქართულ ენაში

## V—VIII კლასებში

**შეფასება „5“** იწერება მაშინ, როცა მოსწავლე—

ა) სწორად განმარტავს შესწავლილ გრამატიკულ ცნებებსა და წესებს, შეუძლია თავისი პასუხი დაადასტუროს დამოუკიდებლად მოძებნილი ან საკუთრად შეთხზული მაგალითებით;

ბ) სწორად აწარმოებს სიტყვებისა და წინადადებათა გრამატიკულ გარჩევას; სწორადვე განმარტავს მიცემულ სიტყვათა მნიშვნელობას და სასვენ ნიშნებს, რომლებიც მოცემულია (ან თვითონ სვამს) გასარჩევად მოცემულ წინადადებაში;

გ) უშეცდომოდ ასრულებს პრაქტიკულ სამუშაოებს;

დ) პასუხს იძლევა ზუსტად და სწორი თანმიმდევრობით; მეტყველებს თავისუფლად, ძალდაუტანებლად და შეცდომის გარეშე;

**შეფასება „4“** იწერება იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლის პასუხი ძირითადად შეესატყვისება ნიშანი „5-“ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მაგრამ—

ა) შეინიშნება უმნიშვნელო უზუსტობანი, რომელთაც მოსწავლე თვითონვე ასწორებს მასწავლებლის შენიშვნის შემდეგ;

ბ) მოსწავლეს პასუხის დასადასტურებლად მოაქვს ნაკლებ ტიპობრივი მაგალითები; ან

გ) შეცდომებს უშვებს მეტყველების ნაწილთა გრამატიკული ნიშნების დასახელებასა ან წინადადების სინტაქსურ თავისებურებათა განმარტებაში, მაგრამ მალე ასწორებს მათ მასწავლებლის დახმარებით.

**შეფასება „3“** იწერება მაშინ, როცა მოსწავლემ ძირითადად იცის შესწავლილი მასალა, მაგრამ

ა) ერთ-ორ შეცდომას უშვებს გრამატიკული წესების ფორმულირებაში; ყოველთვის ვერ იმოწმებს წერისათვის შესაფერის მაგალითებს; ან

ბ) გრამატიკულ გარჩევას ახდენს ისე, რომ თვითონ ეპარება ეჭვი მის სისწორეში; შეცდომებს უშვებს მეტყველების ნაწილთა, გრამატიკული ნიშნების ჩამოთვლასა და წინადადებების სინტაქსურ თავისებურებათა აღნიშვნის დროს; მასწავლებლის დაუხმარებლად უჭირს სწორად განმარტოს სიტყვები ან სასვენი ნიშნები მოცემულ წინადადებაში; ან

გ) უნელდება მასწავლებლის დაუხმარებლად გამოიყენოს გრამატიკული წესები პრაქტიკული დავალების შესრულების დროს; ან

დ) ვერ იცავს გადმოსაცემი ამბის ნაწილებს შორის ლოგიკურ კავშირს, შეცდომებს უშვებს მეტყველებაში.

**შეფასება „2“** იწერება, როცა მოსწავლემ არ იცის შესწავლილი მასალის მეტი ნაწილი, არასწორად უპასუხებს დასმულ კითხვებზე, არ შეუძლია შესაფერისი მაგალითები შეარჩიოს რომელიმე გრამატიკული წესის დასადასტურებლად, ცოდნა არ შესწევს შესწავლილი წესები გამოიყენოს პრაქტიკაში.

**შეფასება „1“** იწერება მაშინ, როცა მოსწავლემ სრულიად არ იცის შესწავლილი მასალა.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ზეპირი პასუხის შეფასების საერთაშორისო ნორმები ქართულ ლიტერატურაში

## I. მხატვრული ტექსტის წაკითხვის შეფასება

**შეფასება „5“** იწერება მაშინ, როცა მოსწავლე უშეცდომოდ და გამომეტყველებით კითხულობს ნაწარმოებს მთლიანად ან მის ნაწყვეტს; კარგად ესმის წაკითხულის შინაარსი, რასაც ინტონაციის სწორად დაცვით, პაუზებითა და ლოგიკური მახვილების სწორად დასმით გამოხატავს; ზეპირად შესწავლის დროს უკვირდება ტექსტის შინაარსსაც და გამოამჟღავნებს მის მყარ ცოდნასაც.

**შეფასება „4“** იწერება მაშინ, როცა წაკითხვა აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც ნიშანი „5“-ით არის გათვალისწინებული, ოღონდ—

ა) დაშვებულია ერთი-ორი შეცდომა სიტყვების წარმოთქმაში; ან

ბ) ლოგიკური მახვილი, პაუზა, ინტონაცია არ შეესაბამება ნაწარმოების ემოციურ მხარეს; ან

გ) ზეპირად წარმოთქმის დროს შეინიშნება ტექსტის ზოგი ადგილის არამყარი ცოდნა და სიტყვების გადაადგილება.

**შეფასება „3“** იწერება, თუ მოსწავლე ძირითადად სწორად კითხულობს ტექსტს, მაგრამ—

ა) ორ-სამ შეცდომას დაუშვებს სიტყვების წარმოთქმის დროს ან ლოგიკურ მახვილსა და ინტონაციაში;

ბ) ზეპირად წარმოთქმის დროს ავიწყდება ტექსტის ცალკეული ადგილები, რომელთაც იხსენებს მასწავლებლის ან მასწავლებლის ნებართვით—მოსწავლის მიხმარებით.

**შეფასება „2“** იწერება იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლე ვერ კითხულობს ტექსტს გამომეტყველებით; ზეპირად წარმოთქმის დროს იჩენს ტექსტის არადამაკმაყოფილებელ ცოდნას; დავიწყებულ ადგილებს ვერ იხსენებს მასწავლებლის ან მოსწავლეთა დახმარებითაც კი.

**შეფასება „1“** იწერება იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლე ტექსტს ვერ კითხულობს გამომეტყველებით, უხეშად ამახინჯებს სიტყვებს, სრულიად არ იცის ზეპირად დასასწავლი ტექსტი.

## II. მხატვრული ნაწარმოების ანალიზის შეფასება

### V—VIII კ ლ ა ს ე ბ ი

**შეფასება „5“** იწერება იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლემ კარგად იცის მხატვრული ნაწარმოების შინაარსი; სწორად ხსნის მწერლის იდეურ ჩანაფიქრს; პროგრამის ფარგლებში სწორად ხსნის და აფასებს მოქმედ პირთა ქცევას, ხასიათის ტიპობრივ ნიშნებს; სწორად ამყარებს კავშირს ნაწარმოების ცალკეულ თავებსა და ნაწყვეტებს შორის; მხატვრული ნაწარმოების ანალიზის დროს გამოთქმულ მოსაზრებებს ადასტურებს კონკრეტული მაგალითებით, რომლებსაც ადვილად პოულობს შესწავლილ ნაწარმოებში; შეუძლია ადვილად მოძებნოს შესწავლილი მხატვრული გამოსახვის საშუალებანი, რომელსაც მწერალი იყენებს მოცემულ ნაწარმოებში.

**შეფასება „4“** იწერება მაშინ, როცა პასუხი ეთანაბრება (შეესატყვისება) იმ მოთხოვნებს, რომელიც ნაშანი „5“-ით არის გათვალისწინებული, ოღონდ მოსწავლე—

ა) მხატვრული ნაწარმოების იდეური შინაარსის ანალიზის დროს საკმაოდ ვერ იშველიებს საჭირო კონკრეტულ მაგალითებს; ან

ბ) ახასიათებს ცალკეული უზუსტობანი მოქმედ პირთა დახასიათების ან თავგადასავლის გადმოცემის დროს, აგრეთვე მხატვრული გამოსახვის საშუალებათა დასახელებისას, მაგრამ მალე ასწორებს მათ მასწავლებლის წახმარებით; ან

გ) პასუხის დროს შეცდომებს უშვებს მეტყველებაში.

**შეფასება „3“** იწერება იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლემ იცის და სწორად გადმოსცემს ნაწარმოების შინაარსს, მაგრამ:

ა) მასწავლებლის დახმარების გარეშე უჭირს მოქმედ პირთა დამახასიათებელი ნიშნების დასახელება; ან

ბ) შეცდომით ასახელებს მწერლის მიერ გამოყენებულ მხატვრული გამოსახვის საშუალებებს, არ შეუძლია ანალიზის შესახებ გამოთქმული მოსაზრებისათვის საჭირო მაგალითის (მაგალითების) დასახელება; ან

გ) ვერ იცავს თანამიმდევრობას პასუხის დროს, შეცდომები მოსდის მეტყველებაში.

**შეფასება „2“** იწერება იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლემ—

ა) ცუდად იცის ნაწარმოების შინაარსი; მოქმედ პირთა დახა-

სიათებისა და ურთიერთ დამოკიდებულების განხილვის დროს უშვებს უხეშ შეცდომებს; ეერ სწვდება მწერლის ჩანაფიქრს; ან

ბ) ბევრ შეცდომას უშვებს ნიშანი „3"-ით გათვალისწინებულ ნორმებში.

**შეფასება „1"** იწერება, როცა მოსწავლემ არ იცის ნაწარმოების შინაარსი, სრულიად არ შეუძლია მხატვრული ნაწარმოების ანალიზი.

## IX—XI კ ლ ა ს ე ბ ი

**შეფასება „5"** იწერება იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლე—

ა) მოცემულ და წინა კლასების პროგრამულ მოთხოვნათა ფარგლებში ამჟღავნებს მხატვრულ ნაწარმოებთა კარგ ცოდნას, სწორად ერკვევა ნაწარმოების შინაარსში; სწვდება ნაწარმოების იდეურ, შემეცნებით და ესთეტიკურ მნიშვნელობას; კარგად ესმის სახეთა სისტემის, სიუჟეტის, კომპოზიციის, ენობრივ თუ ჟანრობრივ თავისებურებათა მნიშვნელობა შესწავლილ ნაწარმოებში მწერლის ჩანაფიქრის გასაგებად; პასუხის დროს ამჟღავნებს ნაწარმოების მოქმედი პირების და მთლიანად ნაწარმოებისადმი პირად დამოკიდებულებას;

ბ) სწორად ახასიათებს დიდ მწერალთა შემოქმედებით გზასა და ლიტერატურულ მოღვაწეობას;

გ) ნაწარმოების ანალიზის დროს ამჟღავნებს საშუალო და რვაწლიან სკოლაში შესწავლილი ლიტერატურათმცოდნეობის ცნებების ცოდნასა და სწორად იყენებს მას;

დ) პასუხს იძლევა მწყობრად, თანმიმდევრულად; ამჟღავნებს დამოუკიდებლობას მსჯელობისა და დასკვნების გაკეთების დროს; ნათქვამს ამოწმებს მაგალითებით, რომლებსაც ადვილად პოულობს შესწავლილ მხატვრულ ნაწარმოებში; კითხულობს გამომეტყველებით; შეცდომებს არ უშვებს მეტყველებაში.

**შეფასება „4"** იწერება იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლის პასუხი ძირითადად შეესატყვისება ნიშანი „5"-ით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მაგრამ მოსწავლე—

ა) მხატვრული ნაწარმოების იდეური შინაარსის, სახეებისა თუ მხატვრულ თავისებურებათა განსაზღვრის დროს უშვებს უმნიშვნელო შეცდომებს;

ბ) პასუხის თანმიმდევრობაში შეინიშნება უკმარობა; შეცდომებს უშვებს მეტყველებაში ან გამომეტყველებითი კითხვის დროს.

**შეფასება „3"** იწერება იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლემ ძირითადად სწორად იცის შესწავლილი მასალა; მაგრამ:

ა) შეცდომებს უშვებს მხატვრული ნაწარმოების იდეური შინაარსის გაგებაში, ზუსტად ვერ ახასიათებს მოქმედ პირებს და სათანადოდ ვერ ახდენს იმ მხატვრული გამოსახვის საშუალებათა ჩამოთვლას, რომლებიც მოცემულ მხატვრულ ნაწარმოებში არის გამოყენებული, მაგრამ მალე ასწორებს მათ მასწავლებლის დახმარებით; ან

ბ) შეცდომით ასახელებს ლიტერატურათმცოდნეობის ცნებებს და სწორად ვერ ხსნის მათ მოცემული მასალის საფუძველზე, მაგრამ შეცდომას მალე ხვდება მასწავლებლის ჩარევის შემდეგ და ასწორებს მათ; ან

გ) შეუგნებლად იზეპირებს სახელმძღვანელოში მოცემულ განმარტებებს, მაგრამ მასწავლებლის კითხვებზე ამჟღავნებს დამოუკიდებლობას ცალკეულ საკითხთა განმარტებაში; ან

დ) მასწავლებლის შეკითხვებს ვერ უპასუხებს ამომწურავად, კითხულობს ნაკლებ გამომეტყველებით, შეცდომები მოსდის მეტყველებაში.

**შეფასება „2“** იწერება მაშინ, როცა მოსწავლემ არადამაკმაყოფილებლად იცის ნაწარმოების შინაარსი; არ შეუძლია ანალიზის მოხდენა მასწავლებლის დახმარებითაც კი; მექანიკურად აქვს დამახსოვრებული ცალკეული ადგილები. სახელმძღვანელოდან, მაგრამ საკონტროლოდ დასმულ კითხვებზე ამჟღავნებს ნათქვამის შინაარსში ჩაუწვდომლობას; ვერ კითხულობს ტექსტს გამომეტყველებით; უშვებს უამრავ შეცდომას მეტყველებაში.

**შეფასება „1“** იწერება მაშინ, როცა მოსწავლემ სრულიად არ იცის ახალი ან ადრე შესწავლილი მასალა.

**შენიშვნა:** გამომეტყველებითი კითხვის შეფასება IX—XI კლასებშიც ისე წარმოებს, როგორც V—VIII კლასებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Приложение 5

# ПРИМЕРНЫЕ НОРМЫ ОЦЕНКИ УСТНЫХ ОТВЕТОВ ПО РУССКОМУ ЯЗЫКУ И ЛИТЕРАТУРЕ В ГРУЗИНСКИХ ШКОЛАХ ГРУЗИНСКОЙ ССР

## Введение

Проверка знаний, умений и навыков учащихса грузинских школ по русскому языку имеет большое значение. Она дает возможность учителю учесть, как выполняется установленная для каждого класса учебная программа. Вместе с тем проверка служит целям закрепления и развития приобретаемых учащимися знаний и навыков.

Как правило, проверка знаний, умений и навыков соединяется с их оценкой.

Оценка дает возможность учителю определить качество выполнения учащимися учебной программы, выяснить, на что нужно дополнительно обратить особое внимание, в какой части улучшить и усовершенствовать методику преподавания. Вместе с тем, оценка имеет и воспитательное значение: она является средством движения вперед к улучшению и усовершенствованию знаний и навыков как каждым отдельным учеником, так и всем классом, всей школой.

Оценка знания и навыков учащихся фиксируется учителем в виде отметки цифрами (баллами) 5, 4, 3, 2, 1. При этом очень важно, чтобы одинаковая отметка (оценка) означала бы одинаковый уровень знания учащихся.

Выставление отметок (оценок) за те или иные работы учеников нередко связано с рядом трудностей, если учитель не будет руководствоваться едиными инструктивно-методическими указаниями и едиными нормами. Настоящий документ и включает именно такие указания и нормы.

Проверка знания учащихся проводится учителем регулярно, составляя неотъемлемую часть педагогического процесса. Так называемая текущая проверка (или текущий учёт) проводится почти на каждом уроке. Проверка проводится по каждому пройденному разделу или теме, проверяются знания всех учащихся за каждую учебную четверть года, за весь учебный год. Формы и способы проверки носят разнообразный характер: чтение, ответы на вопросы, рассказывание, упражнения на доске и в тетрадях, пересказ прочитанного, грамматический разбор, устный опрос по грамматической теме. Оценка выставляется в классном журнале в виде определенной отметки.

В классном журнале выставляются все отметки за устные ответы и письменные работы.

## 1. Контрольный устный опрос

В грузинских школах устная проверка знаний и навыков проводится во всех классах и касается всех сторон изучения русского языка:

а) чтения на русском языке;

б) навыков самостоятельной русской речи (ответов на вопросы и рассказывания);

в) сведений по грамматике русского языка;

г) сведений по русской литературе;

Объем и качество этих знаний и навыков указаны в учебных программах по каждому классу. Полное удовлетворение всем программным требованиям и будет служить критерием высшей оценки ответа, соответствующей баллу „5“. В то же время программные требования дают некоторую возможность диференциации ответов, а следовательно, и установления некоторых норм их оценки. Норма есть руководящее указание, устанавливающее отношение учителя к оценке ответов учащихся. Применять предлагаемые нормы следует с учетом всей конкретной обстановки учебной работы в данном классе.

## 2. Нормы оценки чтения вслух

Правильное, плавное и выразительное чтение вслух, показывающее понимание читаемого (сознательное чтение), отве-

чающее основным правилам русского литературного произношения, оценивается отметкой „5“.

Сознательное, правильное, плавное и выразительное чтение вслух снезначительными дефектами со стороны беглости или выразительности оценивается отметкой „4“.

Сознательное чтение вслух с некоторыми дефектами со стороны его правильности (запинки, ошибки, исправляемые при перечитывании и т. п.) оценивается отметкой „3“.

Чтение, не отвечающее основным требованиям сознательности, правильности, беглости и выразительности, оценивается отметкой „2“.

Чтение обнаруживающее полную беспомощность и не отвечающее ни одному из предъявленных к нему требований, оценивается отметкой „1“.

Эти нормы относятся в равной мере как к чтению по книге, так и к чтению наизусть выученных текстов.

## 3. Нормы оценки устных ответов на вопросы и пересказ прочитанного.

Ответы или пересказ, полностью раскрывающие содержание прочитанного, изложенные в должной последовательности правильным русским языком, оцениваются отметкой „5“.

Ответы или пересказ прочитанного с небольшими погрешностями в содержании, или плане, или языке изложения оцениваются отметкой „4“.

Ответы или пересказ прочитанного с более серьезными погрешностями со стороны содержания, или плана, или языка изложения оцениваются отметкой „3“.

Ответы или пересказ прочитанного с серьезными дефектами как в содержании, так и в языке изложения оцениваются отметкой „2“.

Отметки или пересказ, показывающие полное непонимание содержания прочитанного и неумение его изложить, оцениваются отметкой „1“.

## 4. Нормы оценки по грамматике (V—XI классы).

Ответ по грамматике, обнаруживающий умение учащегося правильно объяснить грамматическое явление (сказать грамматиче-

ческое определение или правило), привести нужный пример, сделать самостоятельно грамматический разбор, оценивается отметкой „5“.

Ответ, полностью освещающий вопрос, но имеющий небольшие дефекты по содержанию или языку изложения, при условии устранения этих дефектов самим же учащимся при наводящих или дополнительных вопросах, оценивается отметкой „4“.

Ответ, содержащий недостаточно полное освещение вопроса, или ошибки по содержанию, или по языку изложения, требующий помощи для их преодоления путем наводящих и дополнительных вопросов, оценивается отметкой „3“.

Ответ, обнаруживающий незнание большей части требуемого грамматического материала, или неумение изложить его даже при помощи наводящих и дополнительных вопросов, оценивается отметкой „2“.

Ответ, обнаруживающий полное незнание или непонимание материала, оценивается отметкой „1“.

## 5. Нормы оценки по литературе (V—XI классы)

Ответы по литературе должны характеризовать знание учащимися биографии писателя, содержания художественного произведения, умение анализировать произведение (составить характеристику действующего лица, объяснить идею, рассказать о композиции, языке произведения и т. д.), уметь привлечь элементы теории литературы.

Ответ по литературе, обнаруживающий знание фактического материала и умение правильно и последовательно его анализировать, излагая все правильной русской речью, оценивается отметкой „5“.

Ответ по литературе, обнаруживающий знание фактического материала и умение в основном дать правильную оценку и анализ излагаемого материала, но с некоторымы неточностями, пропусками и небольшими прогрешностями в языке, оценивается отметкой „4“.

Ответ по литературе, свидетельствующий о знании основного фактического материала, но недостаточно глубоком его понимании, а также требующий некоторой помощи со стороны учителя при изложении (наводящих вопросов, поправок и т. п.), оценивается отметкой „3“.

Ответ, обнаруживающий недостаточное знание основного литературного материала и имеющий серьезные дефекты в языке изложения, оценивается отметкой „2“.

Ответ, обнаруживающий полное незнание литературного материала или полную языковую беспомощность в его изложении, оценивается отметкой „1“.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი 6

# მოსწავლეთა ზეპირი პასუხების შეფასების საერთაშორისო ნორმები მათემატიკაში

**შეფასება „5“** ზეპირი პასუხისას იწერება იმ შემთხვევაში; თუ:

ა) თეორიაში ცოდნის შეფასებისას დასმულ კითხვებზე (ძირითადსა და დამატებითზე) პასუხები არის სწორი, სრული და, რაც მთავარია, სრულიად შეგნებული; ზუსტად და სრულიად შეგნებულად არის ჩამოყალიბებული განსაზღვრებები, წესები, აქსიომები და თეორემები: ზუსტად არის გამოყოფილი და ჩაწერილი დასამტკიცებელი თეორემის პირობა და დასკვნა; დამტკიცება ჩატარებულია ლოგიკურად სწორად და სრულად, რისთვისაც მკვეთრად არის გამოყენებული პირობის ყველა მონაცემი და ყველა წინა დებულება, რომლებზედაც დაყრდნობა აუცილებელია; დამტკიცების ჩანაწერი დაფაზე მოცემულია თანმიმდევრულად და გაფორმებულია სწორად; გეომეტრიული ნახაზი შესრულებულია სწორად და აკურატულად; პასუხების დამასურათებელი მაგალითები მოტანილია დამოუკიდებლად; სწორად და რაციონალურად არის შესრულებული აუცილებელი გამოთვლები; გამომჟღავნებულია წესებისა და თეორემების დამოუკიდებლად გამოყენების უნარი;

ბ) მაგალითებისა და ამოცანების ამოხსნის დროს არ არის საჭირო მასწავლებლის მხრივ რაიმეს შესწორება; სწორად და რაც შეიძლება რაციონალურად არის შესრულებული ყველა აუცილებელი მოქმედება და გარდაქმნა, მოცემულია ამოხსნის მსვლელობის სწორი და დასაბუთებული ახსნა-განმარტება; ამოცანის კითხვებზე გაცემულია სწორი და ამომწურავი პასუხი, შესრულებულია მაგალითის ან ამოცანის ამოხსნის შემოწმება, როცა ამას პირობა მოითხოვს; თანმიმდევრულად და აკურატულად არის გაფორმებული ჩანაწერები.

**შეფასება „4“** ზეპირი პასუხისას იმ შემთხვევაში იწერება, თუ დაშვებულია ერთი არაუხეში შეცდომა ან პასუხს აქვს ორი-სამი ნაკლი.

**შეფასება „3“** ზეპირი პასუხისას იმ შემთხვევაში იწერება, თუ ცალკეულ შემთხვევაში დაშვებულია: ერთი უხეში შეცდომა და არაუმეტეს ერთი არაუხეში შეცდომისა; ერთი უხეში შეცდომა და ერთი-ორი ნაკლი; ორი-ოთხი არაუხეში შეცდომა ან პასუხს გააჩნია სამი-ხუთი ნაკლი.

**შეფასება „2“** იწერება იმ შემთხვევაში, თუ პასუხის დროს დაშვებული შეცდომები აღემატება ნიშან „3“-ზე შეფასების ნორმებს.

**შეფასება „1“** იწერება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე სრულიად არ პასუხობს.

**შენიშვნა:** ზეპირი პასუხის დროს შეცდომების კლასიფიკაცია უხეშ, არაუხეშ შეცდომებად და ნაკლად ისეთივეა, რაც დადგენილია მათემატიკაში წერითი ნამუშევრების შეფასების ნორმებში.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი 7

# მოსწავლეთა ცოდნის შეფასების სავარაუდო ნორმები ისტორიაში

**შეფასება „5“** იწერება იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისი კლასის სასწავლო პროგრამის ფარგლებში მოსწავლე:

ა) სწორად განმარტავს ისტორიულ ფაქტებს, ამბებსა და მოვლენებს; ავლენს ისტორიული კანონზომიერებებისა (მოცემული კლასისათვის საჭირო სიღრმითა და მოცულობით) და ცნებების, ისტორიულ ფაქტებს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის სწორ გაგებას; აკეთებს საჭირო დასკვნებსა და განზოგადებებს.

ბ) უშეცდომოდ ასახელებს დასამახსოვრებლად აუცილებელ ქრონოლოგიურ თარიღებს, ტერმინებს, ისტორიულ მოღვაწეთა სახელებს, ისტორიულ-გეოგრაფიულ სახელწოდებებს. თავისუფლად იყენებს სახელმძღვანელოში მოცემული სქემების, დიაგრამების, ცხრილებისა და დოკუმენტების მონაცემებს; ზუსტად უჩვენებს ისტორიულ რუკებზე საჭირო ობიექტებს.

გ) პასუხობს თანმიმდევრულად და ამომწურავად; პასუხის დროს ავლენს დამოუკიდებლობას ისე, რომ არ მიმართავს სახელმძღვანელოს ტექსტის სიტყვა-სიტყვით თხრობას; შეუძლია გამოყოს მთავარი დებულებები, დაასაბუთოს და დაასურათოს ისინი ფაქტებითა და მაგალითებით.

დ) იყენებს მიღებულ ცოდნასა და ჩვევებს - პრაქტიკული ხასიათის დავალებების (გეგმების, ცხრილების, მოვლენათა კალენდრის შედგენა) შესრულების დროს.

ე) პასუხის დროს ავლენს არა მარტო შესასწავლად მიცემული, არამედ უფრო ადრე გავლილი მასალის ცოდნას.

**შეფასება „4“** იწერება იმ შემთხვევაში, როდესაც პასუხი ძირითადად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომელიც დადგენილია „5“-ზე შეფასებისათვის, მაგრამ ამასთანავე მოსწავლე:

ა) უშვებს ზოგიერთ უზუსტობას ისტორიული ფაქტების, ამბებისა და მოვლენების გადმოცემის ან მათი ანალიზის დროს; ან

ბ) ფაქტობრივი მასალის გადმოცემისას უყურადღებოდ ტო-

ვებს არაარსებით საკითხებს, რომელიც პროგრამით არის გათვალისწინებული, ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) უშვებს ერთ-ორ არაუხეშ შეცდომას ქრონოლოგიური თარიღების, ტერმინების, საკუთარი სახელების, ისტორიულ-გეოგრაფიული სახელწოდებების დასახელებისას; ისტორიულ რუკაზე ობიექტების ჩვენებისას უშვებს უზუსტობას.

**შენიშვნა**: ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებები ეხება, როგორც შესასწავლ ისე ადრე შესწავლილ მასალას.

**შეფასება „ბ"** იწერება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ავლენს შესასწავლი და ადრე შესწავლილი ძირითადი საპროგრამო მასალის ცოდნას, მაგრამ ამასთანავე:

ა) არასაკმარისად აქვს ათვისებული პროგრამით გათვალისწინებული ცალკეული ისტორიული ფაქტები, ამბები და მოვლენები ან მათი ზოგიერთი არსებითი ნიშან-თვისება.

ბ) უშვებს ერთ ან ორ არსებითი ხასიათის შეცდომას ფაქტობრივი მასალის თხრობისა და მისი ანალიზის, ან კიდევ ისტორიულ რუკაზე მუშაობისას, ან

გ) უძნელდება გააკეთოს ყველა საჭირო დასკვნები და განზოგადებანი და თავს ართმევს ამ სამუშაოს მხოლოდ მასწავლებლის დახმარებით, ან

დ) ძირითადად პასუხობს სახელმძღვანელოს ტექსტის მიხედვით, ხოლო საკონტროლო კითხვების დროს კი ამჟღავნებს ზოგიერთი გადმოცემული დებულების არასაკმაო გაგებას.

**შეფასება „2"** იწერება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ამჟღავნებს:

ა) საპროგრამო მასალის უსისტემო და ზერელე ცოდნას, ან

ბ) არ იცის და არ ესმის შესწავლილი მასალის უმეტესი ან ყველაზე არსებითი ნაწილი, ან

გ) ვერ ახერხებს დამოუკიდებლად და თანმიმდევრულად უპასუხოს ძირითად საკითხებზე, ხოლო დამატებით და საკონტროლო კითხვებზე იძლევა უთავბოლო და არასრულ პასუხს.

**შეფასება „1"** იწერება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ამჟღავნებს საპროგრამო მასალის სრულ უცოდინარობას.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი 8

# მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საერთაშორისო ნორმები გეოგრაფიაში

## I. ფიზიკურ გეოგრაფიაში

**შეფასება „5“** იწერება, თუ მოსწავლემ:

ა) იცის როგორც ახლად, ისე ადრე შესწავლილი პროგრამული მასალა, სწორად განმარტავს გადმოცემულ ფაქტებს და მათ საფუძველზე დამოუკიდებლად აკეთებს განზოგადებებსა და დასკვნებს, შეუძლია თეორიული დებულებების მტკიცება კონკრეტული მაგალითებით (როცა ეს შესაძლებელია, პირადი დაკვირვებებიდან);

ბ) სწორად აყალიბებს და განმარტავს გეოგრაფიულ ცნებებსა და ტერმინებს;

გ) დარწმუნებით და თანმიმდევრობით უპასუხებს დასმულ კითხვებზე, თავისუფლად ეუფლება მეტყველებას, სწორად წარმოთქვამს გეოგრაფიულ ტერმინებსა და სახელწოდებებს;

დ) შეუძლია გეგმების, ტოპოგრაფიული, ფიზიკური, პოლიტიკური, კლიმატური და დემოგრაფიული რუკების კითხვა და მათი გამოყენებით შესწავლილი გეოგრაფიული ობიექტების, ტერიტორიისა და მოვლენების მოკლე დახასიათების მოცემა;

ე) შეუძლია დიაგრამების, მარტივი გრაფიკების შედგენა, შესწავლილი გეოგრაფიული ობიექტების კონტურულ რუკებზე სწორად და აკურატულად აღნიშვნა;

ვ) შეუძლია აწარმოოს დაკვირვებანი ბუნებაში (ვიზუალურად და ხელსაწყოების მეშვეობით); გააკეთოს მარტივი დასკვნები დაკვირვებებიდან, გაგნება ადგილზე გეოგრაფიული და ტოპოგრაფიული მონაცემებით;

**შეფასება „4“** იწერება თუ, მოსწავლის ცოდნა და ჩვევები ძირითადად აკმაყოფილებს იმავე მოთხოვნილებებს, რაც „5“-ზე შეფასებისათვის არის დადგენილი, მაგრამ ის:

ა) ფაქტების გადმოცემაში; ცნებებისა და ტერმინების განმარტებაში, გადმოცემული დებულებების დასაბუთებაში და დასკვ-

ნების გამოტანაში უშვებს ცალკეულ უზუსტობას, მაგრამ ასწორებს მათ მასწავლებლის მიერ დამატებით დასმული კითხვებით; ან

ბ) უპასუხებს მხოლოდ სახელმძღვანელო ტექსტთან მიმართებით, მაგრამ მასწავლებლის მიერ დასმულ საკონტროლო კითხვებზე პასუხის გაცემისას ამჟღავნებს გადმოცემული მასალის გაგებას; ან

გ) რუკის კითხვაში და რუკაზე გეოგრაფიული ობიექტების ჩვენებაში უშვებს უმნიშვნელო უზუსტობას, რომელსაც მასწავლებლის დახმარებით ადვილად ასწორებს; ან

დ) პრაქტიკული სამუშაოების შესრულებისას, დაკვირვებათა ჩატარებისას და მათი შედეგების დამუშავებისას უშვებს ცალკეულ უზუსტობას; რომელსაც მასწავლებლის დახმარებით ადვილად ასწორებს.

**შეფასება „3“** იწერება, თუ მოსწავლემ იცის და ესმის ძირითადი პროგრამული მასალა, სწორად განმარტავს კონკრეტულ ფაქტებს, გეოგრაფიულ ცნებებსა და ტერმინებს, მაგრამ;

ა) ფაქტების, ცნებების, ტერმინების გადმოცემაში და მათ განმარტებაში უშვებს ორ-სამ შეცდომას; ან

ბ) უპასუხებს ძირითადად მასწავლებლის მიერ დასმულ მისახვედრ კითხვებზე, ან მიმართავს სახელმძღვანელოს ტექსტის სიტყვა-სიტყვით გადმოცემას, უძნელდება მასწავლებლის მიერ დასმულ ზოგიერთ საკონტროლო კითხვებზე პასუხის გაცემა; ან

გ) უძნელდება დამოუკიდებლად (ზეპირად) გეოგრაფიული ობიექტებისა და ტერიტორიის აღწერა რუკის გამოყენებით;

დ) იჩენს დაუდევრობას და ცალკეულ უზუსტობას დიაგრამების, მარტივი გრაფიკების შედგენისა და შესასწავლი ობიექტების კონტურულ რუკაზე აღნიშვნის დროს, მასწავლებლის დაუხმარებლად უძნელდება ხელსაწყოების გამოყენება და ბუნებაში წარმოებულ დაკვირვებათა შედეგების დამუშავების სათანადო დასკვნების გაკეთება.

**შეფასება „2“** იწერება, თუ მოსწავლემ არ იცის პროგრამული მასალის უმნიშვნელოვანესი ანუ ყველაზე უფრო არსებითი ნაწილი; ან

ა) ფაქტობრივი მასალის გადმოცემაში, ცნებებისა და ტერმინების განმარტებაში უშვებს უხეშ შეცდომებს, რომლის გასწორებას ვერ ახერხებს მასწავლებლის მიერ დამატებით დასმულ დამხმარე კითხვებითაც კი; ან

ბ) არ შეუძლია რუკაზე გეოგრაფიული ობიექტების ჩვენება, არ ესმის რუკის პირობითი ნიშნების აზრი და შესწავლილი ობი-

ექტების კონტურულ რუკებზე აღნიშვნისას უშვებს უხეშ შეცდომებს;

გ) არ შეუძლია დაკვირვებების წარმოება ბუნებაში [illegible] საყოველის გამოყენება მასწავლებლის დახმარებითაც კი.

**შეფასება „1“** იწერება, თუ მოსწავლე ამჟღავნებს შესწავლილი მასალის სრულ უცოდინარობას და არ არის დაუფლებული პროგრამით გათვალისწინებულ ცოდნა-ჩვევებს.

## II. ეკონომიურ გეოგრაფიაში

**შეფასება „5“** იწერება, თუ მოსწავლემ:

ა) იცის და ესმის როგორც ახლად, ისე ადრე შესწავლილი პროგრამული მასალა; ქვეყნის სახალხო მეურნეობის დარგების გეოგრაფიული განლაგების ახსნისა და ცალკეული ტერიტორიის ეკონომიურ-გეოგრაფიული დახასიათებისას მოხერხებულად იყენებს ფიზიკურ გეოგრაფიაში მიღებულ ცოდნას; გადმოცემულ თეორიულ დებულებებს ადასტურებს კონკრეტული მაგალითებითა და რუკაზე ჩვენებით; შეუძლია დამოუკიდებლად გააკეთოს საჭირო დასკვნები და განზოგადებანი, ამჟღავნებს ეკონომიურ-გეოგრაფიული რუკის კითხვის, და აგრეთვე პასუხის ანუ დამოუკიდებელი სამუშაოს შესრულებისას სტატისტიკური ცნობარების მონაცემების სარგებლობის ცოდნას;

ბ) სწორად აყალიბებს და განმარტავს შესწავლილ ცნებებს;

გ) ეკონომიურ-გეოგრაფიული რუკითა და სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით სწორად იძლევა ცალკეული ქალაქების, ტერიტორიისა და სხვა ობიექტების მოკლე ზებირ დახასიათებას; შეუძლია კარტოსქემების, გრაფიკების შედგენა და გაანალიზება;

დ) დამაჯერებლად და თანმიმდევრობით გადმოგვცემს მასალას, მსჯელობისას ამჟღავნებს დამოუკიდებლობას, სწორად წარმოსთქვამს გეოგრაფიულ და ეკონომიურ ტერმინებსა და სახელწოდებებს.

**შეფასება „4“** იწერება, თუ პასუხი ძირითადად აკმაყოფილებს იმავე მოთხოვნილებებს, რაც „5“-ზე შეფასებისათვის არის დადგენილი, მაგრამ მოსწავლე:

ა) ფაქტების გადმოცემაში, ცნებებისა და ტერმინების განმარტებაში, გადმოცემული დებულებების დასაბუთებაში და სათანადო დასკვნების გაკეთებაში უშვებს ცალკეულ უზუსტობას, მაგრამ, ადვილად ასწორებს მათ მასწავლებლის მიერ დამატებით დასმული კითხვების საშუალებით; ან

ბ) უპასუხებს მხოლოდ სახელმძღვანელოს ტექსტთან მიახლოებით, მაგრამ მასწავლებლის მიერ დასმულ საკონტროლო კითხვებ-

ზე პასუხის გაცემისას ამჟღავნებს გადმოცემული დებულების გაგებას; ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) რუკის კითხვისა და პრაქტიკული სამუშაოების (გრაფიკების და დიაგრამების შედგენისას, კონტურულ რუკებზე გეოგრაფიული ობიექტების აღნიშვნისა და სტატისტიკური მასალების გამოყენებისას) შესრულებისას უშვებს ცალკეულ უზუსტობას.

**შეფასება „3“** იწერება, თუ მოსწავლემ იცის და ესმის ძირითადი პროგრამული მასალა, სწორად ხსნის კონკრეტულ ფაქტებს, ეკონომიურ-გეოგრაფიულ ცნებებსა და ტერმინებს, მაგრამ:

ა) ფაქტების, ცნებების გადმოცემაში და მათ ახსნა-განმარტებაში უშვებს ერთ-ორ შეცდომას; ან

ბ) გადმოსცემს მასალას ისე, როგორც ეს სახელმძღვანელოშია ჩამოყალიბებული, მაგრამ მასწავლებლის მიერ დასმულ საკონტროლო კითხვებზე პასუხის გაცემისას ამჟღავნებს ცალკეული არსებითი ხასიათის კითხვების არასაკმარის გაგებას; ან

გ) უძნელდება რუკის გამოყენებით ობიექტების ანუ ტერიტორიის დამოუკიდებლად აღწერილობის (დახასიათების) მოცემა, მაგრამ ასეთ დავალებებს ასრულებს მასწავლებლის დახმარებით; ან

დ) დიაგრამების, გრაფიკების, კარტოსქემების შედგენისას და შესწავლილი ობიექტების კონტურულ რუკაზე აღნიშვნისას უშვებს არსებითი ხასიათის შეცდომებს.

**შეფასება „2“** იწერება, თუ მოსწავლემ არ იცის და არ ესმის პროგრამული მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი; ან

ა) ფაქტების, ცნებების, ტერმინების გადმოცემაში და მათ ახსნა-განმარტებაში უშვებს უხეშ შეცდომებს, რომლის გასწორება არ შეუძლია მასწავლებლის მიერ დასმული დამატებითი კითხვების დახმარებითაც კი; ან

გ) არ შეუძლია პროგრამის მოთხოვნილების შესაბამისად ტერიტორიის გეოგრაფიული ობიექტების რუკაზე ჩვენება; არ ესმის პირობითი ნიშნების აზრი; არ შეუძლია დიაგრამებისა და გრაფიკების შედგენა, სტატისტიკური მასალებით სარგებლობა, პასუხის გაცემისას ან დამოუკიდებელი სამუშაოების შესრულებისას თავს ვერ ართმევს პროგრამით გათვალისწინებულ სხვა პრაქტიკულ სამუშაოებს.

**შეფასება „1“** იწერება, თუ მოსწავლე ამჟღავნებს შესწავლილი მასალის სრულ უცოდინარობას და აგრეთვე არ არის დაუფლებული პროგრამით გათვალისწინებულ ცოდნა-ჩვევებს.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი 9

# მოსწავლეთა ცოდნის შეფასების სავარაუდო ნორმები ბიოლოგიაში

**შეფასება „5“** იწერება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე უნაკლოდ ფლობს საპროგრამო მასალას, გადმოსაცემი დებულებების დასაბუთებისათვის იყენებს დამაჯერებელ მაგალითებს (როცა ეს შესაძლებელია პირადი დაკვირვებებისა და შრომითი პრაქტიკის გამოყენებით); სწორად ხსნის კონკრეტულ ფაქტებს, მათ მიხედვით გამოაქვს უმარტივესი დასკვნები; უპასუხებს თანმიმდევრულად და ამომწურავად, სახელმძღვანელოს ტექსტის სიტყვა-სიტყვით გადმოცემის გარეშე; ლაბორატორიულ სამუშაოთა შესრულებისას იყენებს ხელსაწყოებს, ინსტრუმენტებს, დაკვირვებებიდან აკეთებს სწორ დასკვნებს.

**შეფასება „4“** იწერება იმ შემთხვევაში, თუ პასუხი ძირითადად შეეფარდება იმ მოთხოვნებს, რაც დადგენილია „5“-ზე შეფასებისათვის, მაგრამ მოსწავლე:

ა) მასალის გადმოცემის ან ფაქტების განმარტებისას უშვებს ერთ-ორ უზუსტობას; ან

ბ) პასუხის დროს არ სცილდება სახელმძღვანელოს ტექსტს, მაგრამ მასწავლებლის მიერ დასმულ საკონტროლო კითხვებზე პასუხის გაცემით ამჟღავნებს, რომ გადასაცემი მასალა მისთვის გასაგებია; ან

გ) სწორად ასრულებს ლაბორატორიულ სამუშაოს, მაგრამ უძნელდება ზოგიერთი დასკვნის გამოტანა; არასაკმაო სისრულით განაზოგადებს ჩატარებული სამუშაოს შედეგებს.

**შეფასება „3“** იწერება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე ამჟღავნებს ძირითადი საპროგრამო მასალის ცოდნას, მაგრამ:

ა) მასალას სქემატურად გადმოსცემს, უყურადღებოდ ტოვებს ცალკეულ არსებით დეტალებს, უშვებს უზუსტობას განმარტებებში; ან

ბ) უჭირს დასკვნების გამოტანა, განზოგადება და ფაქტების განმარტება, მაგრამ მასწავლებლის დახმარებით თავს ართმევს ამ ამოცანას; ან

გ) სწორად გადმოსცემს თეორიულ მასალას, მაგრამ უჭირს დებულებათა დასაბუთება კონკრეტული ფაქტებით; ან

დ) პასუხის დროს კმაყოფილდება მასალის მხოლოდ სახელმძღვანელოს ტექსტის მიხედვით გადმოცემით, ხოლო მასწავლებლის მიერ დასმულ საკონტროლო კითხვებზე პასუხის გაცემისას ამჟღავნებს, რომ ცალკეული დებულებები არასაკმაოდ აქვს გაგებული; ან

ე) ლაბორატორიულ სამუშაოთა შესრულების დროს არასაკმაო ჩვევებს ამჟღავნებს ხელსაწყოებსა და ინსტრუმენტებზე მუშაობისას, იჩენს დაუდევრობას, მასწავლებლის დაუხმარებლად უძნელდება დასკვნების გამოტანა შესრულებულ სამუშაოთა შედეგების მიხედვით.

**შეფასება „2“** იწერება იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლე:

ა) ამჟღავნებს შესასწავლი მასალის დიდი ან მეტად არსებითი ნაწილის უცოდინარობას; ან

ბ) არ შეუძლია მას კონკრეტული ფაქტების განმარტება და არ ესმის გადმოცემული მასალის პრაქტიკული მნიშვნელობა; ან

გ) დამოუკიდებლად და თანმიმდევრულად ვერ იძლევა პასუხს მასწავლებლის მიერ დასმულ ძირითად და დამხმარე კითხვებზე; ან

დ) ლაბორატორიულ სამუშაოთა შესრულების დროს ვერ ახერხებს ინსტრუმენტებითა და მოწყობილობით სარგებლობას, ვერ ასრულებს დავალებას დამოუკიდებლად.

**შეფასება „1“** იწერება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ამჟღავნებს შესასწავლი მასალის სრულ უცოდინარობას, ხოლო ლაბორატორიულ სამუშაოთა შესრულების დროს არც კი უცდია დავალების შესრულება.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საერთაშორისო ნორმები ფიზიკაში

## ზეპირი პასუხების შეფასება

**შეფასება „5“** იწერება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე:

ა) ამჟღავნებს განსახილველი მოვლენებისა და კანონზომიერების, უმნიშვნელოვანესი კანონებისა და თეორიების ცოდნას, ამ ცოდნის კონკრეტული მაგალითებით დასაბუთებისა და პრაქტიკული დავალებების შესრულების დროს მისი გამოყენების უნარს (IX—XI კლასების მოსწავლეებს უნდა შეეძლოთ, საჭიროებისამებრ, თავიანთი პასუხების დასაბუთება მაგალითებით, რომლებიც ემყარება მათ პირად საწარმოო საქმიანობას);

ბ) იძლევა ძირითადი ცნებების ზუსტ განმარტებას, აგრეთვე ფიზიკური სიდიდეებისა და ერთეულების და მათი გაზომვის ხერხების სწორ განმარტებას;

გ) დამაჯერებლად და ტექნიკურად წიგნიერად ასრულებს პასუხთან დაკავშირებულ ცდებს, ნახაზებს, სქემებს და გრაფიკებს, პირობითი აღნიშვნების მიღებული სისტემის გამოყენებით სწორად აწარმოებს ფორმულების ჩაწერას.

დ) პასუხის გაცემის დროს სიტყვა-სიტყვით არ იმეორებს ტექსტს სახელმძღვანელოდან, ამჟღავნებს დამოუკიდებელ და დასაბუთებულ მსჯელობას, ფიზიკის კურსში როგორც ადრე, ისე ახლად შესწავლილ მასალებსა და აგრეთვე მონათესავე საგნებში შესწავლილ მასალას შორის კავშირის მოძებნის უნარს.

**შეფასება „4“** იწერება იმ შემთხვევაში, როცა პასუხი ძირითადად აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რასაც ითვალისწინებს მოსწავლეთა „5“ ზე შეფასება, მაგრამ მოსწავლე:

ა) უშვებს თითო-ოროლა უზუსტობას, რომელსაც თვითონვე ასწორებს მასწავლებლის მიერ ბიძგის მიცემით; ან

ბ) პასუხის დროს ზუსტად მისდევს სახელმძღვანელოს ტექსტს, მაგრამ მასწავლებლის მიერ დასმული საკონტროლო კითხვების დასმით ამჟღავნებს გადმოსაცემი მასალის ცოდნას; ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) პასუხთან დაკავშირებული ცდების შესრულების დროს უჭირს ცალკეული დასკვნების გაკეთება და ცდის შედეგების განზოგადება.

**შეფასება „3“** იწერება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს სწორად ესმის განსახილველი მოვლენებისა და კანონზომიერებათა ფიზიკური არსი, მაგრამ პასუხის დროს:

ა) ფიზიკის კურსის არსებითი საკითხების შეთვისებაში გააჩნია ცალკეული ისეთი ხარვეზები, რომლებიც არ აბრკოლებს საპროგრამო მასალის შემდგომ ათვისებას; ან

ბ) მასწავლებლის დაუხმარებლად უჭირს გამოიყენოს მიღებული ცოდნა: სხვადასხვა ტიპის ამოცანების ამოხსნის დროს, უმნიშვნელოვანესი თეორიებისა და კანონებზე დაფუძნებული კონკრეტული ფიზიკური მოვლენების ახსნისა და დასაბუთებისათვის ან მისი პრაქტიკაში გამოყენების კონკრეტული მაგალითებით დადასტურებისათვის; ან

გ) პასუხის საილუსტრაციოდ ცდების დემონსტრაციის დროს უნელდება დანადგართა აწყობა, საჭირო ხელსაწყოების შერჩევა და სათანადო პირობების შექმნა ცდის ჩასატარებლად, მაგრამ მასწავლებლის ოდნავი დახმარების გაწევით ამ სამუშაოს დაძლევა შეუძლია; ან არადა

დ) ვერ პასუხობს ამომწურავად, ძირითადად მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე, ან დამახსოვრებული აქვს სახელმძღვანელოს ტექსტის შინაარსი, მაგრამ არასაკმარისად აქვს გაგებული ცალკეული დებულებები.

**შეფასება „2“** იწერება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს:

ა) არ აქვს შეთვისებული საპროგრამო მასალის ძირითადი ნაწილი მიცემული კითხვების ფარგლებში; ან

ბ) არ შეუძლია გამოიყენოს ცოდნა კონკრეტული საკითხების გადასაწყვეტად, ამოცანების ამოსახსნელად ან ცდების ჩასატარებლად; ან არადა

გ) პასუხის დროს ის უშვებს უხეშ შეცდომებს, რომელთა გასწორება არ შეუძლია თუნდაც მასწავლებლის დახმარებით.

**შეფასება „1“** იწერება იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლე ვერ პასუხობს ვერც ერთ დასმულ კითხვაზე და ვერ ასრულებს პრაქტიკულ დავალებებს.

### საკონტროლო წერითი სამუშაოები

საკონტროლო წერითი ნამუშევრების შეფასებისას საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომები და ნაკლოვანებები.

**უხეშ** შეცდომებად ითვლება ისეთები, რომლებიც გვიჩვენებს, რომ:

ა) მოსწავლეს არა აქვს შეთვისებული ძირითადი ფიზიკური თეორიები, კანონები და კანონზომიერებები ან არა აქვს უნარი გამოიყენოს ისინი სხვადასხვა ტიპის ამოცანების ამოსახსნელად;

ბ) მოსწავლემ არ იცის ფორმულები, გრაფიკები, სქემები ან უნარი არ შესწევს მას გამოიყენოს ისინი ამოცანის კონკრეტული პირობებისათვის,

გ) არ იცის ფიზიკური სიდიდეების საზომი ერთეულები და ერთეულთა სისტემები ან არ შეუძლია მათი გამოყენება;

დ) უხეშ შეცდომებს მიეკუთვნება აგრეთვე არასწორად ჩამოყალიბებული ამოცანის კითხვები ან ამოხსნის მსვლელობის არასწორი ახსნა-განმარტება, ამოხსნის ხერხების არცოდნა ისეთი ამოცანებისა, რომელთა ანალოგიური ადრე იყო ამოხსნილი კლასში, აგრეთვე შეცდომები, რომლებიც მოწმობენ ამოცანის პირობის არასწორად გაგებას ან ამოხსნის არასწორ განმარტებას.

**არაუხეშ** შეცდომებად ითვლება:

ა) ნახაზის, გრაფიკის, სქემის არასიზუსტე;

ბ) ამოცანის ამოხსნისას არაზუსტად ჩამოყალიბებული კითხვა ან ახსნა-განმარტება;

გ) ფიზიკური სიდიდეების ერთეულთა სახელწოდებების გამოტოვება ან არაზუსტი დამწერლობა;

დ) ამოხსნის არარაციონალური გზის არჩევა;

ე) ამოცანის ზოგადი სახით ამოხსნის არცოდნა (IX—X კლასის მოსწავლისათვის).

**ნაკლად ითვლება:**

ა) არარაციონალური ჩანაწერები და არარაციონალური ხერხები გამოთვლების, გარდაქმნებისა და ამოცანების ამოხსნის დროს;

ბ) საკითხის ან პასუხის ფორმულირებაში დაშვებული ცალკეული ცდომილებები;

გ) გამოთვლითი ხასიათის ცალკეული შეცდომები;

დ) ჩანაწერების, ნახაზების, სქემების, გრაფიკების დაუდევრად შესრულება.

**შეფასება „5“** იწერება ნამუშევარში, რომელიც შესრულებულია უშეცდომოდ და უნაკლოდ.

**შეფასება „4“** იწერება ნამუშევარში, რომელიც მთლიანად არის შესრულებული, მაგრამ დაშვებულია:

ა) არა უმეტეს ერთი არაუხეში შეცდომისა და ერთი ნაკლისა;

ბ) არა უმეტეს ორი-სამი ნაკლისა;

**შეფასება „3“** იწერება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლემ სწორად შეასრულა მთელი სამუშაოს არანაკლებ ორიმესამედისა, ან დაშვებული აქვს ცალკეულ შემთხვევებში:

ა) არაუმეტეს ერთი უხეში შეცდომისა და ორი ნაკლისა; ან

ბ) არაუმეტეს ერთი უხეში და ერთი არაუხეში შეცდომისა; ან

გ) არაუმეტეს ორი-სამი უხეში შეცდომისა; ან

დ) ერთი უხეში შეცდომა და სამი ნაკლი; ან

ე) შეცდომები არ არის, მაგრამ ნამუშევარს აქვს ოთხი-ხუთი ნაკლი.

**შეფასება „2“** იწერება მაშინ, როდესაც შეცდომებისა და ნაკლის რაოდენობა აღემატება ნორმას, რომლის დროსაც იწერება შეფასება „3“, ან არადა სწორად არის შესრულებული მთელი სამუშაოს ორმესამედზე ნაკლები.

**შეფასება „1“** იწერება მაშინ, როდესაც მოსწავლემ სამუშაოს სულ არ შეასრულა.

## ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოები

**შეფასება „5“** იწერება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლემ:

ა) შეასრულა მთელი სამუშაო და ჩაატარა ცდები და გაზომვები საჭირო თანამიმდევრობის დაცვით;

ბ) დამოუკიდებლად და რაციონალურად აირჩია და დაამონტაჟა საჭირო მოწყობილობა, ყველა ცდა ჩაატარა ისეთ პირობებში და რეჟიმის დაცვით, რომლებიც უზრუნველყოფენ სწორი დასკვნების და შედეგების მიღებას მაქსიმალური შესაძლო სიზუსტით, რაც მოვლენების ფიზიკური არსის ღრმად და სრულყოფილად გაგებას, აუცილებელ კანონზომიერებათა მტკიცე ცოდნას და მის კონკრეტულ პირობებისათვის გამოყენებას მოწმობს:

გ) წარმოდგენილ ანგარიშში სწორად და აკურატულად შეასრულა ყველა ჩანაწერი, ცხრილი, ნახაზი, გრაფიკი, გამოთვლა, შედეგი და დასკვნა;

დ) სწორად შეასრულა ცდომილებათა ანალიზი პირდაპირი (VI—VIII კლასებში) და არაპირდაპირი (IX—XI კლასებში) გაზომვების დროს;

ე) დაიცვა უსაფრთხობის ტექნიკის წესები.

**შეფასება „4“** იწერება იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოს შესრულების მსვლელობა და მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილი ანგარიში ძირითადად შეესაბამება მოთხოვნებს, რაც დადგენილია „5“-ზე შეფასებისათვის, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში:

ა) ცდა ჩატარებულია ისეთ პირობებში, რომლებიც ვერ უზრუნველყოფდა გაზომვებისა და მიღებული შედეგების საკმარის სიზუსტეს; ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) ანგარიშში დაშვებულია საერთო ჯამში ორი-სამი ნაკლი გაზომილი სიდიდეების ჩანაწერებში, გამოთვლებში, ფიზიკური სიდიდეების საზომი ერთეულების სახელწოდებებში, ცდომილებათა ანალიზში, გრაფიკებში, ცხრილებში.

**შეფასება „3“** იწერება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლემ სამუშაო მთლიანად შეასრულა, სწორად ჩაატარა საჭირო ცდები, გაზომვები და გამოთვლები, საერთო ჯამში მიიღო სწორი შედეგები და დასკვნები, რაც შესასწავლი მოვლენების ფიზიკური არსის და აუცილებელ კანონზომიერებათა ცოდნას მოწმობს, მაგრამ:

ა) დანადგარის მონტაჟში, გაზომვებში, ცდის მსვლელობასა და თანმიმდევრობაში დაშვებულია არსებითი ხასიათის ცალკეული შეცდომები, მაგრამ ეს შეცდომები გასწორებულია თვით მოსწავლის მიერვე მასწავლებლის დახმარებით; ან

ბ) ცდა ტარდებოდა არარაციონალურ პირობებში, რის გამოც მიღებულ იქნა შედეგები დიდი ცდომილებით; ან

გ) ანგარიშში საბოლოო ჯამში დაშვებულია ორი-სამი შეცდომა სიდიდეების გაზომვებსა და მათი საზომი ერთეულების ჩანაწერებში, გამოთვლებში, გრაფიკებში სქემებში, ცდომილებათა ანალიზში და ა. შ.; ან

დ) სრულიად არაა შესრულებული ან არასწორადაა შესრულებული ცდომილებათა ანალიზი; ან

ე) სამუშაო არაა დამთავრებული, თუმცა შესრულებული ნაწილის მოცულობა ისეთია, რამაც სწორი შედეგებისა და დასკვნების მიღების საშუალება მოგვცა სამუშაოს ძირითად, პრინციპულად მნიშვნელოვან ამოცანებზე.

**შეფასება „2“** იწერება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლემ:

ა) სამუშაო ვერ დაამთავრა და სამუშაოს შესრულებული ნაწილი რაიმე დასკვნების გაკეთების საშუალებას არ იძლევა; ან

ბ) ცდები, გაზომვები, გამოთვლები, დაკვირვებები ჩაატარა არასწორად, რაც იმას მოწმობს, რომ მას გაგებული არა აქვს შესასწავლი ფიზიკური მოვლენები, არ იცის აუცილებელი კანონზომიერებები, არ შესწევს უნარი გამოიყენოს ისინი მუშაობის კონკრეტული პირობებისათვის, აგრეთვე აკლია მოწყობილობით სარგებლობის ჩვევები, ან არადა

გ) მუშაობის მსვლელობაში და ანგარიშში ერთობლივად გამოვლინდა ნაკლოვანებები, რომლებიც ნავარაუდევია „3“-ზე შეფასების ნორმებში.

**შეფასება „1“** იწერება იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლემ სრულებით არ შეასრულა სამუშაო ან არ დაიცვა უსაფრთხოების ტექნიკის წესები, რის შედეგადაც შეიძლებოდა საფრთხეში ჩავარდნილიყო ლაბორატორიაში მომუშავეთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა.

**შენიშვნა:** იმ შემთხვევაში, როცა მოსწავლემ სამუშაოს შესრულებისა და თვით მუშაობის პროცესში ორიგინალური და უფრო რაციონალური ხერხი გამოიყენა, მაგრამ წარმოდგენილი ანგარიში შეიცავს ნაკლოვანებებს, მაშინ მასწავლებელს, თავისი შეხედულებისამებრ, შეუძლია შესრულებულ ნამუშევარს მისცეს უფრო მაღალი შეფასება, ვიდრე ეს ზემოაღნიშნულ ნორმებშია მოცემული.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საგარაუდო ნორმები ქიმიაში

## I. მოსწავლეთა ზეპირსიტყვიერი პასუხის დროს

**შეფასება „5“** იწერება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე:

ა) პასუხის დროს ამჟღავნებს, რომ მას მართებულად აქვს გაგებული შესწავლილი მოვლენებისა და პროცესების ქიმიური არსი; სწორად აყალიბებს ქიმიურ ცნებებს, კანონებს და თეორიებს; მისთვის ცნობილია შესწავლილი ნივთიერებების თვისებები და ახერხებს მათ გამოცნობას; შეუცდომლად კითხულობს და ადგენს ნივთიერებათა ფორმულებს და ქიმიური რეაქციების ტოლობებს, სწორად განმარტავს მათ თვისებითსა და რაოდენობით მნიშვნელობას;

ბ) განმარტებული თეორიული დებულებების დასადასტურებლად სწორად გამოიყენებს კონკრეტულ მაგალითებს, მან იცის ქიმიური კანონების, თეორიებისა და პროცესების პრაქტიკული მნიშვნელობა, აგრეთვე კონკრეტული ნივთიერებების გამოყენება;

გ) პასუხობს სრულყოფილად, თანმიმდევრობით და ავლენს დამოუკიდებელი მსჯელობის უნარს; მან მტკიცედ იცის როგორც უკანასკნელი, აგრეთვე ადრე შესწავლილი მასალა; საჭირო შემთხვევაში გამოიყენებს სხვა სასწავლო საგნების შესწავლისას, შრომითი და საწარმოო სწავლების პროცესში ათვისებულ ცოდნას.

**შეფასება „4“** იწერება იმ შემთხვევაში, თუ პასუხი ძირითადად შეესაბამება იმავე მოთხოვნებს, რომლებიც მიღებულია „5“-ზე შეფასებისათვის, მაგრამ მოსწავლე:

ა) არაზუსტად და უმნიშვნელო შეცდომებით გადმოგვცემს ფაქტებს, ცნებათა განმარტებებს, კანონებს, თეორიებს და, უმართებულო პასუხების გასწორებას ადვილად ახერხებს მასწავლებლის დამატებითი კითხვების მიხედვით; ან

ბ) პასუხობს სახელმძღვანელოს ტექსტის მხოლოდ მიახლოებით, მაგრამ მასწავლებლის საკონტროლო კითხვებზე პასუხის გაცემის დროს ავლენს შესწავლილი მასალის სათანადო ცოდნას.

**შეფასება „3“** იწერება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ავლენს ძირითადი სასწავლო მასალის ცოდნას და მართებულ ეგგგებას, მაგრამ:

ა) მასწავლებლის დახმარების გარეშე ვერ ახერხებს განმარტებული თეორიული დებულებების დადასტურებას კონკრეტული მაგალითებით ან ქიმიური კანონების, თეორიებისა და პროცესების პრაქტიკული მნიშვნელობის ახსნას;

ბ) მას უძნელდება დასკვნების გამოტანა და განზოგადება მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ სრულყოფილად გადმოგვცემს ფაქტიურ მასალას;

გ) უშვებს ერთ-ორ შეცდომას ნივთიერებათა ფორმულების წაკითხვისას და ქიმიური ტოლობების შედგენის დროს ან მათ თვისებითსა და რაოდენობით განმარტებაში; ან

დ) სქემატურად პასუხობს, არ ეხება არსებითი ხასიათის დეტალებს, ძირითადად გადმოგვცემს სახელმძღვანელოს ტექსტს, ამავე დროს მას არასაკმაოდ აქვს ათვისებული ზოგიერთი განმარტებული დებულება.

**შეფასება „2“** იწერება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლემ:

ა) არ იცის ან მას არ გაეგება სასწავლო მასალის დიდი ან უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი დასმული კითხვების შესაბამისობაში; ან

ბ) ის უშვებს შეცდომებს და ნაკლოვანებებს, რომლებიც მითითებულია „3“-ზე შეფასების მოთხოვნებში; ან

გ) მასწავლებლის დახმარებითაც კი მოსწავლე ვერ ახერხებს პასუხის გაცემის დროს ქიმიის კურსის და სხვა საგნების ცოდნის საფუძველზე, აგრეთვე შრომითი და საწარმოო სწავლების პროცესში ათვისებული ცოდნის გამოყენებას.

**შეფასება „1“** იწერება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსწავლე სრულიად ვერ ერკვევა ძირითად საპროგრამო მასალაში.

## II. ლაბორატორიული სამუშაოების და ექსპერიმენტული ამოცანების ამოხსნის შეფასებისას

ლაბორატორიული სამუშაოების შესრულების და ექსპერიმენტული ამოცანების ამოხსნის შეფასება იწერება შემდეგი შეცდომებისა და ნაკლოვანების აღრიცხვის მიხედვით.

**უხეში შეცდომები:**

ა) დავალების შესრულების პროცესში გამორკვევათა ჩატარება შეუფერებელი თანამიმდევრობით (მითითებული ნივთიერების

მიღება, მისი ფიზიკური და ქიმიური თვისებების განსაზღვრა, ნივთიერებათა გამოცნობა და მათი თვისებითი შედგენილობის გარკვევა), რაც მოწმობს, რომ მოსწავლეს არ გაეგება შესრულებული სამუშაოს ფიზიკური არსი;

ბ) დავალების შესასრულებლად ხელსაწყოს არასწორი მონტაჟი;

გ) შეცდომები ფორმულებისა და რეაქციათა ტოლობების ჩანაწერებში;

დ) მოსწავლეს არა აქვს დაწერილი დასკვნები ან უმართებულო დასკვნა აქვს მოტანილი, რაც მოწმობს, რომ მას არ გაეგება დაკვირვებული მოვლენებისა და ჩატარებული ცდების ქიმიური არსი;

ე) უშიშროების ტექნიკის წესების დარღვევა ხელსაწყოებისა და ქიმიური რეაქტივების გამოყენების დროს.

**არაუხეში შეცდომები:**

ა) მოსწავლე ვერ ახერხებს ქიმიური რეაქტივების შერჩევას დავალების შესასრულებლად, როდესაც რეაქტივები მითითებული არ არის ინსტრუქციით;

ბ) ნივთიერებათა გახსნის, გახურების, დაწდომის, გაფილტვრისა და ამოშრობის წესების დარღვევა;

გ) ხელსაწყოების, ქიმიური ჭურჭლისა და ქიმიური რეაქტივების არასწორად გამოყენება, რაც გავლენას ახდენს მუშაობის შედეგებზე.

**ნაკლოვანებები:**

ა) უყურადღებობა ქიმიური მოვლენების დაკვირვების დროს სამუშაოს შესრულების პროცესში;

ბ) სამუშაოს ამსახველი შედეგების მიხედვით სქემების, გრაფიკებისა და სურათების არაზუსტი შესრულება;

გ) წონისა და მოცულობის არაზუსტად განსაზღვრა;

დ) შესრულებული სამუშაოს შედეგების მიხედვით დასკვნების უმართებულო ფორმულირება, რომელიც არ ამახინჯებს ქიმიურ არსს;

ე) ჩატარებული სამუშაოს დაუდევრად შესრულება.

**შეფასება „5“** იწერება იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო შესრულებულია უნაკლოდ და შეცდომების გარეშე.

**შეფასება „4“** იწერება იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო მოიცავს:

ა) არა უმეტეს ერთი უხეში შეცდომისა; ან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) არა უმეტეს სამი შეცდომისა; ან

გ) ორ შეცდომას და ორ ნაკლს; ან

დ) არა უმეტეს სამი-ოთხი ნაკლისა.

**შეფასება „3“** იწერება იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოში დაშვებულია:

ა) არა უმეტეს სამი უხეში შეცდომისა; ან

ბ) ორი უხეში შეცდომა, ორი ნაკლი ან ერთი შეცდომა; ან

გ) ერთი უხეში შეცდომა, სამი-ორი ნაკლი ან ორი შეცდომა; ან

დ) ოთხი-ხუთი შეცდომა; ან

ე) ხუთი ნაკლი, თუ სხვა შეცდომები არ არის დაშვებული.

**შეფასება „2“** იწერება, თუ სამუშაოში დაშვებულია მეტი შეცდომები და ნაკლოვანებები, ვიდრე ეს გათვალისწინებულია „3“-ზე შეფასებისათვის.

**შეფასება „1“** იწერება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე არ შესდგომია სამუშაოს შესრულებას.

**შენიშვნა:** მასწავლებელს უფლება აქვს შეამციროს ან აამაღლოს შეფასების ნიშანი იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობის შეცდომები და ნაკლოვანებები არის დაშვებული ნამუშევარში.

## III. წერითი სამუშაოების (გაანგარიშებითი ამოცანების ამოხსნა) შეფასების დროს

წერითი სამუშაოების შესრულებისას [შ ე ც დ ო მ ა დ ჩ ა ი თ ვ ლ ე ბ ა:

ა) თუ მოსწავლე ნივთიერებათა ფორმულის, რეაქციათა ტოლობებისა და საწყისი მონაცემების მიხედვით ვერ ახერხებს ნივთიერებების რაოდენობის, პროცენტული შედგენილობის, სიმკვრივის, მოლეკულური წონის განსაზღვრას ფორმულისა და თითოეული კლასისათვის საპროგრამო მოთხოვნათა შესაბამისად ამოცანაში მითითებული მონაცემების მიხედვით;

ბ) ნივთიერებათა უმარტივესი და მოლეკულური ფორმულების არასწორი განსაზღვრა სხვადასხვა პირობებთან კავშირში, რომლებიც მითითებულია ამოცანაში პროგრამის მოთხოვნათა შესაბამისად თითოეული კლასისათვის;

გ) გაზის მოცულობის არასწორი განსაზღვრა ამოცანაში მითითებული კონკრეტული პირობების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნაკლოვანებებს მიეკუთვნება:**

ა) შეუფერებელი თანამიმდევრობით ამოცანის ამოხსნა;

ბ) არითმეტიკული გამოანგარიშების შეცდომები;

გ) სამუშაოს დაუდევრად შესრულება.

**შეფასება „5“** იწერება იმ შემთხვევაში, თუ სამუშაო შეუცდომლად და უნაკლოდ არის შესრულებული.

**შეფასება „4“** იწერება, თუ სამუშაოში დაშვებულია:

ა) არა უმეტეს ერთი-ორი შეცდომისა; ან

ბ) არა უმეტეს ერთი შეცდომისა და ერთი ნაკლისა; ან

გ) არა უმეტეს სამი ნაკლისა.

**შეფასება „3“** იწერება, თუ სამუშაოში დაშვებულია:

ა) არა უმეტეს ოთხი შეცდომისა; ან

ბ) არა უმეტეს ერთი-ორი შეცდომისა და სამი ნაკლისა; ან

გ) სამი არაუხეში შეცდომის და ორი ნაკლისა; ან

დ) არა უმეტეს ექვსი ნაკლისა.

**შეფასება „2“** იწერება, თუ სამუშაოში დაშვებულია მეტი შეცდომები, ვიდრე ეს მითითებულია „3“-ზე შეფასებისათვის.

**შეფასება „1“** იწერება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე არ შედგომია სამუშაოს შესრულებას.

**შენიშვნა:** მასწავლებელს უფლება აქვს შეამციროს ან აამაღლოს შეფასება იმის მიხედვით, თუ რა მნიშვნელობის შეცდომები და ნაკლოვანებებია დაშვებული ნამუშევარში.

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა



# მოსწავლეთა ცოდნის შეფასების სავარაუდო ნორმები უცხო ენებში

## ზეპირმეტყველება

**ნიშანი „5“ იწერება** იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს მოცემული კლასის საპროგრამო მოთხოვნათა ფარგლებში:

ა) კარგად ესმის უცხო ენაზე საუბარი, ან

ბ) ლექსიკური და გრამატიკული შეცდომების გარეშე იძლევა პასუხს კითხვებზე, აკეთებს ინფორმაციას ან

გ) უშვებს 3—4 უმნიშვნელო ფონეტიკურ შეცდომას.

**ნიშანი „4“ იწერება** იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის პასუხი შეესაბამება ნიშან „5“-სათვის დადგენილ მოთხოვნებს, და ამასთანავე:

ა) საუბრის დროს უშვებს 3—4 უმნიშვნელო გრამატიკულ ან ლექსიკურ შეცდომას, მაგრამ მასწავლებლის მითითებით დამოუკიდებლად და სწრაფად შეუძლია მათი გასწორება.

ბ) კითხვებზე პასუხობს შედარებით ნელა.

**ნიშანი „3“ იწერება** იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის პასუხი მოწმობს მის მიერ ძირითადი პროგრამული მასალის ათვისებას, მაგრამ მოსწავლე:

ა) პასუხობს არადამაჯერებლად, ხშირად საჭიროებს მასწავლებლის დახმარებას;

ბ) უშვებს 5—6 ფონეტიკურ, გრამატიკულ ან ლექსიკურ შეცდომას, რომლებიც შეუძლია გაასწოროს მასწავლებლის დახმარებით.

**ნიშანი „2“ იწერება** იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე:

ა) გამოავლენს შესწავლილი ენობრივი მასალის არსებითი ნაწილის უცოდინარობას (დასმული კითხვის ფარგლებში) ან არ შეუძლია მისი პრაქტიკულად გამოყენება (არ შეუძლია ამ მასალაზე საუბრის გაგება და არ შეუძლია თავისი აზრის უცხო ენაზე გამოთქმა);

ბ) ზეპირმეტყველებაში დიდი რაოდენობით უშვებს უხეშ ფონეტიკურ, გრამატიკულ და ლექსიკურ შეცდომებს, რომელთა გასწორება მასწავლებლის დახმარებითაც კი არ შეუძლია.

**ნიშანი „1“ იწერება** იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლემ სრულიად ვერ აითვისა შესწავლილი თემის ენობრივი მასალა და არ აქვს ზეპირმეტყველების ჩვევები (არ ესმის უცხო ენაზე დასმული კითხვები და მიმართვა და არ შეუძლია მათზე პასუხის გაცემა).

## კ ი თ ხ ვ ა

**ნიშანი „5“ იწერება** იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე გამომეტყველებით კითხულობს ტექსტს, აგებულს თითოეული კლასის პროგრამის მოთხოვნილებათა შესაბამისად, სწორი გამოთქმით, მახვილების, პაუზებისა და სწორი ინტონაციის დაცვით და ავლენს წაკითხულის შინაარსის სრულ გაგებას.

**ნიშანი „4“ იწერება** იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის კითხვა ნიშან „5“-სათვის დადგენილ მოთხოვნას შეესაბამება, მაგრამ კითხვის დროს უშვებს:

ა) უმნიშვნელო შეცდომებს გამოთქმაში და ადვილად ასწორებს მათ;

ბ) სამ-ოთხ არასიზუსტეს წაკითხულის გაგებაში.

**ნიშანი „3“ იწერება** იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე:

ა) უშვებს ოთხ-ექვს შეცდომას გამოთქმაში, მახვილში ან კითხვის წესებში;

ბ) სიტყვების მნიშვნელობის არცოდნის გამო ვერ გებულობს წაკითხული ნაწყვეტის ცალკეულ წინადადებებს.

**ნიშანი „2“ იწერება** იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არ შეუძლია ტექსტის სწორად წაკითხვა, უშვებს 6-ზე მეტ უხეშ შეცდომას და არ ესმის წაკითხულის შინაარსი.

**ნიშანი „1“ იწერება** იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეს არ შეუძლია კითხვა და არ ესმის წაკითხულის შინაარსი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 1 თებერვლის ბრძანება № 84

### წითელწყაროს სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გავეცანი რა წითელწყაროს სკოლა-ინტერნატის შემოწმების მასალებს, აღვნიშნავ, რომ სკოლა-ინტერნატს მიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა მუშაობაში გააჩნია სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებები.

აღმზრდელთა ერთი ნაწილი სუსტად მუშაობს, ნაკლებ ყურადღებას აქცევს საშინაო დავალებების მომზადების ორგანიზაციას, არ იბრძვის აღსაზრდელებში დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევების დანერგვისათვის.

აღმზრდელები ს. გორაშვილი, ლ. ტალიაშვილი და სხვები არ ზრუნავენ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებისათვის და ვერ ერკვევიან პედაგოგიურ-აღმზრდელობითი მუშაობის ელემენტარულ საკითხებში.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება რუსული ენა ქართული სექტორის III—IV კლასებში. მასწავლებელი ნ. ნატროშვილი სუსტად ფლობს რუსულ ენას, გაკვეთილის პროცესში უშვებს უხეშ შეცდომებს. ამ კლასების მოსწავლეთა ცოდნის დონე დაბალია.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას მათემატიკის სწავლება V—VIII კლასებში. მოსწავლეებში არ არის დანერგილი ზეპირი ანგარიშის ჩვევები. V—VI კლასების მოსწავლეები არ არიან დაუფლებულნი გამრავლების ცხრილს, შეცდომით ახდენენ წილადების შეკვეცას. მასწავლებლები ი. ქართველიშვილი და ლ. ყოჩიაშვილი გულდასმით არ ასწორებენ საკონტროლო და საშინაო წერის რვეულებს. მათ გასწორებულ საკონტროლო ნაწერებში შეუმჩნევლად რჩებათ მოსწავლეების მიერ დაშვებული უხეში შეცდომები. მოუმზადებლად ატარებენ საკონტროლო წერებს. არადამაკმაყოფილებელ ცოდნას ამჟღავნებენ გეომეტრიაში VII კლასის მოსწავლეები. მათ არ იციან ტრაპეციის, პარალელოგრამის, მართკუთხედისა და კვადრატის

ფართობების გამოანგარიშება. ამავე კლასის მოსწავლეები ვერ ერკვევიან მეტრული სისტემის ძირითად საკითხებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა-ინტერნატის V—VIII კლასების ქართული ენის მასწავლებელი თინათინ გონაშვილი სისტემატურად არ ატარებს საკლასო წერებს და არ ამოწმებს საშინაო დავალებების შესრულებას.

დაბალია VI კლასის მოსწავლეთა წერითი მეტყველების დონე ქართულ ენაში (მასწ. თამარ გონაშვილი). მასწავლებელი არ აძლევს მოსწავლეებს წერის ნიმუშებს. მას ორი მეოთხედის მანძილზე არ ჩაუტარებია საკლასო წერები, იგი იშვიათად ასწორებს საშინაო დავალებას.

დაბალია აგრეთვე წერითი მეტყველების კულტურა რუსულ ენაში სკოლა-ინტერნატის იმ კლასებში, სადაც ასწავლიან მასწავლებლები ნ. ნატროშვილი და ნ. ნანობაშვილი. ისინი დაგვიანებით და უყურადღებოდ ასწორებენ საკონტროლო წერის რვეულებს, ხშირ შემთხვევაში არ აწარმოებენ მუშაობას შეცდომის გასწორებაზე.

ბევრი აღსაზრდელი ჩამორჩება სწავლაში. მიმდინარე სასწავლო წლის II მეოთხედის ბოლოს 280 შეფასებული მოსწავლიდან ვერ ასწრებს 29 მოსწავლე. ადგილი აქვს მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალური შეფასების შემთხვევებს. აღსაზრდელთა დიდი ნაწილი არასაპატიო მიზეზით აცდენს გაკვეთილებს.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას სკოლა-ინტერნატში მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობა. სუსტად მუშაობს დაწყებითი კლასების მეთოდკომისია. მცირეა ჩატარებული ღია გაკვეთილების რაოდენობა, ნაკლებად ეწყობა, გამოცდილების გაზიარების მიზნით, გაკვეთილებზე მასწავლებელთა ურთიერთდასწრება.

არასწორად არის შედგენილი სკოლა-ინტერნატის დღის რეჟიმი, ადგილი აქვს რეჟიმის ცალკეული მომენტების დარღვევის შემთხვევებს.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ სასწავლო ნაწილის გამგე მ. ფაშალიშვილი და უფროსი აღმზრდელი გ. ტოკლიკიშვილი. ისინი არ უწევენ კონტროლსა და დახმარებას მასწავლებლებსა და აღმზრდელებს.

მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს აქვს ადგილი აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციის საქმეში. სკოლა-ინტერნატი დროულად არ მარაგდება პროდუქტებით. სამი თვის განმავლობაში 1/IX-დან 1/XI-მდე აღსაზრდელებს დააკლეს: კარტოფილი 503 კგ, ხილი—2108 კგ, ხორცი—463 კგ, თევზი 820 კგ, რძე 461 ლიტრი, ყველი 224 კგ, კვერცხი 2361 ც. და ა. შ.

აღსაზრდელები არ არიან უზრუნველყოფილი ტანსაცმელ-ფეხსაცმელით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა-ინტერნატი არ არის უზრუნველყოფილი წყლით, რის გამოც არ წარმოებს გათბობა, არ მუშაობს აბანო, სამრეცხაო და სხვა. ინტერნატში დღემდე არ არის დანიშნული ექიმი, არ არის ჩამოყალიბებული მშობელთა კომიტეტი, არ ჰყავთ გამოყოფილი შეფი ორგანიზაცია.

სკოლა-ინტერნატის წინ მდებარე რუსთავში გასაგზავნი კირქვის დასატვირთი მოედნიდან ყველა ოთახებს ეფინება მტვერი და მანქანების ხმაური შეუძლებელს ხდის ნორმალურ მუშაობას.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. წითელწყაროს სკოლა-ინტერნატის დირექციამ:

ა) ერთი კვირის ვადაში შეადგინოს ახალი დღის რეჟიმი, შინაგანაწესით გათვალისწინებული რეჟიმის ყველა ელემენტის გათვალისწინებით, მათი ხანგრძლიობისა და შესრულების დროის დაცვით, მოსწავლეთა ასაკისა და სასკოლო ჰიგიენის მოთხოვნათა შესაბამისად და არ დაუშვას მისი დარღვევა;

გ) გადაჭრით გააუმჯობესოს აღსაზრდელთა კვების ორგანიზაცია და ზუსტად დაიცვას კვების ნორმები. მიაღწიოს იმას, რომ ყველა აღსაზრდელს კვების პროდუქტები ეძლეოდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 31 ოქტომბრის № 748 დადგენილების შესაბამისად;

გ) უმოკლეს ხანში უზრუნველყოს აღსაზრდელები ტანსაცმელითა და ფეხსაცმელებით;

დ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს სკოლა-ინტერნატის მატერიალური ბაზის განმტკიცებას, მიაღწიოს იმას, რომ სკოლა-ინტერნატი უზრუნველყოფილი იქნას სასწავლო სახელოსნოებითა და მიწის ნაკვეთით.

ე) გააძლიეროს ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა, აღმზრდელთა და სკოლა-ინტერნატის სხვა მუშაკთა ყოველდღიურ მუშაობაზე. ღრმად ჩაწვდეს სასწავლო პროცესს და საჭირო რეაგირება მოახდინოს შემჩნეულ ნაკლოვანებებზე. შეისწავლოს მოწინავე აღმზრდელ-მასწავლებელთა მუშაობა და განაზოგადოს მათი გამოცდილება;

ვ) სათანადო სიმაღლეზე დააყენოს მეთოდური მუშაობა. მიმდინარე სასწავლო წლის III მეოთხედიდან შექმნას რუსული ენისა და ისტორია-გეოგრაფიის მეთოდკომისიები.

2. მკაცრად იქნენ გაფრთხილებული სკოლა-ინტერნატის დირექტორი ს. გოგოშვილი, სასწავლო-საალმზრდელო ნაწილის გამგე

მ. ფაშალიშვილი და უფროსი აღმზრდელი გ. ტოკლიკიშვილი, რომ თუ უახლოეს ხანში არ გარდაქმნიან და არ გააუმჯობესებენ მუშაობას, მათ მიმართ მიღებული იქნება მკაცრი ზომები.

3. სიღნაღის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. ე. დალაქიშვილმა მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე შეისწავლოს ამ ბრძანებაში აღნიშნული აღმზრდელებისა და მასწავლებლების მუშაობა, გაუწიოს მათ სათანადო დახმარება და კონტროლი და თუ ისინი არ გამოასწორებენ მუშაობას, საერთო წესის დაცვით, წარმოადგინონ წინადადება სამუშაოდან მათი განთავისუფლების შესახებ.

გადასინჯოს სკოლა-ინტერნატის მუშაკთა შემადგენლობა და უზრუნველყოს სკოლა-ინტერნატის შევსება კვალიფიციური კადრებით.

4. განმეორებით ეთხოვოს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს წითელწყაროს სკოლა-ინტერნატთან მდებარე რუსთავში გასაგზავნი კირქვის დასატვირთავი მოედნის გადაადგილება.

5. ეთხოვოს სიღნაღის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომს მიიღოს ზომები სკოლა-ინტერნატის თბოქსელის, აბანოსა დს სამრეცხაოს წესრიგში მოსაყვანად.

6. ამ ბრძანების ადგილზე გაცნობასა და სკოლა-ინტერნატისათვის პრაქტიკული დახმარების გაწევას ვავალებ ჩემს მოადგილეს მ. ნ. ქოჩაკიძეს და სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსს ამხ. ვ. ჩინჩალაძეს.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 24 იანვრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

---

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# დადგენილება

## განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს სს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიისა

1964 წლის 12 თებერვალი

### ქ. თბილისის 77-ე და 88-ე საშუალო სკოლების კოლექტივების კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაში ჩაბმის ინიციატივის შესახებ

მოისმინა რა ქ. თბილისის 77-ე და 88-ე საშუალო სკოლების დირექტორების ამხ. გ. კობახიძის და ი. გიორგაძის მოხსენებები კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაში ამ სკოლების კოლექტივების ინიციატივის შესახებ, პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი და განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავენ, რომ 77-ე და 88-ე სკოლების დირექციებმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა, ხელმძღვანელობდნენ რა სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებით, პარტიის პროგრამით, სკკპ ცკ 1963 წლის ივნისისა და მომდევნო პლენუმების დადგენილებებით, სერიოზული მუშაობა ჩაატარეს პედაგოგიური კოლექტივების იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის, მარქსისტულ-ლენინური თეორიით მასწავლებელთა შეიარაღებისათვის მოსწავლეთა სწავლების ხარისხის სრულყოფასა და კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის პრინციპებზე მათ აღზრდასთან მტკიცე კავშირში. სკოლის ყველა მასწავლებელი აქტიურად ჩაბმულია კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაში.

აიღეს რა ინიციატივა კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაში ჩაბმის შესახებ მასწავლებლებმა კოლექტიურად შეიმუშავეს

ვალდებულებები და თანმიმდევრულად ახორციელებენ შემდეგ ამოცანებს:

ღრმად დაეუფლონ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, ამაღლონ იდეურ-პოლიტიკური დონე, გაიფართოვონ ზოგადმეცნიერული და კულტურული ჰორიზონტი, სრულყონ პედაგოგიური ოსტატობა საუკეთესო მასწავლებელთა და სკოლების გამოცდილების შესწავლისა და პრაქტიკაში დანერგვის გზით;

განუხრელად დაიცვან კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის ზნეობრივი პრინციპები მუშაობაში, ყოფაცხოვრებაში, პირად ქცევაში, კოლექტივს შიგნით ურთიერთ დამოკიდებულებაში, გამოიჩინონ ურთიერთისადმი ნდობა, პატივისცემა, ჰუმანურობა, ყურადღება და ზრუნვა, გასწიონ ამხანაგური ერთიერთდახმარება, განავითარონ პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა, შეურიგებლობა როგორც თავისი, ისე ამხანაგის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისადმი, გაბედულად ამჟღავნონ ნაკლი და მიაღწიონ მის გამოსწორებას, პასუხისმგებლობით მოეკიდონ დაკისრებულ საქმეს.

მტკიცედ დაიცვან სოციალისტური საერთო ცხოვრების წესები იყონ ამაში მაგალითი თავიანთი აღსაზრდელებისათვის, ერთი მეორისათვის, იცხოვრონ და იმუშაონ პრინციპით: „ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის“;

შემოქმედებითად მიუდგნენ ყოველი გაკვეთილისა და მოსწავლეებთან კლასგარეშე მეცადინეობის ჩატარებას, სისტემატურად აამაღლონ სასწავლო-საალმზრდელო მუშაობის ხარისხი მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების საფუძველზე; მზრუნველობით და ყურადღებით მიუდგნენ თითოეულ მოსწავლეს, გულდასმით შეისწავლონ მისი ინდივიდუალური თავისებურებანი, დროულად და ყოველმხრივ დაეხმარონ მათ საპროგრამო მასალის ათვისებაში, შეუხამონ სამართლიან მომთხოვნელობას მოსწავლეებისადმი მათი პიროვნების პატივისცემა, იქონიონ მუდმივი კონტაქტი მოსწავლეთა მშობლებთან და ამის საფუძველზე მიაღწიონ აკადემიური ჩამორჩენისა და ორწლიანობის თავიდან აცილებას;

აღზარდონ მოსწავლეებში კომუნისტური სულისკვეთება, მეცნიერულ-მატერიალისტური მსოფლმხედველობა, პარტიის, სამშობლოსა და ხალხისადმი უსაზღვრო ერთგულება; ამზადონ მოსწავლეები პრაქტიკული საქმიანობისათვის, ჩაუნერგონ შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულება, მეტი გულთბილობა და გულწრფელობა გამოიჩინონ მოსწავლეებისადმი, მიაღწიონ მოსწავლეებზე სკოლის, ოჯახისა და საზოგადოებრიობის აღმზრდელობითი ზემოქმედების ერთიანობას;

უზრუნველყონ სკოლის მიკრორაიონში ყველა ბავშვისა და სასკოლო ასაკის მოზარდთა საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქტიური მონაწილეობა მიიღონ სკოლის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მის გარეთ; იბრძოლონ მშრომელთა კულტურული დონის ამაღლებისათვის, ჯეროვანი ყურადღება დაუთმონ მოსახლეობის ათეისტურ აღზრდას და მათ შორის პედაგოგიური პროპაგანდის გაწევას.

კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაში 77-ე და 88-ე საშუალო სკოლების პედაგოგიური კოლექტივების ჩაბმამ კეთილსასურველი გავლენა იქონია მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ამაღლებასა და შრომის შედეგებზე. ყველა მასწავლებელი აქტიურად მონაწილეობს იდეურ-პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლებაში; მკვეთრად გაიზარდა დაკისრებული საქმისადმი პასუხისმგებლობა, ამაღლდა მოსწავლეთა სწავლისა და აღზრდის ეფექტურობა და ხარისხი. ბევრი მასწავლებელი აქტიურად მონაწილეობს მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების, აღზრდისა და სწავლების უფრო რაციონალური ხერხების გავრცელებაში; სკოლები აღწევენ საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების შესახებ კანონის განხორციელებას; პედაგოგიური კოლექტივები წარმატებით წყვეტენ მეორეწლიანობის დაძლევის ამოცანებს. ასე, მაგალითად, 1963/64 სასწავლო წლის დასაწყისში 77-ე და 88-ე სკოლებს არც ერთი მეორეწლიანი მოსწავლე არ ჰყოლიათ.

გაუმჯობესდა მოსწავლეთა ცოდნის ხარისხი. წარმატებით წყდება შრომითი და საწარმოო სწავლების ამოცანები.

დღითიდღე უმჯობესდება და კეთილმოწყობილი ხდება 77-ე სკოლის სასწავლო-მატერიალური ბაზა. კაბინეტები, ლაბორატორიები, სახელოსნოები ივსება როგორც სახელმწიფო სახსრებით შეძენილი, ისე მოსწავლეთა თვითნაკეთი იარაღ-ხელსაწყოებით. მიმდინარე სასწავლო წლიდან სკოლა კაბინეტურ სისტემაზე გადავიდა, რამაც საგრძნობლად შეუწყო ხელი გაკვეთილების ეფექტურობას.

საგრძნობლად გაიზარდა პროფკავშირული ორგანიზაციის როლი სკოლის პედაგოგიური კოლექტივის ცხოვრებაში. იგი ატარებს ორგანიზატორულ მუშაობას კომუნისტური შრომის მოძრაობის გასავითარებლად. სისტემატურად აწყობს საწარმოო თათბირებს, სადაც იხილავს საკითხებს მუშაობის გამოცდილების, საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის გატარების, აკადემიური მოსწრების, მოსწავლეთა შორის შეგნებული დისციპლინის განმტკიცების და სხვათა შესახებ.

აღნიშნულ სკოლებში მრავალმხრივი და შინაარსიანი კომ-ზრდელობითი მუშაობა მიმდინარეობს.

კომკავშირელები და პიონერები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სკოლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. სკ-ოლების თითქმის ყველა კურსდამთავრებული სწავლობს უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ან მუშაობს საწარმოში.

სკოლების პედაგოგიური კოლექტივები კარგი ავტორიტეტით სარგებლობენ რაიონის მშრომელთა შორის. მასწავლებელთა უმრავ-ლესობა გამოდის მშრომელთა წინაშე, საწარმოებში ან მოსწავ-ლეთა საცხოვრებელ ადგილებში პოლიტიკური და პედაგოგიური ხასიათის მოხსენებებითა და ლექციებით.

პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია **ადგენენ:**

1. მოწონებულ იქნას ქ. თბილისის 77-ე და 88-ე საშუალო სკოლების ინიციატივა კომუნისტური შრომისათვის მოძრაობაში ჩაბმის შესახებ და რჩევა მიეცეს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ გა-ნათლების სამინისტროებს, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს, პროფკავშირის რაიონულ, საქალაქო და ადგილობრივ კომიტეტებს განიხილონ საწარმოო თათბირებზე, პროფკავშირის წევრთა სა-ერთო კრებებზე, პედაგოგიური საბჭოების სხდომებზე ქ. თბილისის 77-ე და 88-ე საშუალო სკოლების კოლექტივების ინიციატივა კო-მუნისტური შრომისათვის მოძრაობაში ჩაბმის შესახებ, ფართოდ ჩაებან ამ მოძრაობაში, დასახონ და განახორციელონ ღონისძიე-ბები, რომლებიც უზრუნველყოფენ კომუნისტური შრომის კოლექ-ტივის სახელწოდების მოპოვებას.

2. დაწესდეს, რომ კომუნისტური შრომის სახელწოდებას სკოლას ანიჭებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კო-ლეგია და განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესე-ბულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი რაიონის, ქალაქის განათლების განყოფი-ლებისა და პროფკავშირის რაიონული და საქალაქო კომიტეტის წარდგენით.

3. დაევალოს სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს, პროფკავშირის ადგილობრივ, რაიონულ და საქალაქო კომიტეტებს კომუნისტური შრომის სახელის მინიჭებისათვის კოლექტივების წარდგენისას გამოიჩინონ მაღალი მომთხოვნელობა; ამ სახელის მისანიჭებლად წარმოადგინონ მხოლოდ ის კოლექტივები, რომელ-თაც მყარი მიღწევები გააჩნიათ კომუნისტური შრომისათვის მო-

ძრაობის პირობების მიხედვით, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ კომუნისტური შრომისათვის მოძრაობამ არ უნდა აღადგინოს თავის დროზე დაგმობილი სასწავლო მუშაობაში სოციალისტური შეჯიბრების პრაქტიკა.

4. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს (ამხ. დ. ჯავახია), პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საწარმოო-მასობრივი მუშაობის განყოფილებას (ამხ- მ. ლომჯარია) სისტემატური დახმარება გაუწიონ სკოლებს, სახალხო განათლების ორგანოებს, პროფკავშირულ ორგანიზაციებს კომუნისტური შრომის მოძრაობის განვითარებაში.

5. ეს დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში“.

6. დაევალოს გაზეთ „სახალხო განათლების“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ რედაქციებს სისტემატურად გააშუქონ სკოლების, სახალხო განათლების ორგანოების, პროფკავშირული განიზაციების მუშაობა კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის განვითარების საქმეში.

| | |
|---|---|
| განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე<br>**ლ. მაღლაფერიძე** | საქართველოს სსრ განათლების მინისტრი<br>**თ. ლაშქარაშვილი** |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 15 თებერვლის ბრძანება № 126

1964 წ. 15 თებერვალი

## გლდანის № 2 სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

გლდანის № 2 სკოლა-ინტერნატის შემოწმების შედეგად დადასტურდა, რომ მის მუშაობაში, მიუხედავად ერთგვარი წარმატებებისა, სერიოზული ხასიათის ნაკლოვანებებს აქვს ადგილი.

ჯერ კიდევ დაბალ დონეზე ისწავლება ზოგიერთი საგანი (საზოგადოებათმცოდნეობა XI, გეოგრაფია VIII² და ფიზკულტურა VII—XI კლასებში; მასწავლებლები ნ. ბერიაშვილი, კ. გაბუნია და ვ. ოსეფაშვილი) არადამაკმაყოფილებელია დირექციის კონტროლი და დახმარება მასწავლებლებისა და აღმზრდელების მუშაობაზე; ინტერნატის დირექტორს ლ. ღუდუშაურს 1 მეოთხედში მოსმენილი აქვს მხოლოდ 13 გაკვეთილი, სასწავლო ნაწილის გამგეს 24; ინტერნატში არცერთი გაკვეთილი არაა მოსმენილი -ფიზკულტურაში. თავის მხრივ, აღმზრდელები და ზოგიერთი საგნის მასწავლებლები სათანადო დახმარებას არ უწევენ აკადემიურად ჩამორჩენილ აღსაზრდელებს. სასწავლო წლის II მეოთხედში შეფასებულ 302 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 47; სკოლა-ინტერნატს არ ჰყავს არცერთი ხუთოსანი, ოთხოსანია მხოლოდ 11 მოსწავლე. I მეოთხედში ოროსანთა რიცხვი ყველაზე მეტი იყო XI² კლასში (35 მოსწავლიდან ვერ ასწრებდა 11) და VIII¹ კლასში (25 დან—8)—კლასის ხელმძღვანელები ლ. შაფათავა, ს. კუტუბიძე; აღმზრდელები ა. ჭელიძე, ნ. დუმბაძე. სასწავლო წლის I მეოთხედში მოსწავლეების მიერ არასაპატიო მიზეზით გაცდენილია 743 აკადემიური საათი. მოსწავლეებს აკლიათ რუსული ენის, ალგებრის, ტრიგონომეტრიისა და ახალი ისტორიის სახელმძღვანელოები; არ აქვთ ისტორიული

რუკები და სხვა სახის თვალსაჩინო-დიდაქტიკური ხელსაწყოიარაღები; კეთილმოუწყობელია ქიმიის კაბინეტი.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული კულტმასობრივი მუშაობა, არ მუშაობს რადიოკსელი, არ ხდება აღსაზრდელების კოლექტიური წაყვანა კინო-თეატრებში, არ არის ჩამოყალიბებული საგნობრივი წრეები, სუსტია პიონერთა შორის მუშაობა. ნაწილი აღმზრდელებისა არ მუშაობს მთელი დატვირთვით, არ წარმოებს დღის მეორე ნახევარში აღსაზრდელთა წასვლა-მოსვლის აღრიცხვა. უფროსი აღმზრდელი ვ. პიტავა არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობს აღმზრდელების მუშაობას. დღის რეჟიმის შესრულებაზე არაა დაწესებული კონტროლი, რის გამოც ადგილი აქვს აღსაზრდელთა მიერ ინტერნატიდან გაპარვის, დისციპლინის უხეშად დარღვევისა და სისხლის სამართლის დანაშაულებრივ ქმედებათა ჩადენის შემთხვევებს. ა/წლის 25—26 იანვარს სადილის შემდეგ X კლასის მოსწავლეები რ. მეფარიშვილი, გ. გუგუნავა და რ. რთველიაშვილი (კლასის ხელმძღვანელი შ. ნადარეიშვილი და აღმზრდელი დ. ცინცაძე) გაიპარნენ სკოლა-ინტერნატიდან და გაძარცვეს ტაქსის მძღოლი. სკოლა-ინტერნატისათვის მათი გაპარვა ცნობილი გახდა მხოლოდ მაშინ, როდესაც დირექტორმა ლ. ღუდუშაურმა და პ/მგებელმა მორიგემ დ. ცინცაძემ 10 საათზე ჩაატარეს ძილის წინა შემოწმება.

სკოლა-ინტირნატის დირექცია არ ქმნის საჭირო პირობებს მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნებისათვის, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 347 მოსწავლისა ირიცხება 302. საჭირო ყურადღება არ ექცევა სასკოლო და მოსწავლეთა პირადი ჰიგიენის დაცვას. მიუხედავად იმისა, რომ 1963 წლის 1-ლი სექტემბრიდან ამავე წლის 16 დეკემბრამდე აღსაზრდელებზე გაცემულია 6742 მანეთის ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, შეინიშნება, რომ მოსწავლეთა დიდი ნაწილი არ ატარებს მიღებულ ტანსაცმელს, მოსწავლეები არ აბარებენ აღმზრდელებს ნახმარ ტანსაცმელსა და ფეხსაცმელს. 1958 წლიდან დღემდე 5 აღმზრდელზე (მ. ანთელავა, მ. ლაღიძე, მ. მჭედლიშვილი, ს. ჩკალოვა და ა. ხურციძე) ირიცხება 6734 მან. და 41 კაპ. მატერიალურ ფასეულობათა დავალიანება. დირექციამ დღემდე ვერ უზრუნველყო ინტერნატიდან წასულ მოსწავლეთავის ტანსაცმელ-ფეხსაცმელის ჩამორთმევა და ბუხჰალტერიაში ანგარიშის გასწორება, ხოლო დირექტორ ლ. ღუდუშაურს მდგომარეობის გამოსწორების მიზნით არ გაუტარებია საჭირო ზომები.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლა-ინტერნატის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების დამთავრებაზე თბილისის საქალაქო საბ-

ჭოს აღმასკომისა და მთავართბილმშენის მიერ შედგენილია მიღებ-ჩაბარების აქტი და შენობათა კომპლექსი გადაცემულია ექსპლოატაციაში, დღემდე მაინც არ არის დამთავრებული მთელი რიგი სამუშაოები, დაუმთავრებელია ეზოს შემოღობვა და მისი კეთილმოწყობა, სამეურნეო კორპუსში მოწყობილობა-დანადგარების მონტაჟი; გაუყვანელია სუსტი დენის ხაზები (რადიო და ტელეფონის ქსელი).

ამასთან უხარისხოდ არის შესრულებული შენობათა გადახურვის სამუშაოები, რის გამოც ქარებისაგან ძლიერად დაზიანდა სახურავი. გარე ელექტროქსელის გაყვანილობის ტექნიკური ნორმების დაუცველობის გამო ადგილი აქვს მის ხშირ დაზიანებებს.

სკოლა-ინტერნატის დირექციის მიერ დროულად არ იქნა შეძენილი ინვენტარ-მოწყობილობა, რის გამოც სპორტდარბაზი, გასართობი ოთახები და ზოგიერთი სხვა სათავსო ინვენტარის გარეშეა დარჩენილი და გამოუყენებელია. დღემდე არ არის გახსნილი სასკოლო ბუფეტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 24 ივლისის № 80 დადგენილება გლდანის № 2 სკოლა-ინტერნატში სპორტული ბაზების მოწყობის შესახებ არ არის შესრულებული იმის გამო, რომ თბილქალაქპროექტის მიერ დროულად არ იქნა დამუშავებული ტექნიკური დოკუმენტაცია. თბილისის სპორტულ ბაზებში მოსწავლეების გადაყვანისა და უკან დაბრუნებისათვის იხარჯება დიდი თანხა. იგი სათანადოდ არაა ორგანიზებული და იწვევს მოსწავლეთა მიერ დისციპლინის დარღვევას.

სათანადო ყურადღება არ ექცევა სკოლა-ინტერნატის შესაფერისი კადრებით დაკომპლექტებას, სკოლა-ინტერნატი და სპორტული სკოლა რიგ შემთხვევებში ერთობლივად და შეთანხმებით არ იხილავენ საერთო ხასიათის საკითხებს. სკოლა-ინტერნატის დირექცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს მოსწავლეთა სპორტულ მომზადებას, ხშირად მოსწავლის სკოლა-ინტერნატში დატოვების საკითხს წყვეტს სპორტული მონაცემების გაუთვალისწინებლად; სპორტული სკოლის მწვრთნელები არ შედიან პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში და მკვიდრად არ არიან ჩაბმული აღზრდისა და სწავლების ერთიან პროცესში. სკოლა-ინტერნატს არა ჰყავს მზრუნველთა საბჭო და საშეფო ორგანიზაცია.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. სკოლა-ინტერნატის დირექტორმა ლ. ღუდუშაურმა:

ა) გადამჭრელი ზომები მიიღოს კონტინგენტის გეგმით გათვალისწინებულ მოსწავლეთა შერჩევის, მიღებისა და შენარჩუნებისათვის;

გ) გადაჭრით გააუმჯობესოს აღსაზრდელთა შორის საალმზრდელო და კულტმასობრივი მუშაობა, ერთიანად დარაზმოს მასწავლებლები, აღმზრდელები, მწვრთნელები და პედაგოგიური კოლექტივი სასწავლო-აღმზრდელობითი, სპორტულ-მეთოდური მუშაობის ჯეროვან სიმაღლეზე დაყენებისათვის, გაშალოს მოსწავლეებში წრეობრივი მუშაობა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მტკიცე კავშირი დაამყაროს ინტერნატისა და სპორტული სკოლის მუშაკთა შორის, მოსწავლეთა ჩარიცხვის დროს გაითვალისწინოს ბავშვთა აკადემიური მომზადების დონე და სპორტის სხვადასხვა სახეობისათვის აუცილებელი მონაცემები; სპორტული სკოლის დირექტორი და მწვრთნელები, როგორც წესი, შეიყვანოს სკოლა-ინტერნატის პედაგოგიური საბჭოს შემადგენლობაში.

დ) გააძლიეროს დღის მეორე ნახევარში აღმზრდელ-მასწავლებელთა მუშაობა, მიაღწიოს იმას, რომ ყველა მოსწავლე მომზადებული მოდიოდეს გაკვეთილებზე; მთლიანად აღმოფხვრას გაკვეთილების უმიზეზოდ გაცდენისა და დაგვიანების შემთხვევები;

ე) სისტემატურად მოისმინოს გაკვეთილები და გამოვლინებული ნაკლოვანებების გამოსწორების საკითხი გახადოს პედაგოგიური საბჭოს მსჯელობის საგნად;

ვ) დაუყოვნებლივ მოეწყოს სპორტული დარბაზი სათანადო იარაღებითა და მოწყობილობით, ყურადღება მიაქციოს კაბინეტ-ლაბორატორიების შევსებას ხელსაწყო-იარაღებით, მიაღწიოს იმას, რომ მასწავლებლები ფართოდ იყენებდნენ თვალსაჩინოებას; უზრუნველყოს მოსწავლეები სახელმძღვანელოებით; 10 დღეში მოაწყოს სასკოლო ბუფეტი.

ზ) საგანგებო ყურადღება მიაქციოს მოსწავლეთა ჩაცმულობას, დროულად უზრუნველყოს მათზე ნორმით გათვალისწინებული ტანსაცმელ-ფეხაცმლის გაცემა, დაიცვას სასკოლო და მოსწავლეთა პირადი ჰიგიენა, ყურადღება მიაქციოს ესთეტიკურ აღზრდას, ჩამოაყალიბოს მზრუნველთა საბჭო და არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით აქტიურად ჩააბას მუშაობაში საბჭოს წევრები.

2. ეთხოვოს საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრს ამხ. გ. მ. ქართველიშვილს დაავალოს მთავართბილმშენს მიმდინარე წლის I კვარტალში გლდანის № 2 სკოლა-ინტერნატში დარჩენილი სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების დამთავრება.

3. განათლების სამინისტროს კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ დააწესოს კონტროლი დაუმთავრებელი სამუშაოების შესრულებაზე და მიიღოს გადამჭრელი ზომები სპორტულ ნაგე-

ბობათა დროულად დაწყება-დამთავრებაზე; შედეგები ყოველკვარტალურად მოხსენდეს განათლების სამინისტროს კოლეგიას.

4. ეთხოვოს საქართველოს ალკკ გარდაბნის რაიკომს ბერსწავლოს გლდანის სკოლა-ინტერნატში კომკავშირულ-პიონერული მუშაობა და მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით განახორციელოს სათანადო ღონისძიებანი.

5. კადრების განყოფილებამ სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოსთან ერთად (ი. კვაჭაძე, ვ. ჩინჩალაძე) გადასინჯოს გლდანის სკოლა-ინტერნატის აღმზრდელ-მასწავლებელთა შემადგენლობა.

6. სკოლა-ინტერნატის დირექტორს ამხ. ლ. ღუდუშაურს, სასწავლო ნაწილის გამგეს ამხ. ი. ასკურავას და უფროს აღმზრდელს კ. პიტავას სკოლა-ინტერნატის აღმზრდელ მასწავლებლებზე სუსტი კონტროლისა და ხელმძღვანელობისა და სასწავლო სააღმზრდელო მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებათა დაშვებისათვის გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური; მკაცრად იქნენ გაფრთხილებული ისინი, თუ მოკლე დროში არ გარდაქმნიან მუშაობას მოხსნილი იქნებიან სამუშაოდან.

7. სკოლა-ინტერნატის $X^2$ კლასის ხელმძღვანელს შ. ნადარეიშვილს საალმზრდელო მუშაობისადმი დაუშვებელად გულგრილი დამოკიდებულების გამოჩენისათვის, რის შედეგადაც მოსწავლე რ. მეფარიშვილმა, გ. გუგუნავამ და რ. რთველიაშვილმა ჩაიდინეს სისხლის სამართლის დანაშაული, გამოეცხადოს სასტიკი საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

8. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ $X^2$ კლასის აღმზრდელი დ. ციცაძე განთავისუფლებულია სამუშაოდან.

9. სკოლა-ინტერნატის $VIII^1$—$XI^2$ კლასების აღმზრდელებს, კლასის ხელმძღვანელებსა და მასწავლებლებს ლ. შაფათავას, ს. კუტუბიძეს, ა. ჭელიძეს, ნ. დუმბაძეს, ნ. ბერიაშვილს, კ. გაბუნიას, და ვ. ოსეფაშვილს სუსტი მუშაობისათვის მიეთითოთ.

10. სპორტულმა სკოლამ (დირექტორი დ. კინწურაშვილი), რომლის ბაზაზედაც ტარდება სკოლა-ინტერნატის მოსწავლეთა სპეციალური სწავლება, აღმოუჩინოს ყოველგვარი დახმარება სკოლა-ინტერნატის დირექციას მოსწავლეთა შერჩევის, საწარმოო სწავლებისა და სპორტული მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 13 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 15 თებერვლის ბრძანება № 127

## ახალციხისა და ამბროლაურის რაიონების სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ ახალციხისა და ამბროლაურის რაიონებში გარკვეული მუშაობაა ჩატარებული სკოლამდელ დაწესებულებებში სასწავლო-პედაგოგიური მუშაობის სათანადო სიმაღლეზე დასაყენებლად. უმრავლეს სკოლამდელ დაწესებულებათა ეზოებში მოწყობილია ფიზკულტურული მოედნები და სხვადასხვა სათამაშო ადგილები; ბაღები უზრუნველყოფილი არიან დგამავეჯითა და საჭირო ინვენტარით; დიდი ყურადღება ექცევა სანიტარული პირობებისა და დღის რეჟიმის დაცვას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალციხის პირველი, მე-4 და მე-5 და ამბროლაურის რაიონის ნიკორწმინდის საბავშვო ბაღები.

ახალციხის სკოლამდელი დაწესებულებები ძირითადად დაკომპლექტებული არიან კვალიფიციური კადრებით. მათ უმრავლესობას გავლილი აქვს მასწავლებელთა დახელოვნების კურსები; სკოლამდელ მუშაკთა მეთოდგაერთიანება (ხელმძღვანელი ე. ბაიბურთელი) დამაკმაყოფილებლად მუშაობს.

კარგადაა დაყენებული ესთეტიკური აღზრდა ახალციხის რაიონის მე-4 საბავშვო ბაღში (გამგე თ. კალაიჯევი). მიუხედავად არახელსაყრელი ნივთიერი პირობებისა ბაღი ასრულებს დღის რეჟიმს, ყოველი კუთხე გააზრებულად, დანიშნულებისამებრაა გამოყენებული, ყველგან იგრძნობა სისუფთავე, სიფაქიზე და სილამაზე.

ახალციხის რაიონის სკოლამდელ მუშაკთა დიდი ნაწილი მიმზიდველად, საინტერესოდ და შინაარსიანად ატარებს მეცადინეობებს. შემოწმების დროს ახალციხის პირველი საბავშვო ბაღის აღმზრდელმა ე. ბაიბურთელმა მეცადინეობა ფიზიკურ აღზრდაში ვარჯიშის სახით სწორად ააგო; ვარჯიშში ჩართო თამაშობები ბავშვთა მოძრაობების გასავითარებლად; ვარჯიშისას გათვალისწი-

ნებული იყო თითოეული ბავშვის შესაძლებლობა და იგრძნობოდა, რომ აღმზრდელი თითოეული მათგანის შესაძლებლობას ეფექტურად იცნობს.

ქ. ახალციხის მეოთხე საბავშვო ბაღის უფროსი ჯგუფის აღმზრდელმა ნ. საანიშვილმა კარგად ჩაატარა მეცადინეობა მშობლიურ ენაში, მოთხრობა „ბუტიას კერძი გემრიელია“ მხატვრულად წაუკითხა ბავშვებს და მისცა მათ სათანადო ახსნა-განმარტებანი; აღსაზრდელებმა მოთხრობის აზრი გაიგეს და ანალოგიური ფაქტები გაიხსენეს თავიანთი ცხოვრებიდან. აღმზრდელი ნ. საანიშვილი ამ დღის განმავლობაში კარგად ასრულებდა რეჟიმით გათვალისწინებულ ყველა მომენტს. ასევე დამაკმაყოფილებლად მუშაობენ ახალციხის მესამე საბავშვო ბაღის აღმზრდელები თ. კაციაშვილი, ე. ჯაფარიძე, № 5 საბავშვო ბაღის აღმზრდელი ს. ხაჩატურიანი, ქ. ონის საბავშვო ბაღის აღმზრდელი ლ. კობერიძე და სხვ.

მიუხედავად ამ მიღწევებისა, ახალციხისა და ამბროლაურის რაიონების სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობას ახასიათებს სერიოზული ნაკლოვანებანი.

ახალციხის რაიონის ასაინძის ბაგა-ბაღში (გამგე თ. ჭიკაიძე) სრულიად არადამაკმაყოფილებლად დგას როგორც სასწავლო-პედაგოგიური, ასევე სამეურნეო-საფინანსო საქმიანობა; ბაგა-ბაღი ანტისანიტარულ მდგომარეობაშია, ბავშვები სველ ლოგინში არიან მოთავსებული. ამავე დროს აღმზრდელთა უმრავლესობა მეცადინეობას დაბალ დონეზე ატარებს; ბაგა-ბაღს არა ჰყავს მუსიკის ხელმძღვანელი, მოუგვარებულია საბუხჰალტრო აღრიცხვიანობაც— ბუხჰალტერი თ. ტივიძე თვითნებურად ატარებს საბუხჰალტრო დავთრებში დოკუმენტებს, მაგალითად, 8 ოქტომბერს გამოწერილი ფაქტურა მხოლოდ 1 ნოემბერსაა გატარებული. პროდუქტების გაცემა ისე წარმოებს, რომ მენიუ მოთხოვნილება არაა დამტკიცებული ბაგა-ბაღის გამგის მიერ, ადგილი აქვს პროდუქტების მეტნაკლებობას. შემოწმების დღისათვის საწყობს დააკლდა (საწყობის გამგე ა. სააკიანი) 6 კგ კარაქი, 3 კგ ხორცი, 37 ცალი კვერცხი, ზედმეტი აღმოჩნდა 3 ქილა კომპოტი. ამ ბაგა-ბაღში სისტემატურად ირღვევა დღის რეჟიმი; კერძებს ამზადებენ ნავთქურაზე; პირველ საათზე სადილის მაგივრად ბავშვებს აძლევენ სამხარს, ხოლო სამხარის დროს—სადილს; დღის რეჟიმი 2 თვიდან 10 თვემდე ასაკის ბავშვებისათვის და 2 3 წლის ბავშვებისათვის ერთი და იგივეა. ასაინძის ბაგა-ბაღის გ მგეს თ. ჭიკაიძეს შეთავსებით სამი სააღმზრდელო საათი აქვს, რაც კანონსაწინააღმდეგოა.

ამბროლაურის რაიონის საბავშვო ბაღების უმრავლესობა შეგუებულ შენობებშია. შენობები მოძველებულია და ავარიულ მდგომარეობაშია. ძველი და უვარგისია ქ. ონის საბავშვო ბაღის შენობაც, აქ სამეცადინო ოთახებად გამოყენებულია ბნელი და პატარა დერეფნები. ამასთან დაკავშირებით ამბროლაურის რაიონის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყეტილებით ონის საბავშვო ბაღს გადაეცა ახალი შენობა, ხოლო ამბროლაურის საბავშვო ბაღის გადაყვანა გათვალისწინებულია ქალაქის კომუნალური განყოფილების კუთვნილ შენობაში. ბაღების ინვენტარი მოძველებულია; ნაკლები ყურადღება ექცევა სამეცადინო ჯგუფების მხატვრულად და გემოვნებით გაფორმებას, ოთახებში გაკრულია მხატვრული სურათების მოძველებული რეპროდუქციები; ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა აგრეთვე აღსაზრდელთა შორის სათანადო ქცევებისა და სწორმეტყველების კულტურის დანერგვის საქმეს. ამბროლაურის საბავშვო ბაღის ზოგიერთი აღმზრდელის მიერ შემოქმედებითი თამაშის შინაარსი არასწორადაა გაგებული, თამაშის დროს აღმზრდელი თვითონ უსაზღვრავს აღსაზრდელებს თამაშის თემასა და შინაარსს, რაც ზღუდავს ბავშვთა შემოქმედებით უნარს. ონისა და ამბროლაურის საბავშვო ბაღებს არა აქვთ მუსიკალური მეცადინეობისათვის ოთახები, რაც დიდად აფერხებს ბავშვების მუსიკალურ აღზრდას. ამბროლაურის საბავშვო ბაღში დარღვეულია საშტატო დისციპლინა: უმცროსი ჯგუფის აღმზრდელს მ. ნიკოლაიშვილს განაკვეთნახევარი აქვს; ძიძა-დამლაგებლის საშტატო ერთეულზე ორი ძიძა-დამლაგებელი მუშაობს. ამბროლაურის რაიონში სკოლამდელ მუშაკთა მეთოდგაერთიანება არ მუშაობს.

სრულიად არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული სამედიცინო მომსახურება როგორც ახალციხის, ასევე ამბროლაურის სკოლამდელ დაწესებულებებში. ახალციხის რაიონის არცერთ საბავშვო ბაღს ექიმი ან ექთანი არ ჰყავს. ამბროლაურის საბავშვო ბაღს არ ჰყავს მშობელთა კომიტეტი და საშეფო ორგანიზაცია; რაიონის საბავშვო ბაღებში დარღვეულია კვების ნორმები.—თითოეული ბავშვის კვებაზე დღეში ნაცვლად 59 კაპ. ხარჯავენ 48 კაპიკს. სკოლამდელი დაწესებულებები ცუდად მარაგდებიან ხილბოსტნეულით, რძითა და რძის ნაწარმით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ახალციხისა და ამბროლაურის რაიონების სკოლამდელ დაწესებულებათა გამგეებმა:

ა) უმოკლეს დროში უზრუნველყონ სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის საათანადო სიმაღლეზე დაყენება;

ბ) აღმზრდელთა მუშაობაზე სისტემატური კონტროლითა და დახმარებით მიაღწიონ სასწავლო-პედაგოგიური მუშაობის გაუმჯობესებას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მუშაობის სწორად აგებგმვა-აღრიცხვის საქმეს;

დ) უზრუნველყონ სკოლამდელი დაწესებულებები სასწავლო ნივთებით, სათამაშოებით, დიდაქტიკური მასალებითა და სპორტული ინვენტარით;

ე) ყურადღების ცენტრში დააყენონ აღმზრდელთა მუშაობა, მიაღწიონ იმას, რომ მეცადინეობები ტარდებოდეს ბავშვებისათვის მისაწვდომად და საინტერესოდ;

ვ) განტვირთონ საალმზრდელო ჯგუფები შეუფერებელი და გამოუყენებელი ნივთებისაგან;

ზ) ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ შენობების ინტერიერის გაფორმებასა და აღსაზრდელებში კულტურული ქცევისა და კერძის წესიერად ჭამის ჩვევების დანერგვის საქმეს.

2. ახალციხის განათლების განყოფილებამ (გამგე ბ. ახვლედიანი) სასწრაფო ზომები მიიღოს და უზრუნველყოს ასპინძის ბაგა-ბაღის ნორმალური მუშაობა. საწყობის გამგე ა. სააკიანი, რომელიც ვერ იმსახურებს ნდობას როგორც მატერიალურად პასუხიმგებელი პირი, გაათავისუფლოს სამუშაოდან, დააფარვინოს მას ბრძანებაში აღნიშნული დანაკლისი პრდუქტების ღირებულება და ზედმეტად აღმოჩენილი პროდუქტები შეიტანოს შემოსავალში; ბუხჰალტერს თ. ტივიძეს საბუხჰალტრო საქმიანობის მოუწესრიგებლობისათვის დაადოს სათანადო სასჯელი, ხოლო ბაგა-ბაღის გამგეს თ. ჭიკაიძეს დაუყოვნებლივ ჩამოართვას საალმზრდელო საათები და დაადოს სასჯელი ბაგა-ბაღში სასწავლო-პედაგოგიური და საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის მოუწესრიგებლობისათვის.

2. ამბროლაურის განათლების განყოფილებამ (გამგე ვ. ჯაფარიძე):

ა) სასწრაფო ზომები მიიღოს სკოლამდელ დაწესებულებათა ნივთიერი ბაზის განსამტკიცებლად;

ბ) მტკიცედ დაიცვას სკოლამდელ დაწესებულებათა სწორად შერჩევის პრინციპი; ამბროლაურის საბავშვო ბაღის აღმზრდელს გ. ნიკოლაიშვილს ჩამოართვას სამი საალმზრდელო საათი და გადასცეს იგი კვალიფიციურ პირს.

ახალი სასწავლო წლიდან გადაიყვანოს შესაფერის თანამდებობაზე ჭრებალოს საბავშვო ბაღის გამგე მ. კიკაბიძე.

მომავალში არ დაუშვას საშტატო ერთეულების არადანიშნულებისამებრ გამოყენება;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) მისცეს განმარტება საბავშვო ბაღის ხელმძღვანელებს, რომ თითოეულ ბავშვზე კვების დღიურ ნორმას 59 კაპ. შეადგენს და უზრუნველყოს ბავშვთა კვება ამ თანხების ფარგლებში;

დ) მიამაგროს საბავშვო ბაღებზე საშეფო ორგანიზაციები და ჩამოაყალიბოს სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელების მეთოდგაერთიანება.

4. დაისვას საკითხი საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წინაშე ახალციხისა და ამბროლაურის საბავშვო დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების შესახებ.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 13 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 28 თებერვლის ბრძანება № 169

## რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივმა კომისიამ შეისწავლა რესპუბლიკის 105 საშუალო სკოლაში მათემატიკის სწავლება. კომისიის მიერ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელზე წარდგენილ ნარკვევ მასალაში მათემატიკის სწავლების დონე შემდეგი სახით არის დახასიათებული.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე ეტაპი გადაჭრით მოითხოვს როგორც სპეციალისტ მათემატიკოსთა დიდი რაოდენობით მომზადებას ასევე თითქმის ყველა დარგის სპეციალისტის მათემატიკური კულტურის დონის ამაღლებას.

მიმდინარე სასწავლო წლიდან მათემატიკის სწავლება IX კლასში ახალი პროგრამით წარმოებს. ეს პროგრამა არსებითად განსხვავდება წინათ მოქმედი პროგრამებიდან. საკითხების ნაწილი, რომლებიც მხოლოდ უმაღლეს სკოლებში ისწავლებოდა, კერძოდ ვექტორული ალგებრისა და მათემატიკური ანალიზის ზოგიერთი საკითხი, ახალი პროგრამით გადატანილია საშუალო სკოლაში. უმაღლესი მათემატიკის ძირითადი ცნებების საშუალო სკოლის კურსში გადატანამ არსებითად შეცვალა სასკოლო კურსი. ეს ცვლილება შეესაბამება ახალ მოთხოვნილებებს, მაგრამ ამავე დროს სერიოზულ მომზადებას მოითხოვს საშუალო სკოლის მასწავლებლებისაგან. მათემატიკის სწავლების წესიერად დაყენებაზე მრავალი ფაქტორი მოქმედებს, მაგრამ ყველაზე მთავარი და გადამწყვეტი მასწავლებელია, მისი შემოქმედებითი უნარით, მაღალი მათემატიკური კულტურით, თავისი პროფესიის სიყვარულით და მოქალაქეობრივი მოვალეობის შეგნებით.

შემოწმებით დადასტურდა, რომ რესპუბლიკის სკოლების მათემატიკის მასწავლებელთა ერთი ნაწილი ნაყოფიერად მუშაობს, სათანადო პასუხისმგებლობით ეკიდება მასზე დაკისრებულ მოვა-

ლეობას, იყენებს მოწინავე პედაგოგიურ გამოცდილებას, სიახლის ძიებაში არის და შედეგებიც კარგი აქვს. ასეთ მასწავლებელთა რიცხვს ეკუთვნიან: ა. გამაზოვი (თბილისის 42 ე საშ. სკოლა), ე. ერქომაიშვილი, მ. ბაუმბერგი (თბილისის 66-ე საშ. სკოლა), დ. გიორხელიძე (თბილისის 55-ე საშუალო სკ.), გუგუნავა (ქობულეთის საშ. სკოლა), ლ. ღლონტი (მუხაესტატეს საშ. სკ.), ვ. თალაკვაძე, თ. კვაჭ ძე, ე. კილასონია, ქ. თალაკვაძე, ვ. შარობა, ვ. ჟღენტი, ე. კაინფელდი, ლ. ლომთათიძე, შ. კობალავა, მ. ხინთიბიძე, მ. გოხიძე, ვ. ქართველიშვილი (ქ. ბათუმის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-7, მე-8, მე-9, მე 14, მე-20 და 22-ე საშ. სკ.); მ. ბასილაია, ჯოჯუა, მ. ქირია, გ. ჩებელინსკაია, ა. კასავიანი, მ. ბურშტეინი, ა. ბეჭვაია, ო. მერკულოვი, ნ. ლომაია, (ქ. სოხუმის 1-ლი, მე-6, მე-8, მე-12, მე-14, და მუშა ახალგაზრდობის 1-ლი საშ. სკ.), ო. ბერიშვილი, კ. ჩლაიძე (ონის 1-ლი, მე-2 საშ. სკოლა), შ. ჯაფარიძე (ამბროლაურის 1-ლი საშ. სკ.).

მაგრამ დადასტურდა ისიც, რომ ჯერ კიდევ არიან ისეთი მასწავლებლები, რომლებიც სათანადო პასუხისმგელობით არ ეკიდებიან თავიანთ მოვალეობას, არ იმაღლებენ კვალიფიკაციას, არ ემზადებიან გაკვეთილებისათვის, ნაკლებად იყენებენ თვალსაჩინოებას, ლიბერალურად აფასებენ მოსწავლეთა ცოდნას. მაგალითად, თბილისის 65 ე საშუალო სკოლის მასწავლებელ პ. ვ. სილაგაძეს არა აქვს მათემატიკური განათლება, იგი მასალის ახსნისას ხშირად უშვებს უხეშ შეცდომებს. თბილისის 24-ე საშუალო სკოლაში (მასწავლებელი ზ. ღვინეფაძე) საკონტროლო წერაზე X კლასის 30 მოსწავლიდან არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო—26, ხოლო VIII კლასის 32 მოსწავლიდან—25, ჩაქვის რაიონის ხალას საშუალო სკოლის (მასწავლებელი მ, ლორთქიფანიძე) VI კლასის 18 მოსწავლიდან—18-მა. ქ. თბილისის I საშ. სკოლის XI კლასის 14 მოსწავლიდან—10, VIII კლასის 19 მოსწავლიდან—19, VI კლასის 22 მოსწავლიდან—21, ს/ოსეთის ა/ოლქის სკოლების 738 მოსწავლიდან—307-მა. ასევე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს მათემატიკაში ბათუმის 22-ე (მასწ. ბ. ბერიძე), ჩაქვის (მასწავ. ნ. ლაჟინია), მუხაესტატეს (მასწავ. ე. გოგუაძე), აჭარისწყლის (მასწ. ო. გორგოშიძე, მ. თურმანიძე, ა. აფაქიძე), ჩაქვის რუსული (მასწ. ი. სტოიოვსკაია), ქ. სოხუმის 1-ლი (მასწ. პ. წეროძე), სოხუმის მე-12 (მასწ. ნ. გვასალია, მ. ჩიხლაძე), ამბროლაურის რაიონის ონის მე-2 (მასწ. თ. გამყრელიძე), ამბროლაურის რაიონის ჭრებალოს (მასწ. ი. ბერაძე და ი. წეოეთელი), სადმელის (მასწ. ვ. შარაბიძე), ახალციხის რაიონის ადიგენის, უდეს, აწყურისა და ახალციხის 1-ლი ს შუალო

სკოლების მოსწავლეებმა. ამბროლაურის რაიონის ღარის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი მ, მეტრეველი მოსწავლეებს ძალზე დაბალ მოთხოვნილებას უყენებს. V კლასში საკონტროლო წერა-სათვის მან ძალზე იოლი მაგალითები შეარჩია. VI კლასში მოსწავლეებმა გეომეტრიაში დაბალი მომზადება გამოამჟღვნეს, თვით მასწავლებლის თხრობაში არ იგრძნობა დამაჯერებლობა; VIII კლასში ვერცერთმა მოსწავლემ ვერ შესძლო დამოუკიდებლად ამოეხსნა სრული სახის დაყვანილი კვადრატული განტოლება. ახალციხის რაიონის სკოლებში მათემატიკის 68 მასწავლებელი მუშაობს, აქედან 51-ს აქვს უმაღლესი განათლება, ხოლო 17 უმაღლესდაუმთავრებელია; ამავე დროს მათი უმრავლესობა არ ემზადება გაკვეთილებისათვის, არ ადგენს გაკვეთილის გეგმას და არ იყენებს სწავლებისას თვალსაჩინოებას. მასწავლებელთა მეტყველება უმეტესად არალიტერატურულია, ხშირ შემთხვევაში მასწავლებლები გეომეტრიაში ნახაზებს დაფაზე ცუდად ასრულებენ და სხვ.

ზემოაღნიშნული მასალების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო შემდეგი დადგენილება.

## „დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ი. მ. ბუაჩიძის მოხსენება საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შესახებ აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის სკოლებში შესამჩნევად გაუმჯობესდა მათემატიკის სწავლება.

ამასთან, ზოგიერთ სკოლაში მათემატიკის სწავლების საქმეში ჯერ კიდევ ადგილი აქვს სერიოზულ ნაკლოვანებებს. ჩატარებული შემოწმებით გამოვლინდა, რომ ქ. თბილისის, სოხუმის, ცხინვალის,

ახალციხის და სხვა რაიონების ზოგიერთ სკოლაში სათანადო სიმაღლეზე არ დგას მათემატიკის სწავლება. განათლების ორგანოები არ იღებენ საჭირო ზომებს ამ საგნის სწავლების უკეთ დაყენებისათვის. გაუმჯობესებას საჭიროებს სკოლების მათემატიკის მაღალკვალიფიციური მასწავლებლებით დაკომპლექტებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების საქმე. ზოგიერთი რაიონული და საქალაქო საბჭოს აღმასკომი სათანადო მზრუნველობას არ იჩენს სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისა და სოფლად მომუშავე მასწავლებელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისადმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო განათლებისა და კულტურის მუდმივი კომისიის მოხსენებითი ბარათი საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შესახებ განსახილველად და მასში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად გაეგზავნოს საქართველოს სსრ მინიტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებს და მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს.

2. საქაროველოს სსრ განათლების სამინისტრომ პერიოდულად შეისწავლოს მათემატიკის სწავლების მდგომარეობა რესპუბლიკის სკოლებში და განიხილოს ეს საკითხი კოლეგიის სხდომებზე, გააუმჯობესოს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმე, მიიღოს გადამჭრელი ზომები სკოლების ინვენტარითა და სასწავლო მოწყობილობით უზრუნველყოფისათვის.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ერთად დასახოს ღონისძიებანი უმაღლეს სასწავლებლებში საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელთა უკეთ მომზადების მიზნით.

4. მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა სისტემატური დახმარება გაუწიონ სკოლებს რემონტის ჩატარების, გათბობა-განათებისა და ინვენტა-

რის შეძენის საქმეში. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მასწავლებელთა კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურებასა და შეუქმნან მათ მუშაობისათვის საჭირო პირობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის თავმჯდომარე — **გ. ძოწენიძე**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი — **ზ. კვაჭაძე**

ქ. თბილისი. 1964 წლის 28 იანვარი".

აღნიშნული დადგენილების განსახორციელებლად
**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ**

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებმა საფუძვლიანად განიხილონ კოლეგიისა და სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე ზემოაღნიშნული დადგენილება და დასახონ საჭირო ღონისძიებანი მის განსახორციელებლად, მიმდინარე სასწავლო წლის ბოლოს შეისწავლონ ბრძანებაში ჩამოთვლილი სუსტად მომუშავე მასწავლებლების საქმიანობა და იმ შემთხვევაში თუ, მათი მუშაობა კვლავ არადამაკმაყოფილებელი იქნება, სათანადო წესის დაცვით წარმოადგინონ პროექტი სამუშაოდან მათი განთავისუფლების შესახებ.

2. სკოლების სამმართველომ:

ა) დასახელებული დადგენილების განხორციელების საქმეში სკოლებისათვის კონკრეტული დახმარების მიზნით II კვარტალის სამუშაო გეგმაში გაითვალისწინოს სათანადო ღონისძიებანი;

ბ) ახალი სახელმძღვანელოების გამოსვლამდე უზრუნველყოს მეთოდური წერილების შედგენა-დამზადება და მათი სკოლებამდე დაყვანა.

3. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ უზრუნველყოს სკოლები სადემონსტრაციო და ინდივიდუალური ლოგარითმული სახაზავებით, თვალსაჩინო მასალით, ფერადი ცარცით, ინვენტარითა და სასწავლო მოწყობილობით.

4. მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტმა გაითვალისწინოს ღონისძიებანი მათემატიკის მასწავლებელთა დახელოვნების საქმის შემდგომი გაუმჯობესების მიმართულებით.

5. პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა სისტემატურად შეისწავლოს მათემატიკის მოწინავე მასწავლებელთა მუშაობა და ფართოდ განაზოგადოს მათი გამოცდილება.

6. გაზეთ „სახალხო განათლებასა“ და ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებას“ რედაქციებმა სისტემატურად მოათავსონ მეთოდური ხასიათის წერილები მათემატიკის სწავლების აქტუალურ საკითხებზე.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 13 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მ ი ნ ი ს ტ რ ი — თ. ლაშქარაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 28 თებერვლის ბრძანება № 170

### საყოველთაო-სავალდებულო 8 წლიანი სწავლების კანონის განხორციელების შესახებ ქ. ქუთაისის, სამტრედიის, ამბროლაურის, საჩხერისა და ცაგერის რაიონების სკოლებში

გავეცანი რა, ქ. ქუთაისის, სამტრედიის, ამბროლაურის, საჩხერისა და ცაგერის რაიონების სკოლებში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების მდგომარეობის შესახებ შესაბამისი განათლების განყოფილებათა გამგეების მოხსენებებს, აღვნიშვნავ, რომ ქ. ქუთაისში საყოველთაო-სავალდებულო 8 წლიანი განათლების განხორციელების საკითხი გადაქცეულია საყოველთაო-სახალხო საქმედ და შექმნილია ყველა პირობა, რათა სასკოლო ასაკის ყველა ბავშვი სწავლობდეს სკოლაში. ეფექტური ღონისძიებების შედეგად მთლიანად შესრულებულია მოწავლეთა კონტინგენტის გეგმა.

სუსტია ცაგერის, საჩხერის, ამბროლაურის, სამტრედიის რაიონების სკოლების სასწავლო მატერიალური ბაზა. ბევრ სკოლაში არაა მოწყობილი სასწავლო კაბინეტები და სახელოსნოები. ზოგიერთი სასკოლო შენობა ვერ აკმაყოფილებს სკოლის მოთხოვნებს. განათლების განყოფილებებისა და სკოლების გარკვეული ნაწილის მიერ არ ტარდება ჯეროვანი მუშაობა მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმის შესასრულებლად და არსებული კონტინგენტის შესანარჩუნებლად. მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმას დააკლდა საჩხერის რაიონში 512, მათ შორის I—VIII კლასებში—413, ცაგერის რაიონში 79, ამბროლაურის რაიონში 84, სამტრედიის რაიონში 51 ბავშვი.

სამტრედიის რაიონში არასწორად იყო ჩატარებული პირველ კლასში მისაღები ბავშვების აღრიცხვა. მაგ. ივანდიდის 8 წლიან სკოლას (დირექტორი ე. ჭოლოკავა) აღრიცხვით ჰყავდა პირველ კლასში ჩასარიცხი 48 ბავშვი, მიიღეს 22, შესაბამისად, მათხოჯის საშუალო სკოლაში (დირექტორი ა. უგულავა) 46-ის ნაცვლად—31,

ჯიხაიშის საშუალო სკოლაში (დირექტორი პ. ლეჟავა) 43-ის ნაცვლად—33 ბავშვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულაშის სტურუას სახ. საშუალო სკოლაში (დირექტორი ნ. შენგელია) 1955/1956 სასწავლო წელს პირველ კლასში მიღებული 101 ბავშვიდან 8 კლასი დაამთავრა 42 ბავშვმა; შესაბამისად ცაგერის რაიონის სკოლების პირველ კლასში მიღებული 509 მოსწავლიდან 8 კლასი დაამთავრა 387. ყველა 8 კლასდამთავრებული მოსწავლე არ აგრძელებს სწავლას მე-9 კლასში, 8 კლასდამთავრებული 380 მოსწავლიდან მე-9 კლასში სწავლობს 267 მოსწავლე. არ სწავლობს 113 მოზარდი. სუსტად არის დაყენებული მუშაობა მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან; ამბროლაურის რაიონში სასწავლო წლის პირველ ნახევარში 64 მეორეწლიანი მოსწავლიდან ვერ ასწრებს 22 მოსწავლე; არ სწავლობს მეორეწლიანი მოსწავლეებიდან საჩხერის რაიონში 165, ამბროლაურის რაიონში—86, სამტრედიის რაიონში—54, ქ. ქუთაისში—68.

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ქ. ქუთაისის (ი. გენძეხაძე), საჩხერის (გ. სადუნიშვილი), ამბროლაურის (ვ. ჯაფარიძე), სამტრედიის (ვ. თევზაძე) და ცაგერის (კ. გოდოლაძე) რაიონების განათლების განყოფილებებმა:

ა) გაატარონ ყველა საჭირო ღონისძიება, საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განუხრელად განხორციელების მიზნით;

ბ) ზუსტად აღრიცხონ სასკოლო ასაკის ბავშვები, მკაცრი სასჯელი დაადონ იმ სკოლის ხელმძღვანელებს, რომლებიც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვის საქმეს და ვერ უზრუნველყოფენ მოსწავლეთა კონტინგენტის შენარჩუნებას.

2. მიღებული იქნას ცნობად, რომ სამტრედიის რაიონის ივანდიდის რვაწლიანი სკოლის დირექტორს ვ. ჭოლოკავას, მათხოჯის საშუალო სკოლის დირექტორს ა. უგულავას და ჯიხაიშის საშუალო სკოლის დირექტორს პ. ლეჟავას სასკოლო ასაკის ბავშვთა არასწორი აღრიცხვისათვის განათლების განყოფილების მიერ დაედოთ სათანადო სასჯელი.

3. სკოლების სამმართველომ (დ. ჯავახია) და საგეგმო საფინანსო სამმართველომ (ა. კვაჭაძე) ა/წლის 31 მარტამდე შეისწავლონ საჩხერის რაიონში საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი

განათლების კანონის განხორციელების მდგომარეობა და შემოწმების შედეგები წარმოადგინონ განსახილველად კოლეგიის სხდომაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 13 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე — **უშ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 28 თებერვლის ბრძანება № 171

## მიმდინარე სასწავლო წლის პირველი სექტემბრიდან 15 ნოემბრამდე საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლებში I—VIII კლასების მოსწავლეთა კონტინგენტის შემცირების მიზეზების შემოწმების შედეგების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დაშვებული ერთჯერადი აღრიცხვის ფორმის „ოშ—დ"-ეს მიხედვით საქართველოს სს რესპუბლიკის სტატისტიკურმა სამმართველომ ჩაატარა სკოლებში I—VIII კლასის მოსწავლეების მოძრაობის აღრიცხვა 1963/64 სასწავლო წლის პირველი სექტემბრიდან 15 ნოემბრამდე.

სტატისტიკურმა მონაცემებმა გვიჩვენეს მოსწავლეთა კონტინგენტის მკვეთრი შემცირება. აღნიშნული სკოლების I—VIII კლასებში პირველი სექტემბრისათვის იყო 706.795 მოსწავლე, ხოლო 15 ნოემბრისათვის 700744 მოსწავლე, ამგვარად ამ კლასების მოსწავლეთა კონტინგენტს დააკლდა 6051 მოსწავლე, რაც შეადგენს მოსწავლეთა კონტინგენტის 1,1%-ს, მაშინ, როდესაც სსრ კავშირში შესაბამისად ამ კლასების მოსწავლეთა კონტინგენტი საშუალოდ შემცირდა 0,5%-ით.

ზოგიერთი რაიონისა და ქალაქის სკოლების ადგილზე შემოწმებით და განათლების განყოფილებების მიერ წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ არ შეიძლება ყველა 6051 ბავშვი ჩაითვალოს განთესილად, რადგან ამ ბავშვთა გარკვეული ნაწილი სწავლობს საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და პროფტექნიკურ სასწავლებლებში, ნაწილი ავადმყოფობის გამო ჩამოცილდა სკოლას.

ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლების პირველი მერვე კლასებიდან 1963/1964 სასწავლო წლის პირველი სექტემბრიდან 15 ნოემბრამდე გადასულია და სწავლობს საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში 1943 მოს-

წავლე, პროფტექნიკურ სასწავლებლებში გადავიდა 274 მ. ავადმყოფობის გამო სწავლას ჩამოცილდა 1000-მდე მოსწავლე, ზედმეტად იყო აღრიცხული 291, მცირე ასაკის გამო გაუშვეს სკოლიდან 38, ხოლო სპეცსკოლა-ინტერნატში გადავიდა 48, სხვადასხვა საპატიო მიზეზებით სკოლებიდან გავიდა 103. სულ 3697 მოსწავლე. ამგვარად, სკოლებიდან ფაქტიურად გასულია არა 6051 მოსწავლე, არამედ 2354 ე. ი. 0,47% მოსწავლეთა საერთო რაოდენობიდან.

სკოლებიდან განთესილ მოსწავლეთა ასეთი დიდი რაოდენობა იმაზე მიუთითებს, რომ მთლიანად არ სრულდება საყოველთაოსავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონი, რის შედეგად ყველა ბავშვი თავის დროზე ვერ ამთავრებს ზოგადსაგანმანათლებლო 8 წლიან სკოლას.

შემოწმებით დადასტურდა, რომ ცალკეული სკოლების ხელმძღვანელთა მიერ საქმისადმი არასერიოზული, უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად 1963 წლის დასაწყისში სტატისტიკურ ფორმებში ზედმეტი რაოდენობითაა ნაჩვენები მოსწავლეები, რითაც ხელოვნურადაა გაზრდილი სკოლებიდან გასულ მოსწავლეთა რიცხვი. სასწავლო წლის დასაწყისში ფაქტიურზე მეტი მოსწავლე უჩვენეს ქ. თბილისის მე-15 საშუალო სკოლამ (დირექტორი ა. მათითაშვილი) 14, 33-ე საშუალო სკოლამ (დირექტორი ა. ცინცაძე)—9, 62-ე საშუალომ სკოლამ (დირექტორი გ. ონიანი)—10, 123-ე საშ. სკოლამ (დირექტორი გ. ბერიაშვილი)—7, 34-ე საშუალო სკოლამ (დირექტორი ე. აბგაროვა) 4, 23-ე საშუალო სკოლამ (დირექტორი ნ. ენუქიძე)—ერთი მოსწავლით მეტი. ამგვარად ქ. თბილისში ზედმეტად იყო ნაჩვენები 77 . ბავშვი, რამაც შესაბამისად ხელოვნურად გაზარდა სკოლებიდან გასულ მოსწავლეთა რაოდენობაც. ასევე ფაქტიურ რაოდენობასთან შედარებით მეტი რაოდენობით იყო ნაჩვენები მოსწავლეები ბოლნისის რაიონში—69, სამხრეთ-ოსეთის ა/ოლქში—30, (ზნაურის საშ. სკოლის დირექტორმა ც. გუჩმაზოვმა გასულ მოსწავლეთა რაოდენობაში—I—VIII კლასების მოსწავლეთა რიცხვის ნაცვლად ფორმაში შეიტანა I—XI კლასის მოსწავლეთა რაოდენობა, ე. ი. 20 მოსწავლით მეტი), ქ. კასპში—18, გორის რაიონში—6, ქ. ქუთაისში—24.

მრავალ სკოლაში მოსწავლეთა აღრიცხვის საქმეს სრულიად უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ. ქ. თბილისის 26-ე საშ. სკოლამ (სასწავლო ნაწილის გამგე მელქაძე)—15 ნოემბრისათვის სკოლიდან გასულად ზედმეტად უჩვენა 34 მოსწავლე; გორის რაიონის კარა-

ლეთის საშუალო სკოლამ (დირექტორი ბ. დაბრუნდაშვილ) გასულად უჩვენა 13 მოსწავლე, ფაქტიურად კი 22 მოსწავლეა გასული ე. ი. განთესილია 9 მოსწავლე; ახალქალაქის საშუალო სკოლამ (დირექტორი ე. მაღულარია) სტატისტიკურ ფორმაში „სკოლიდან გასულად, ნაცვლად 24-სა, აჩვენა 39, ხოლო მოსულებში 4-ის ნაცვლად 14, მეჯვრისხევის საშუალო სკოლამ (დირექტორი ლ. გურგენიძე) სკოლიდან გასული 13 მოსწავლის ნაცვლად აჩვენა 17 მოსწავლე. მერეთის საშ. სკოლამ (დირექტორი ა. დათიაშვილი) მოსული 12 მოსწავლის ნაცვლად აჩვენა ერთი მოსწავლე, გასულებში კი 10 მოსწავლის ნაცვლად—8, ₃/მეჯვრისხევის 8-წლიანმა სკოლამ (დირექტორი მ. ხომასურიძე) სრულიად არ აჩვენა მოსული 18 მოსწავლე. თეთრიწყაროს რაიონის სოფ. აშკალაშის რვაწლიან სკოლაში (დირექტორი ო. სოხოიანი, სასწავლო ნაწილის გამგე ა. ერიციანი) I კლასში ჩარიცხული 21 ბავშვი აღმოჩნდა მცირე ასაკის და გაშვებულ იქნა სკოლიდან. განსაკუთრებით აღვნიშნავ, გარდაბნის რაიონის მუღანლოს საშუალო სკოლაში (დირექტორი ა. ნასიბოვი, სასწავლო ნაწილის გამგე ხ. შირინოვი) შექმნილ მდგომარეობას: აქ საშუალო სკოლის გახსნის მიზნით IX კლასში ნაცვლად 16 მოსწავლისა, აჩვენეს 35, IV კლასში კი ნაცვლად 72-ისა 93 მოსწავლე.

ყოველივე ამის შედეგად, სულ რესპუბლიკაში ზედმეტად იქნა ნაჩვენები 291 ბავშვი.

ამასთან ერთად ჯერ კიდევ დიდია სკოლიდან გასული საყოველთაო განათლების ასაკის ბავშვთა რაოდენობა. ქ. თბილისში იგი აღწევს 152-დე, მათ შორის: ორჯონიკიძის სახ. რაიონში—48, 26 კომისრის სახ. რაიონში—37, ლენინის სახ. რაიონში—34; სამხრეთ ოსეთის ა/ოლქში—47, ახალქალაქის რაიონში—78, ახალციხის რაიონში—49, გორის რაიონში—77, ბოლნისის რაიონში—88, თეთრი წყაროს რაიონში—69, ხაშურის რაიონში—53 ბავშვი. ამ მხრივ კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა ცალკეულ სკოლებში. 1963/1964 სასწავლო წლის პირველი სექტემბრიდან 15 ნოემბრამდე ჩამოცილდა სწავლებას ახალქალაქის რაიონის გუმბურდოს 8-წლიან სკოლაში (დირექტორი ა. ბადასიანი)—8, კარტიკამის 8-წლიან სკოლაში (დირექტორი ს. ღინოიანი)—8, გორელოვკის საშ. სკოლაში (დირექტორი ა. ვართაპეტიანი)—14, აზავრეთისა და დილისკის საშუალო სკოლებში (დირექტორები გ. თამამიანი, თ. კარაბანიანი) ექვს-ექვსი, გორის რაიონის აღაიანის საშ. სკოლაში (დირექტორი ზ. გოგილაშვილი)—7, რუისის საშ. სკოლაში (დირექტორი გ. კავილაშვილი)—6, თეთრიწყაროს რაიონის ქოსალარის 8-წლიან სკოლაში (დირექტორი ა. ბუდაგოვი)—11, ზესტაფონის

რაიონის თერჯოლის საშ. სკოლაში (დირექტორი ს. გაბრიჭიძე — 1, პირველი სვირის 8-წლიან სკოლაში (დირექტორი რ. ჭუბრიაძე — 1 სასკოლო ასაკის ბავშვი.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთის ასსრ განათლების მინისტრმა (ამხ. ბ. ტარბამ), აჭარის ასსრ განათლების მინისტრმა (ამხ. ვ. წულუკიძემ), სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილების გამგემ (ამხ. გ. ძაგოევმა), ქ. თბილისის განათლების განყოფილების გამგემ (ამხ. თ. ეგაძემ), ქალ. ქუთაისის განათლების განყოფილების გამგემ (ამხ. ილ. გენძეხაძემ), ქალ. კასპის სასკოლო ინსპექტორმა (ამხ. გურგენიძემ), ბოლნისის განათლების განყოფილების გამგემ (ამხ. ბაკურაძემ), გორის რაიონის (ამხ. ჩხეიძემ), ახალქალაქის რაიონის (ამხ. კ. კარახანიანმა), თეთრიწყაროს რაიონის (ამხ. ქ. ცხვედიანმა), გარდაბნის რაიონის (ამხ. გ. რაზმაძემ), ხაშურის რაიონის (ამხ. კ. მესხმა), ზესტაფონის რაონის განათლების განყოფილების (ამხ. გ. კიკნაძემ) გამგეებმა:

ა) დამატებით საფუძვლიანად შეისწავლონ მ/სასწავლო წლის პირველი სექტემბრიდან სკოლების I—VIII კლასების მოსწავლეთა კონტინგენტის შემცირების მიზეზები და საკითხი შეიტანონ განსახილველად კონკრეტულ დამნაშავეთა დასასჯელად და სათანადო ღონისძიების გასატარებლად მინისტრთა საბჭოსა და აღმასკომის სხდომებზე; ანგარიში ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის შესახებ წარმოდგენილ იქნეს განათლების სამინისტროში არა უგვიანეს 1 აპრილისა.

ბ) გაზარდონ საყოველთაო-სავალდებულო სწავლების ფონდების წყაროები, და უზრუნველყონ ამ ფონდების დროულად და დანიშნულებისამებრ ხარჯვა;

გ) სისტემატური და მტკიცე კონტროლი განახორციელონ სკოლების მიერ მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ სტატისტიკური ფორმების შევსებაზე, რათა ზემდგომ ორგანოებში წარდგენილი იქნეს ზუსტი მონაცემები მოსწავლეთა კონტინგენტზე;

დ) მკაცრად დასაჯონ, თანამდებობიდან განთავისუფლებამდეც კი, იმ სკოლების ხელმძღვანელები, რომლებიც სტატისტიკურ ფორმებში შეიტანენ არასწორ ცნობებს მოსწავლეთა რაოდენობის შესახებ;

ე) გააფრთხილონ სკოლების დირექტორები, რათა მტკიცედ იქნეს დაცული მოსწავლეთა ერთი სკოლიდან მეორეში გადასვლის წესი, არ დაუშვან სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა მისი პირადი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქმის მიღებამდე და აღკვეთილ იქნეს ერთი და იგივე ბავშვის ორ სკოლაში აღრიცხვა;

ვ) არ დაუშვან სავალდებულო სწავლების სასკოლო ასაკის ბავშვების ჩარიცხვა მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში; მიიღონ ყველა ზომა, რათა საღამოს (ცვლის) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეებით დაკომპლექტება მოხდეს სასწავლო წლის დაწყებამდე, ხოლო შემდეგ პერიოდში ამ სკოლებში მოსწავლეთა მიღება ხდებოდეს გამონაკლისი სახით;

ზ) სასკოლო ასაკის ის ბავშვები, რომლებიც ავადმყოფობის გამო დროებით ვერ დადიან სკოლაში, ჩათვალონ ამ სკოლის მოსწავლეებად და უჩვენონ მოსწავლეთა რაოდენობაში, ხოლო ხანგრძლივ ავადმყოფებთან აწარმოონ ინდივიდუალურად მუშაობა;

თ) გადაჭრით აამაღლონ სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, მკვეთრად გააუმჯობესონ მუშაობა მეორეწლიან და აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებთან, მიაღწიონ იმას, რომ ყველა მოსწავლე თავის დროზე ამთავრებდეს ზოგადსაგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნიკურ 8-წლიან სკოლას.

2. მოსწავლეთა კონტინგენტის ხელოვნურად გაზრდისა, თვალისახვევისა და მოტყუებისათვის მოიხსნას თანამდებობიდან გარდაბნის რაიონის მუღანლოს საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე ხ. შირინოვი და განთავისუფლდეს თანამდებობიდან ამავე სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ა. ნასიბოვი.

3. სკოლების სამმართველომ (დ. ჯავახია) დამატებით შეისწავლოს მუღანლოს საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი ვ. აბაზგოვის საკითხი.

4. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ა. კვაჭაძე) ყოველ კვარტალში შერჩევით შეამოწმოს რამოდენიმე რაიონში სტატისტიკური ფორმების შევსებისა და წარმოების საქმე და საკითხი გამოიტანოს განსახილველად კოლეგიის სხდომაზე.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წ. 13 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე—**უშ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 10 მარტის ბრძანება № 302

## სკოლების თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით მომარაგებისა და მათი დანიშნულებისამებრ გამოყენების შესახებ

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს საკონტროლო-სარევიზიო სამმართველოსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სარევიზიო ჯგუფის მიერ ჩატარებული შემოწმებებით დადგენილია, რომ ზოგიერთი რაიონის და ქალაქის განათლების განყოფილებაში, აგრეთვე რიგ სკოლებში დღემდე მოუწესრიგებელია თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებისა და მოწყობილობათა აღრიცხვა, განსაკუთრებით ცენტრალიზებული წესით შემოზიდული ხელსაწყოების მოვლა-პატრონობა და გამოყენება.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 24 სექტემბრის № 845 ბრძანება, რომლითაც რაიონებისა და ქალაქების განათლების განყოფილებათა გამგეებს დავალებული აქვთ გააძლიერონ კონტროლი სკოლებში თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების მიღებაზე, მათს მოვლასა და გამოყენებაზე, ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული სრულად.

სკოლების მიერ მიღებული თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღები ზოგ შემთხვევაში არ აღირიცხება საინვენტარო წიგნებში და არ გამოიყენება დანიშნულებისამებრ: არის შემთხვევები მათი თვითნებურად სხვა საქონელზე გაცვლისა, საფინანსო-სამეურნეო წესების დარღვევით (ცხაკაიას მე-2 საშუალო სკოლა).

ადგილი აქვს ისეთი თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების შემოზიდვას, რომლებითაც სკოლები სავსებით უზრუნველყოფილნი არიან, იმ დროს, როდესაც არ გააჩნიათ სხვა აუცილებლად საჭირო ხელსაწყო თუ იარაღები; ამასთანავე ზოგჯერ თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების შესაძენად ცენტრალიზებული წესით გამოყოფილ თანხებს არაგონივრულად და უყაირათოდ იყენებენ (ცხაკაიას 8 წლიანი სკოლა).

აღნიშნული გარემოება იმითაც არის გამოწვეული, რომ თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების საბაზო მაღაზია ჯერ კიდევ ეგანაგრძობს ხელსაწყო-იარაღებისა და მოწყობილობათა შესყიდვას ადგილებიდან განაცხადების გარეშე და სკოლების ფაქტიური მოთხოვნილების შეუსწავლელად, რასაც შედეგად ისიც მოსდევს, რომ საბაზო მაღაზიაში ძალზე გაზრდილია სასაქონლო ნაშთი, შექმნილია საბრუნავ საშუალებათა იმობილება და მძიმე ფინანსიური მდგომარეობა.

სკოლების ცენტრალიზებული წესით მომარაგების გეგმის შესრულების შემოწმებით დადგენილია, რომ ცხაკაიას რაიონის განათლების განყოფილებამ და სკოლებმა გამოიყენეს თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების საბაზო მაღაზიის სოხუმის ფილიალის გამგის შეცდომა და 1963 წელს დამტკიცებული გეგმის ზევით მიიღეს 23,8 ათასი მანეთის თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღები.

რესპუბლიკის სკოლების თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით უკეთ მომარაგების, მათი წესიერი აღრიცხვისა და დანიშნულებისამებრ გამოყენების მიზნით.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) სკოლების სამმართველოსთან ერთად (ამხ. დ. ჯავახია) 1964 წლის 1 ივნისისათვის გამოსცეს და დაუგზავნოს სკოლებს მათთვის საჭირო თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებისა და მოწყობილობათა „კატალოგი-განაცხადი“.

2. თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების საბაზო მაღაზიამ სკოლების მოთხოვნილება ხელსაწყო-იარაღებზე განსაზღვროს ადგილებიდან მიღებულ „კატალოგ-განაცხადების“ საფუძველზე, მაგრამ მომწოდებელ ორგანიზაციებისათვის წარსადგენი ნაერთი-განაცხადი და შეკვეთა შეადგინოს აუცილებლად სკოლებისა და მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოებთან წინასწარი შეთანხმების შედეგად.

3. ყველა რაიონისა და ქალაქის განათლების განყოფილებამ, ცენტრალიზებული თანხების განაწილებისას კარგად გაითვალისწინოს თითოეული სკოლის ნამდვილი მოთხოვნილება ხელსაწყო-იარაღებზე, აგრეთვე ქმედითი კონტროლი დააწესოს მათი მიღების, აღრიცხვის, მოვლა-პატრონობისა და სასწავლო პროცესში გამოყენების საქმეზე.

4. ტელევიზორის, რადიომიმღების, რადიოლას, აკორდეონის, ფოტოაპარატისა და სხვა ძვირადღირებული საქონლის სკოლები-

სათვის და სხვა საბავშვო დაწესებულებებზე გაცემა მოხდეს მხოლოდ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განკარგულებით ან საეციალური ნებართვით.

5. ქ. ცხაკაიას მე-2 საშუალო სკოლისათვის მომარაგების ცენტრალიზებული წესით მიღებული აკორდეონისა და ფოტოაპარატის საორტულ ინვენტარზე თვითნებურად გადაცვლისათვის და მით საფინანსო-სამეურნეო წესების უხეშად დარღვევისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ აღნიშნული ინვენტარი შენახული იყო ქერცო ბინაში, ამავე სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი ო. ჩიქობავა ღირსია მოხსნილ: მაგრამ ვითვალისწინებ რა, რომ მის მოქმედებას სკოლისათვის არ მიუყენებია ნივთიერი ზარალი და ამავე დროს სამინისტროს შესაბამ საამართველო-განყოფილებათა შუამდგომლობას ო. ჩიქობავას მიმართ, როგორც მოწინავე-მზარდ მასწავლებელზე, ვუცხადებ მას სასტიკ საყვედურს უკანასკნელი გაფრთხილებით.

ქ. ცხაკაიას მე-2 საშუალო სკოლის დირექტორს ნ. გუგუნავას და ამავე სკოლის ბუხჰალტერს ც. ადახაიას თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების შესაეენად ცენტრალიზებული წესით გამოყოფილი თანხების ათვისებაში დაშვებული დაუდევრობისათვის მიეთითოთ.

7. ცხაკაიას 8 წლიანი სკოლის დირექტორს ვ. ვ. ალანიას ძვირადღირებული მეორე აკორდეონის შეეეხისათვის, რაც არ იყო აუცილებლობით გამოწვეული, მიეცეს გაფრთხილება.

8. ცხაკაიას რაიონის განათლების განყოფილების გამგეს კ. შარტავას სკოლებისათვის თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების შესაეენად ცენტრალიზებული წესით გამოყოფილი საგეგმო თანხების ზევით 23,8 ათას მანეთის დახარჯისათვის მიეთითოს.

დაევალოს მას დაადოს სათანადო ადმინისტრაციული სასჯელი ცხაკაიას რაიონის განათლების განყოფილების საანგარიშო დარგის მუშაკებს, რომლებმაც უპასუხისმგებლობა გამოიჩინეს ხელსაწყო-იარაღების შესაძენად ცენტრალიზებული წესით გამოყოფილი თანხის ათვისების საქმისადმი და საქონლის მისაღები მინდობილობა გააფორმეს მე-2 საშუალო სკოლის მასწავლებელ ო. ჩიქობავაზე, ამავე სკოლის ხელმძღვანელობისათვის შეუტყობინებლად.

9. მიღებულ იქნას ცნობად, რომ თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების საბაზო მაღაზიის ყოფილი დირექტორის დ. კომლაძის 1963 წლის 20 დეკემბერის ბრძანებით სოხუმის ფილიალის გამგეს მ. რამიშვილს ცხაკაიას რაიონის სკოლებისათვის შეცდომით გეგ-

მის ზევით 23,8 ათასი მანეთის საჭინლის მიცემისათვის გამოეცხადა საყვედური გაფრთხილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. დაევალოს ცენტრალურ ბუხჰალტერიას (ამხ. დ. ყარაშვილი) მკაცრი კონტროლი დააწესოს სკოლებისათვის თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების შესაძენად ცენტრალიზებული წესით გამოყოფილი თანხების დანიშნულებით და გეგმის შესაბამისად ხარჯვაზე და შემოწმების მასალების საფუძველზე საჭირო ღონისძიებათა გასატარებლად წარმოადგინოს სათანადო წინადადებანი.

11. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ა. კვაჭაძე) 1964 და 1965 წლებში თვალსაჩინო ხელსაწყოების შესაძენი ცენტრალიზებული თანხების განაწილებისას ცხაკაიას რაიონის განათლების განყოფილებას დააკლოს 1963 წელს გეგმის ზევით მიღებული 23,8 ათასი მანეთი.

12. ბრძანება გამოქვეყნებულ იქნას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებულის უახლოეს ნომერში.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 6 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე—**უშ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 4 მარტის ბრძანება № 185

## სოციალისტური საკუთრების განიავების, სამეურნეო-ფინანსიურ დარღვევათა და თანხების არაკანონიერი ხარჯვის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა განხორციელების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავს, რომ განათლების ადგილობრივი ორგანოების, სახალხო განათლების სისტემის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ გაწეულია გარკვეული მუშაობა სადირექტივო ორგანოების მითითებათა შესასრულებლად სოციალისტური საკუთრების განიავების, სამეურნეო-ფინანსიურ დარღვევათა, თანხების მითვისებისა და არაკანონიერი ხარჯვის შემთხვევების აღმოსაფხვრელად.

ტარდება ზომები „სოციალისტური საკუთრების განიავების, სამეურნეო-ფინანსიურ დარღვევათა და თანხების არაკანონიერი ხარჯვის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 24 სექტემბრის № 843 ბრძანებით დასახულ ღონისძიებათა განსახორციელებლად. განათლების სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე განხილული იქნა საკითხი მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველოს, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების საბაზო მაღაზიის მუშაობის შესახებ; შესწავლილი იქნა სკოლების თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით მომარაგებისა და დანიშნულებისამებრ გამოყენების მდგომარეობა; რესპუბლიკის რიგ რაიონებსა და ქალაქებში შემოწმდა სკოლების რემონტისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვის საქმე.

ჩატარდა რესპუბლიკურ ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა ბუხჰალტრების საკვალიფიკაციო გადამზადება მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ხაზით; შემუშავებულია სკოლა-ინტერნატებსა და საბავშვო სახლებში საბუხჰალტრო აღრიცხვა ანგარიშგების შესახებ სახელმძღვანელო წერილი, რომელიც დაეგზავნება ადგილებს.

გადაისინჯა განათლების სამინისტროს სისტემის დაწესებულებათა მატერიალურად პასუხისმგებელი და საანგარიშო დარგის მუშაკთა შემადგენლობა და სახელმწიფო ქონების გაფლანგვასა და საფინანსო დარღვევებში ადრე შემჩნეული პირნი განთავისუფლებულნი და გადაყვანილი იქნენ სხვა სამუშაოზე.

მიუხედავად ამისა, განათლების ადგილობრივი ორგანოებისა და სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ზოგიერთი ხელმძღვანელი ჯერ კიდევ არასაკმაო მუშაობას ეწევა სოციალისტური საკუთრების მოვლა-პატრონობისა და დაცვისათვის, სახელმწიფო სახსრების სწორად გამოყენებისათვის; დღემდე არ არის აღმოფხვრილი თანხების უყაირათოდ ხარჯვისა და ფინანსიური დარღვევების შემთხვევები.

სკოლების რემონტისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვის მდგომარეობის შემოწმების დროს, რომელიც 1963 წლის დეკემბერში ჩატარდა, გამოირკვა, რომ ადგილი აქვს სარემონტო თანხების გადახარჯვის შემთხვევებს. ბევრგან (დუშეთის, ყაზბეგის, თიანეთის, ზესტაფონისა და სხვა რაიონებში) სარემონტო სამუშაოები დაბალხარისხოვნად არის შესრულებული.

ჯერ კიდევ არ არის დამყარებული სრული წესრიგი სკოლების თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით მომარაგების საქმეში; მათი შემოზიდვა ხშირად არ სწარმოებს სკოლების მოთხოვნილებების გათვალისწინებით, განათლების ადგილობრივი ორგანოები კი ვერ ახორციელებენ ჯეროვან კონტროლს სკოლებში თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღების მიღებასა, მოვლა-პატრონობასა და გამოყენებაზე.

სერიოზული ნაკლოვანებებია სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების კვების პროდუქტებით მომარაგების საქმეში; ზოგჯერ აღსაზრდელები ნორმით გათვალისწინებულ პროდუქტებს ვერ ღებულობენ, ადგილი აქვს აღსაზრდელთათვის განკუთვნილი პროდუქტების მითვისების ფაქტებს და სხვ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, განათლების სამინისტროს სისტემის დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა გააძლიერონ მუშაობა სადირექტივო ორგანოების მითითებათა განუხრელად შესასრულებლად სოციალისტური საკუთრების განიავების, სამეურნეო-ფინანსიურ დარღვევათა და თანხების არაკანონიერი ხარჯვის აღმოფხვრის შესახებ; მიიღონ ზომები აღნიშნულ საკით-

ხებზე საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1963 წლის 24 სექტემბრის № 843 ბრძანებით დასახულ ღონისძიებათა ანგარიშგებელ-ფინანსური ... ... ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 5 მარტის ბრძანება № 195

## სკოლებში საგაზაფხულო არდადეგების ჩატარების შესახებ

მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საქართველოს სსრ დაწყებით, რვაწლიან და საშუალო სკოლებსა და სკოლა-ინტერნატებში საგაზაფხულო არდადეგები ჩატარდეს 1964 წლის 24 მარტიდან 31-დე ჩათვლით. მეცადინეობა შეწყდეს 23 მარტს, ორშაბათს გაკვეთილების შემდეგ და განახლდეს 1964 წლის 1 აპრილს, ოთხშაბათს.

ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით სოფლის რაიონებში, ხელმძღვანელ ორგანოებთან შეთანხმებით, დასაშვებია შეიცვალოს საგაზაფხულო არდადეგების ვადები, მაგრამ ისე, რომ არ დაირღვეს არდადეგების საერთო ხანგრძლივობა.

2. სკოლების, სკოლა-ინტერნატებისა და სკოლის გარეშე საბავშვო დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა არდადეგების პერიოდში გაატარონ მეოთხედის დამთავრებასთან და არდადეგებთან დაკავშირებული ყველა ღონისძიება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე—უშ. ობოლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 5 მარტის ბრძანება № 198

### სკოლა-ინტერნატების გარე კომუნიკაციების ქსელით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ

წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ სკოლა-ინტერნატების ნაწილი ჯერ კიდევ არაა უზრუნველყოფილი გარე კომუნიკაციების ქსელით და კეთილმოწყობით. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ამ მხრივ იმ სკოლა-ინტერნატებში, რომლებიც მოთავსებული არიან შეგუებულ შენობებში.

ასე, მაგ., ბოლწეულას სკოლა-ინტერნატის სასწავლო კორპუსი არ არის უზრუნველყოფილი ცენტრალური გათბობის საკმაო სიმძლავრით, რის გამო შენობები არ თბება; ქ. თბილისის № 2, ლაჯანურის, ახალქალაქისა და ცხაკაიას სკოლა-ინტერნატები არ არიან უზრუნველყოფილი გარე კანალიზაციით.

გულრიფშის, კირნათის, ფოთის, ადიგენის, სალხინოს და ლანჩხუთის სკოლა-ინტერნატებს არ აქვთ საკმაო რაოდენობით სასმელი-სამეურნეო წყალი.

იმის გამო, რომ მშენებელმა ორგანიზაციამ დღემდე ვერ უზრუნველყო 1963 წლის კაპიტალური მშენებლობის გეგმით გათვალისწინებული სამტრესტის ჩაის საწნეხი ფაბრიკის გარეწყალსადენისა და კანალიზაციის სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოების დამთავრება, რომელზეც პროექტით გათვალისწინებულია ქ. სამტრედიის სკოლა-ინტერნატის გარეკომუნიკაციების მიერთება, ინტერნატს მძიმე პირობებში უხდება მუშაობა, მისი წყალსადენ-კანალიზაცია მიერთებულია დროებით ქსელზე. იქვე მოუწყობელია სამზარეულოში პროექტით გათვალისწინებული ქურაფილა და სხვ.

დღემდე არაა შემოღობილი გულრიფშის, სოხუმის № 2, მახუნცეთის, კირნათის, ახალქალაქისა და სამგორის სკოლა-ინტერნატების ეზოების ტერიტორიები. მიუხედავად იმისა, რომ გადაცემულია საექსპლოატაციოდ, მშენებელი ორგანიზაციების მიერ ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული დუშეთის, თიანეთის, ლაგოდეხის,

თელავის, წითელწყაროს, საგურამოსა და წალენჯიხის სკოლა-ინტერნატების გარე კომუნიკაციების სამუშაოები. შიდა წყალსადენითა და კანალიზაციის გარე კომუნიკაციების ქსელით არ ხორციელდებ უზრუნველყოფილი წულუკიძის, თეთრიწყაროს და ლაჯანურის სკოლა-ინტერნატები. ქ. სოხუმის № 1 და მარნეულის სკოლა-ინტერნატების სასადილოების ფართობის სიმცირის გამო არ ხერხდება აღსაზრდელთა გატარება ორ ცვლადაც.

შეგუებულ შენობებშია მოთავსებული ქ. ქ. სიღნაღის, ჭიათურის, ბათუმის № 2 და ახალქალაქის რაიონის სოფ. ბოგდანოვკის სკოლა-ინტერნატები. შენობა-ნაგებობანი სრულებით ამორტიზებულია და მინიმალურადაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას, ხოლო მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ნივთიერი პირობები ადგილზე არ არსებობს. ოჩამჩირის რაიონის სოფ. ბაბუშერას სკოლა-ინტერნატის ნორმალური მუშაობისათვის აუცილებელია უახლოეს დროში აშენდეს სასწავლო კორპუსი. ქ. თბილისის № 3 სკოლა-ინტერნატის საძინებელი კორპუსი არაა საკმარისი 560 აღსაზრდელისათვის და აუცილებელია ფართობის გადიდება საძინებელ კორპუსზე დაშენების ჩატარების გზით.

კიცხისა და კირნათის სკოლა-ინტერნატების ეზო-კარმიდამო და შენობა-ნაგებობანი დაზიანებულია წყალდიდობის შედეგად და საჭიროებს გადაუდებელ კეთილმოწყობითი და გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებას. ბეთანიის და თეთრიწყაროს სკოლა-ინტერნატებისათვის აუცილებელია სამეურნეო კორპუსის, ხოლო ლაჯანურის სკოლა-ინტერნატისათვის სასადილოს აგება.

ზოგიერთი სკოლა-ინტერნატის დირექტორები ვერ უზრუნველყოფენ შენობა-ნაგებობაში სანტექნიკურ და ელექტროტექნიკურ მოწყობილობათა მოვლა-პატრონობას და ტექნიკურად სწორ ექსპლოატაციას, რის გამო ხშირია გაყვანილობა-მოწყობილობის დაზიანების შემთხვევები.

## ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ეთხოვოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს:

ა) სკოლა-ინტერნატების გარეკომუნიკაციებისა და კეთილმოწყობის სამუშაოების დასამთავრებლად გამოუყოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სარეზერვო ფონდიდან საჭირო თანხები და მასალები თანახმად თანდართული სიისა და გაანგარიშებისა;

ბ) ნება დართოს სამინისტროს ქ. ქ. ჭიათურის, სიღნაღის, ბათუმის № 2 და ბოგდანოვკის სკოლა-ინტერნატები, ეროვნული ენა-ლიტერატურის გამონაკლისი, დროებით დატოვოს მცირე კომპლექტიან (V—VIII კლ. 140 მოსწავლით) სკოლა-ინტერნატებად;

დ) დაავალოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს დაუყოვნებლივ დაამთავროს 1962—1963 წლებში აგებულ სკოლა-ინტერნატებში დღემდე დაუმთავრებლად დატოვებული გარე კომუნიკაციების სამუშაოები.

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და ყველა ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებების გამგეებმა გაითვალისწინონ სკოლა-ინტერნატებში გადაუდებელი კეთილმოწყობითი სამუშაოების ჩატარება.

3. ქ. თბილისის განათლების განყოფილებამ ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს ქ. თბილისის № 3 სკოლა-ინტერნატზე დაშენებისათვის საჭირო ტექნიკური დოკუმენტაციის შედგენა და ამ მიზნით საჭირო ასიგნობათა გამოყოფა სარემონტო თანხებიდან.

4. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ გაითვალისწინოს მომავალი წლების კაპიტალური მშენებლობის გეგმით ბაბუშერასა და ზუგდიდის № 1 სკოლა-ინტერნატების სასწავლო კორპუსების, ლანჩხუთის, ზუგდიდის № 2 და განთიადის № 2 სკოლა-ინტერნატების საძინებელი კორპუსების, თეთრიწყაროსა და ბეთანიის სკოლა-ინტერნატების სამეურნეო კორპუსებისა და ლაჯანურის სკოლა-ინტერნატის სასადილოს მშენებლობა.

5. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლებისა და საგეგმო საფინანსო-სამმართველოებმა არ დაუშვან სკოლა-ინტერნატებში აღსაზრდელთა კონტინგენტის მიღება შენობა-ნაგებობათა საპროექტო სიმძლავრის ზევით.

6. სკოლა-ინტერნატების და საბავშვო სახლების სამმართველომ საგეგმო-საფინანსო სამმართველოსთან ერთად წარმოადგინოს წინადადება სკოლა-ინტერნატებში დანადგრების მოვლის უზრუნველსაყოფად საშუალო კვალიფიკაციის ტექნიკოსის შტატის დაწესების შესაძლებლობის შესახებ.

7. განათლების მინისტრის მოადგილემ ამხ. მ. ნ. ქოჩაკიძემ და სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსმა ამხ. ვ. ი. ჩინჩალაძემ მ/წლის 15 აპრილამდე ჩაატარონ ყველა სკოლა-ინტერნატისა და საბავშვო სახლების დირექტო-

რების ზონალური თათბირები შენობა-ნაგებობათა მოვლა-პატრონობისა და როგორც გარე კომუნიკაციების, ისე ცენტრალური გათბობის ტექნიკური ექსპლოატაციის საკითხებზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 28 თებერვლის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე—**უშ. ობოლაძე**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 5 მარტის № 198 ბრძანებისა

# თანხების მოთხოვნილება

## 1964 წელს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებში კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარებისათვის

| | ობიექტის დასახელება | სამუშაოს დასახელება | თანხა | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|
| 1 | კირნათის სკოლა-ინტერნატი | წყალდიდობის შედეგად დაზარალებულ შენობა-ნაგებობათა და კომუნიკაციების აღდგენა | 53,9 | |
| 2 | კიცხის „ | „ | 54,0 | |
| 3 | სოხუმის № 2 „ | შემოღობვა | 8,0 | |
| 4 | მახუნცეთის „ | „ | 8,0 | |
| 5 | ახალქალაქის „ | „ | 8,0 | |
| 6 | სამგორის „ | „ | 8,0 | |
| 7 | ცხაკაიას „ | გარე კანალიზაციის რეკონსტრუქცია | 5,0 | |
| 8 | ბროწეულას „ | საქვაბის გაფართოება | 5,0 | |
| 9 | ქ. თბილისის № 2 „ | გარე კანალიზაციის რეკონტრუქცია | 5,3 | |
| 10 | ქ. სოხუმის № 1 „ | სასადილოს გაფართოება | 15,0 | |
| 11 | განთიადის № 2 „ | საძინებელი კორპუსის მიშენება | 39,0 | |
| 12 | კოჯრის „ | საქვაბის რეკონსტრუქცია | 10,0 | |
| 13 | მარნეულის „ | სასადილოს გაფართოება | 10,0 | |
| 14 | ჩხოროწყუს „ | საძინებელი კორპუსის რეკონსტრუქცია | 20,0 | |
| | | ს უ ლ | 250,0 | |

სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსი — **ვ. ჩინჩალაძე**

კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსი **შ. ბუთიკაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1964 წლის 11 მარტის ბრძანება № 307

## საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების შესახებ ქ. ფოთის, ცხაკაიას და სიღნაღის რაიონების სკოლებში

ქ. ფოთში, ცხაკაიასა და სიღნაღის რაიონში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

უმჯობესდება სკოლების მატერიალური ბაზა. ასე, მაგალითად, სიღნაღის რაიონში მარტო კოლმეურნეობებისა და წარმოებათა ხაზით საკლასო ოთახების ფონდი 1960 კვადრატული მეტრის ფართობით გადიდდა. მნიშვნელოვნად გაიზარდა სასწავლო კაბინეტების რაოდენობა; საყოველთაო-სავალდებულო სწავლებისათვის ბიუჯეტით დამტკიცებული 10.158 მან. მთლიანად იქნა ათვისებული; გარდა ამისა, ზემო მაჩხაანის კოლმეურნეობამ დახმარება გაუწია 51 მოსწავლეს, რისთვისაც გაიღო 700 მან.; ვაქირის საშუალო სკოლამ ნაკვეთის შემოსავლიდან 12 მოსწავლეზე გასცა თვითეულზე 40 კგ. სიმინდი; რაიონის ორ სკოლასთან შექმნილია სასკოლო ინტერნატი 33 მოსწავლით, ხოლო ექვს სკოლაში გახსნილია გახანგრძლივებული დღის 11 ჯგუფი 291 მოსწავლისათვის.

ქ. ფოთში მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული. უკანასკნელი 4 წლის განმავლობაში სასკოლო ფართობის ფონდს შეემატა 1590 მოსწავლე-ადგილი; ერთჯერადი უფასო კვება ეძლევა 150-მდე ბავშვს. ცხაკაიას რაიონში მარტო გასულ სასწავლო წელს შეფი ორგანიზაციების სახსრებით სასკოლო შენობებს მიშენდა 24 საკლასო ოთახი, რის შედეგად ხუთი სკოლის 29 კლასის 780 მოსწავლე გადაყვანილი იქნა ერთცვლიან მეცადინეობაზე.

მიუხედავად ამ წარმატებებისა, ცხაკაიასა და სიღნაღის რაიონებსა და ქ. ფოთში კვლავ აქვს ადგილი ნაკლოვანებებს საყოველთაო სავალდებულო განათლების კანონის განხორციელების საქმეში.

ცხაკაიას რაიონს შესრულებული არა აქვს მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა I—VIII კლასებში 13999 მოსწავლის ნაცვლად 5 სექტემბრის მდგომარეობით ჩარიცხულია 13799 მოსწავლე. [illegible] შეუსრულებლობა ძირითადად მოდის 1-ლ კლასებზე (მაგალითად, ეკის საშუალო სკოლაში, დირექტორი ჯ. ფარცვანია, აღრიცხული 10 ბავშვის ნაცვლად ჩაირიცხა—3, ლეძაძამის საშუალო სკოლაში, დირექტორი ალ. ნარსია, ნაცვლად 20 აღრიცხული ბავშვისა, ჩაირიცხა 14, ციხეთის რვაწლიან სკოლაში, დირექტორი ი. გვასალია, 11 ბავშვის ნაცვლად ჩაირიცხა 5 და ა. შ.), რაც ბავშვთა აღრიცხვის მოუგვარებლობის შედეგია. 1 სექტემბრიდან 15 ნოემბრამდე I—VIII კლასებიდან გასული 382 მოსწავლიდან 21 ბავშვი ჩამოსცილდა სწავლას. თუმცა სიღნაღის რაიონის სკოლაში I—VIII კლასების მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმა შესრულებულია, მაგრამ 1 სექტემბრიდან 15 ნოემბრამდე I—VIII კლასებიდან გასული 545 მოსწავლიდან რამდენიმე მოსწავლემ მთლიანად შეწყვიტა სწავლა უმიზეზოდ. რაიონში აღრიცხულია გონებით ჩამორჩენილი 47 ბავშვი, სწავლებაში კი ჩაბმულია მხოლოდ 5.

სუსტი მუშაობა ტარდება მეორეწლიანობის სალიკვიდაციოდ. სიღნაღის რაიონის 602 მეორეწლიანი მოსწავლიდან კვლავ ვერ ასწრებს 128, ხოლო ცხაკაიას რაიონში 551 მეორეწლიანიდან ისევ ჩამორჩება 73 მოსწავლე. ქ. ფოთში 1962-63 სასწავლო წელს I—VIII კლასებში მყოფ 6256 მოსწავლიდან სკოლას ჩამოსცილდა 8 მოსწავლე, რომელთაგან მხოლოდ 4 იქნა დაბრუნებული სკოლაში. წინა წლებში სკოლას ჩამოცილებული 58 მოსწავლიდან 35 არ არის სწავლებაში ჩაბმული სხვადასხვა მიზეზის გამო.

ჯერ კიდევ იგრძნობა მასწავლებელთა ნაკლებობა სხვადასხვა დისციპლინაში. მაგალითად, სიღნაღის რაიონის მიერ წარმოდგენილი იყო მოთხოვნა 39 მასწავლებელზე, ბრძანებით დაინიშნა 38, მუშაობას კი შეუდგა მხოლოდ 27 მასწავლებელი.

მრავალი სკოლის ნივთიერი ბაზა ჯერ კიდევ სუსტია. ავარიულ მდგომარეობაშია ცხაკაიას რაიონის სოფ. თაიის რვაწლიანი, ზუმისა და ლესიჭინის საშუალო, სიღნაღის რაიონის არხილოსკალოს, წნორის და წითელწყაროს რუსული საშუალო სკოლების შენობები. სკოლების უმრავლესობაში ძლიერ მოძველებული და ზოგან სრულიად უვარგისი დგამ-ავეჯია.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ქ. ფოთის (ა. ცხადაია), ცხაკაიას (კ. შარტავა) და სიღნაღის (ელ. დალაქიშვილი) განათლების განყოფილებებმა:

ა) გაითვალისწინონ საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების ხაზით არსებული ნაკლოვანებანი და გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი მათ აღმოსაფხვრელად;

ბ) გაზარდონ სკოლების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვისა და მოსწავლეთა არსებული კონტინგენტის შენარჩუნების საქმეში.

2. ცხაკაიას რაიონის განათლების განყოფილების გამგემ ამხ. კ. შარტავამ სათანადო სასჯელი დაადოს იმ სკოლების დირექტორებს, რომლებშიც ადგილი ჰქონდა I კლასში ჩასარიცხ ბავშვთა არასწორ აღრიცხვას.

3. სკოლა ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ (ამხ. ვ ჩინჩალაძე) შეისწავლოს ადგილზე სიღნაღის რაიონში გონებით ჩამორჩენილ ბავშვთა დამხმარე სკოლის გახსნის შესაძლებლობის საკითხი.

4. კადრების განყოფილებამ (ამხ. ი. კვაჭაძე) კადრების განაწილებისას გაითვალისწინოს სიღნაღის რაიონში მასწავლებელთა ნაკლებობა.

5. კაპიტალური მშენებლობის განყოფილებამ (ამხ. შ. ბუთიკაშვილი) ადგილებზე შეისწავლოს ბრძანებაში აღნიშნული ავარიული სკოლების შენობების მდგომარეობა და დასახოს ღონისძიებანი უახლოეს წლებში მდგომარეობის გამოსასწორებლად.

6. მომარაგებისა და დამხმარე საწარმოთა სამმართველომ (ამხ. ს. არველაძე) მიიღოს საჭირო ზომები სიღნაღისა და ცხაკაიას რაიონების სკოლების ახალი დგამ-ავეჯით უზრუნველსაყოფად.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1964 წლის 6 მარტის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე—უშ. ობოლაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შ ი ნ ა ა რ ს ი

1 ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი და საშუალო სკოლების მოსწავლეთა ცოდნის, უნარის და ჩვევების შემოწმებისა და შეფასების შესახებ (ინსტრუქციულ-მეთოდური წერილი) . . . . . 3
2. ბრძანება № 84—წითელწყაროს სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 53
3. განათლების, უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის საქართველოს სს რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის ერთობლივი დადგენილება ქ. თბილისის 77-ე და 88-ე საშუალო სკოლების კოლექტივების კოოპუნისტური შრომისათვის მოძრაობაში ჩაბმის ინიციატივის შესახებ . . . . . 57
4. ბრძანება № 126—გლდანის № 2 სკოლა-ინტერნატის მუშაობის შემოწმების შედეგებს შესახებ . . . . . 62
5. ბრძანება № 127—ახალციხისა და ამბროლაურის რაიონების სკოლამდელ დაწესებულებათა მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ . . . 67
6. ბრძანება № 129—რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მათემატიკის სწავლების მდგომარეობის შესახებ . . . . . 72
7. ბრძანება № 170—საყოველთაო-სავალდებულო 8 წლიანი სწავლების კანონის განხორციელების შესახებ ქ. ქუთაისის, სამტრედიის, ამბროლაურის, საჩხერისა და ცაგერის რაიონების სკოლებში . . . . . 78
8. ბრძანება № 171—მიმდინარე სასწავლო წლის პირველი სექტემბრიდან 15 ნოემბრამდე საქართველოს სს რესპუბლიკის სკოლებში I—VIII კლასების მოსწავლეთა კონტინგენტის შემცირების მიზეზების შემოწმების შედეგების შესახებ . . . . . 81
9. ბრძანება № 302—სკოლების თვალსაჩინო ხელსაწყო-იარაღებით მომარაგებისა და მათი დანიშნულებისამებრ გამოყენების შესახებ . . . . 86
10. ბრძანება № 185—სოციალისტური საკუთრების განიავების, საშეურნეო-ფინანსიურ დარღვევათა და თანხების არაკანონიერი ხარჯვის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა განხორციელების მიმდინარეობის შესახებ . . . . . 90
11. ბრძანება № 195—სკოლებში საგანგებოფხულო არდადეგების ჩატარების შესახებ . . . . . 93
12. ბრძანება № 198—სკოლა-ინტერნატების გარეკომუნიკაციების ქსელით უზრუნველყოფის მდგომარეობის შესახებ . . . . . 94
13. ბრძანება № 3 7—საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების კანონის განხორციელების შესახებ ქ. ფოთის, ცხაკაიასა და სიღნაღის რაიონების სკოლებში . . . . . 99